

N5 2022

ԱՐԵՎԻՆ
1852



ԱՌԱ ՍԹԱԼԿԱ
ՎԱԴՈՒ ԿԱՎԱՐԱՎԱ } ԱԿԱՑՈ

ՅԱԿԱՆԻ ԲԵՆՈՓԱ
ՅՈՒՆՈ ԱՊՈՂԵԱԼՎԱՑՈՂՈ } ՅՈՒՆԵԿՈՑԳԱՑՈ

ՅՈՒՆԵԿԱՆ ԿԵՐՈՒՆԱՑՈՂՈ - ՅԱԿԱ ՑՈՒՑՎԱՑՈՂԻ
ՑՈՒՐԿԻՑՈ ՑԱՒՔԱԿԱՑՈՂՈ - ՑԱՀԱԿԱՑՈՐՄԵԱ ԴԱ ՑՈՒՐԿԻՑՈ ԱԿՐԵՆՈՎԱԿԻ
ԿԵՐՈՒՆ ՑՈՒՎԱԿԱՑՈՂՈ - ԱՐԵՎ ՑԱՀԱՑՈՎԱՆԱՍ ՏՖՈՂԻ



№ 5 // 2022

ლიცენზიაციული - სამიზანობლივი ქურნალი

მთავარი რედაქტორი ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი თამარ გელითაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა მარინა სიყვაშვილი

ქურთვალი გამოდის
საძართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის



ଶାକାଟତ୍ତ୍ଵାଳୀରେ
କାନ୍ଦିତାଳୀରେ, ପାନ୍ଦିତାଳୀରେ
ଯା ଆଶାଲୀରୁଗାତ୍ମକାଳୀରେ
ଜୀବିତିରୁଗାତ୍ମକାଳୀରେ

ciskari1852@gmail.com
<https://dspace.nplq.gov.qe/handle/1234/2>

სარჩევი

პოვნი		ამირან გომართელი	60
ლია სტურუა	3	„სანავარდოს“ სტილური	
ნათია კაპანაძე	5	ექსპრესია	
გივი ჩილვინაძე	10		
		ახალი თარგმანი	
პლობა			
მერაბ ჩხაიძე	19	მერი ფლენერი ო'კონორი	69
გურული ნოველები		კოჭლნი შევლენ პირველნი	
ნინო დილმელაშვილი	29	ინგლისურიდან თარგმნა	
მოთხოვები		ზურაბ სონდულაშვილმა	
პრიტიქა-ესეისტიქა			100
ივანე ამირხანაშვილი		ივან და კლერ გოლები	
რადიკალიზმი – თაობის		სამიჯნურო ლექსები	
ნიშანი	53	გერმანულიდან თარგმნა	
		მანანა პაიჭაძემ	
გიორგი შატბერაშვილი			
მუსიკა ჩვენი სულისა	56		

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ
ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

ლია სტურუა



შეკითხვა, ბოლო და უმნიო

ნეტა, რა ხდება ჩემს შიგნით?
 რას შვრებიან ერთმანეთზე გადაბმული
 სიცოცხლეები?
 როცა არც ერთი არ მტკიცა,
 სახელები ქართული აქვთ, მუღერი,
 ან ბრგვნილი, შეჩვეული,
 ყოველდღიური საგნებივით
 თუ განგაშის ზარმა დარეკა,
 ლათინურ შესატყვისს მოუნახავენ:
 გაუწაფავი ყურისთვის მუსიკა,
 რეალურად – განაჩენი:
 არითმია – გული უკულმა,
 ვულკანების ნაირსახეობა ჩამქრალი,
 ანამნეზში წითელი ლავა, მაინც, მიწერია,
 თავიც ისე კარგად მაღაგას კისერზე,
 ოსტეოქონდროზის მიუხედავად,
 რომ არავითარი თარაზული გადახრა,
 ბალიშებით დარბილებული!
 ცას რომ ვურტყა ეს თავი,
 შეიძლება, ტროპი ამომივიდეს,
 კოპი კედელმა იცის,
 რითმისკენ თვალის გაქცევა
 კონვენციურმა წარსულმა,
 მერე, ვერლიბრი? რა შემიძლია?
 ავიღო ჩემი თავი, დიაგნოზდასმული
 და ცას გამოვეკერო? – ფოლკლორი უკულმა...
 აბა, შავად რატომ გადამხაზეს,
 წითელი პასტა ვერ იშოვეს?

პოლტოვებები

პორტრეტები, საზეიმოდ განწყობილები,
სევდიანები, ნერვიულები, უფრო მშვიდები
ფანჯარაში რომ იხედებიან,
სულები უჩანთ, გულუბრყვილობის უკანა მხარეს...
რა ბადაგი იხარშებოდა მანერული პოეტებისგან,
სანამ პორტრეტებად ჩამოყალიბდებოდნენ!
სანამ გაიგებდნენ, როგორ შეიძლება
ბანკომატებს ორმოებიდან
ლურჯი აკაკი წერეთლები ამოაყრევინო –
უმწეო რეალიზმი.
ამინდი რომ თეთრი, კბილებიანი დღეა,
ან რევმატული – ბუზების ფრენა სახსრებში,
ეს რაღაა? ბუნების წყალობა,
თუ კონტროლი მასზე? ასეთი კრეატივი!
მაგრამ მშობლების დანგრეული არქიტექტურა?
სახეები რომ ამოაცალო, ეტკინებათ.
აბა, პორტრეტები? გვერდიდან კარნახით:
– მეტი ხორცი, მეტი! ბაზარში იყიდე,
თუ ფორმის სისავსე არ გამოგდის!
მაგრამ სულები ნორმალურობის უკულმა მხარეს?



ცა ისეთია, რომ შეეხო,
ხელებზე ლურჯი სალებავი დაგრჩება,
ამ დროს სიტყვა ჭირს, იქნებ, პიეტეტი?
რომელიც გაგლუნავს
და იმ წიგნში ჩაგდებს,
სადაც ყველაფერი აშენებულია.
ქარი ხეების ხერხემალზე,
ღმერთი მინანქრის სახედარზე,
ლექსი ურითმო ჰარმონიაზე.
ეს, შენი ურითმობა აბუჟებს კბილებს,
მაგრამ თუ ბედის ნებიერი ხარ,
ლურჯ სალებავს პირზე წაისვამ
და სიტყვებს ეყვარები,
ესაა, კამკაშს ვერ გამოეკერები,
მასაც თავისი სარჩული აქვს:
ვოლტები, ამპერები, გადაიწვება,
მოკლე ჩართვა მოხდება,
სინათლე ჩაქრება, სიტყვები?
ხასიათს ახლა უფრო გაუგებ,
ელვარებაში რა შეგეძლო?
პიმინი, პათოსი,
ქვეცნობიერზე ფეხის დაბიჯება,

შიში, რომ დამწვარ ნერვს ველარ აღიდგენ,
რომელიც სინდისს გამოეყო
და ცალკე ყვავის...
განმეორებით კაშკაშამდე მთელი ზამთარია:
სიტყვების ხასიათში ჩახედვის,
ქვეცნობიერში ქექვის პერიოდი
მგონი, ამ დროს, უფრო მიმართლებს,
როცა ღმერთი სევდიანია.



რა მშიერი გამომეტყველებით დადიხარ!
მოშინაურება დაგიპირეს?
კვადრატში ვერ ჩაგტენეს,
მრავალკუთხედი უფრო სერიოზული გეომეტრიაა,
ნრეზე სირბილი – მოქმედების სიმულაცია...
როცა წერ,
გაკვირვებული თუ დაიწყებ
და ასევე დამთავრებ, მოულოდნელობის ეფექტი
რაღაც ხვრელებს და გამოსაძრომებს დაგიტოვებს,
გარეთ გამოხვალ,
შიმშილს ჩაიყენებ თვალებში,
ვინმე განბილებული იტყვის, რომ
მისთვის არცერთი მტვარე არ მიგიშუქებია
აბა, როგორ დაემართე? სახადივით, თეატრივით?
სცენა დროის მოკვლის საშუალებაა,
თუ აღგზნების?
ამ აღგზნებასაც სოფიტები გადაეწვა,
გამნათებლები მშივრები დადიან,
რა თავში იხლიან შენს მეტაფორულ შიმშილს,
ან იმას, წყლიან ჭიქაში რომ
ლექსიანი ფურცელი ჩადე და განითლდა?
ლაკმუსობის საბუთს ვინ მოგთხოვს?
გამვლელებს დასანახი ცეცხლი ურჩიევნიათ,
თვალებში ჩაიდონ და მოპირდაპირე სქესი მიიზიდონ –
ქუჩის შოუ, ბალაგანი, სადაც
არამარტო ეროვენული ზონებით,
სისხლითაც ეხებიან ერთმანეთს,
შეუშვი თეატრში! ჭამონ ლოჟები, იარუსები,
სვაროვსკები პარტერის მკერდიდან!
სცენა კულისების სიბრმავეს იმიზეზებს
და ამაზე დგას...



ნათია კაპანაძე

სახი

შენ არ შეგეძლო შეცვლილიყავი, რადგან ყოველთვის,
როცა სამყაროს დასასრულთან მზერას აჩერებ,
ანუ მის საფლავს უყურებ, ვინც ასე გიყვარდა
და თვალზე მომდგარ ცრემლის მალვას სულაც არ ცდილობ,
რადგან ეს ცრემლი შენი სულის სიღრმეს ყინავდა
და ვეღარაფრით შეაჩერე, – გადმოიღვარა
და მთელი შენი ტკივილები წალეკა ცრემლმა.
თავად იდექი უხმოდ, როგორც ჩვილი, რომელიც
სხვა სამყაროში აღმოჩნდა და ვერ აიძულა
თავს, რომ ესუნთქა. გაფერმურთალდა. ჩამოიშალა
მისი სამყარო – დედის საშო. და მოიძულა
მის გარეთ რაც კი არსებობდა. ანუ იპოვნა
დასაწყისშივე თავის თავი. ისე დასრულდა.

●

ამ ღამის მიღმა არ არსებობს დღე და ნათელი.
ყოველი დილა სიკვდილია. შენ თავს იმარხავ
ცოცხლად და გტანჯავს ის წუთები, როცა შეგეძლო
ძალდატანების გარეშე და მშვიდად გესუნთქა
მყრალი ჰაერი. და ფილტვები ნაგვით აგევსო.
რას იფიქრებდი, ის დღეები დასრულდებოდა.
შენი სიმშვიდე. შენი ზრუნვა. შენი ხალისი.
რომლითაც ყოველ ახალ დილას ეგებებოდი.
ის ღიმილები როგორ გაქრა. როგორ თავისით.
და ყველაფერმა მიგატოვა. გაუჩინარდა
ის, რაც სიხარულს განიჭებდა, სიმშვიდეს გგვრიდა.
ჩამოიშალა.
დაცოტავდა.
გადაგიარა
ზედ. და შენი წილი სიხარულით ტკივილებს იმკი.

იქ , სადაც შენ ხარ, ყველაფერი ბნელმა მოიცვა.
 შენ მაიძულე ყველა ფიქრი სიტყვად მექცია.
 ამიტომ არის, ყველაფერი გამიშავ-თეთრდა;
 ამიტომ არის, ყველა უკვე გადამეჩვია.
 შენი თვალების უფსკრულებში ჩავიმარხები
 და ყველა ნაბიჯს ვაიძულებ ადგილზე დგომას.
 სანამ ბოლომდე დასრულდები. თუ დავმთავრდები.

ჩემი თვალები. მთელი ჩემი არსი. ამბავი
 რომელიც შენში დაიწყო და სადღაც მთავრდება.
 როცა ამ თვალებს ხელისგულებს ვაყრდნობ საშველად
 მათ შორის მთელი სამყაროა და იქ ავდრდება.
 ჭკნება ფიქრები. ის ფიქრები, სადაც ვმარცხდები.

დრო როცა არის საკმარისი, მაშინ იცოდე
 რომ ცხოვრობ ცუდად ან არსებობ – რაღაც გაკლია.
 მოუპოვები სიყვარული ან მეგობარი,
 რომელიც მუდამ გაფრთხილებდა: „მარტო დარჩები!“
 და აშენებდა მის გარშემო ფართო გალიას.
 ყალბი გრძნობების, ყალბი ხალხის, ყალბი ლიმილის,
 მაგრამ ვინ იცის, რომ ცხოვრება მუხანათია
 და ბოლოს თავად აღმოჩნდები მარტო, იქ, სადაც
 ყოფა რთული და ყოფნა უფრო აუტანელი
 გერვენებოდა. შენ ვერაფერს ვეღარ იტყოდი.
 შენი ხმა მიწყდა სამუდამოდ. მხოლოდ შემეძლო
 წარმომედგინა, რას ფიქრობდი, როგორ გტკიოდა.
 რადგან მიყვარდი და მახსოვდი, რადგან გიცნობდი.
 მერე ცრემლები გამიშრა და არ მომდიოდა.
 ისე დაგტოვე, უკან ერთიც არ მოვიხედე.

ვერ გაიხარებს ეს ყვავილი. უსიყვარულოდ.
 თუ გაიხარებს არ ექნება, ალბათ, სურნელი.
 მისი ეკლები კუბოს ფიცრად მოგეჩვენება,
 წითლად შეღებავს ხელისგულებს მისი შეხება.
 როცა ერთხელაც გაიფიქრებ: „დავიგვიანე!“
 და ჩაბნელებულ ბილიკებზე გზას ვერ გაკვალავ.

●
 შენ აღმოჩნდები უსასრულო სივრცეში მარტო.
 და შენ გარშემო შეიქმნება ფიქრების გარსი.
 და გაიხსენებ, რომ მიყვარდი, – როგორ მიყვარდი
 როდესაც ჩემკენ მოდიოდი და ჩემს თავს გაცდი,
 რომ არ არსებობს სიახლოვე ასე მშორები,
 როცა ვერ ხედავ, ვერ პოულობ, ვერ ეძებ სხვაში,
 სადაც ერთს უყვარს, ერთი გასცემს, ერთი მოიმკის
 ყველა ტკივილს და მარტოობას, ყველა შეხებას
 წარმოსახვაში.
 წარმოსახვაში...
 წარმოსახვაში...

ქალამნები

შენი დაკოურილი თითები – დასისხლული წერტილებად.
 ნაცნობი ლამფის მკრთალი შუქი, პაერი, ბილნი ფიქრები.
 როგორ ვერ ვიტან ყოველ ლამით შეღვიძებულზე
 ასეთს გხედავდე. მერე, როცა აღარ იქნები
 გამოგიგონებ შიგადაშიგ და წყვეტილებად.

სივრცე, გარემო, არც თუ ისე კარგი, ბავშვობის
 მოგონებები. ეზო, იქვე პატარა ზვინი
 ეზოს ბოლოში. ვენახები. თავლა. პირუტყვი
 და მოგონება ფერად ცხენზე. ჯერ იყო კვიცი
 მერე კი იქცა ოჯახისთვის წყაროდ არსობის.

მერე კი დიდხანს, ნაირ-ნაირს ქმნიდი ქალამნებს
 და იდგა სახლში სუნი საჭმლის, სითბო და მშვიდი,
 უცნაურად მშვიდი გარემო. იყო ამბები,
 შენ არაფერს აღარ ამბობდი, ნარჩენებს გვიდი

და მე უეცრად საღარიას კვალი დავლანდე
 იმ ნარჩენებში – უხეში და მოთეთრო ბეწვი.
 მეჩვენებოდა, მერე, როცა ჰყიდდი ქალამნებს
 შენ მასთან ერთად შენი სულის ნაფლეთებს ჰყიდდი.
 და ნაწილ-ნაწილ შენი სული დიდხანს ატარეს,
 და იყო იგი უსხივოსნო, უბედო, ბერნი.

შენ უკვე არ ხარ და მგონია, რომ გულს ჩამიკლავს
 შინ დაბრუნება, ძველ ლამფაზე – მტვერი და ობი.
 შენი ოთახი, ის გარემო, უძილო ლამე,
 გამახსენდება, ამ ყველაფერს, თუ როგორ ვგმობდი
 და ქალამნები, საწოლის ქვეშ, რომ არ ჩამიცვამს...

ქვიშის დღეები

გულალმა წევხარ. მიბჯენილი გულისყურია
იგრძნო, სად არის შენი ფიქრის ორომტრიალი
და მაინც, რარიგ შეუცნობი არის ტიალი
ბედი. მერე კი ბედის განმსაზღვრელი შენი გულია.
არაფერია ეს ცხოვრება თუკი რთულია
თავად დაიწყო მის გარშემო უნდა ტრიალი.

ამოაცალო საკუთარ თავს შეგრძნება შიშის,
ამოაყოლო ამოსუნთქვას დარდები ყველა,
იყო დრო, როცა გჭირდებოდა დახსნა და შველა
სანამ დაგიდგა სანამცეცო დღეები ქვიშის,
სადღაც დამარხე შენი თავი, თავიდან იშვი
ეგუებოდი საკუთარ თავს რთულად და ძნელად.

გადაიტანე... ეჲ, რა ალარ გადაიტანე
და მერე დიდხანს საკუთარ თავს ებრძოდი, ვინძლო
სარკეში მორიგ ჩახედვისას იქნებ და იცნო
ის, ვისაც თავად გაემიჯნე, გადაუარე
ზედ და დაღლილმა უცხოსავით რომ ჩაუარე,
ახლა უყურებ თვალებში, რომ რაიმე იგრძნო.

და მიტოვებულ ოთახებში გატყორცნილ მზერას
პერიოდულად ცრემლები რომ ავსებენ. თმენით
შეაქცევ ზურგს და დაფიქრდები – მორიგი დღე რით
გადააგორო. სხვას არასდროს რომ არ სთხოვ შველას,
მერე კი დიდხანს იტანჯები, რთულად და ძნელად
გადაგაქვს მსგავსი დღეები და გადაგაქვს შენით.



გივი ჩილვინაძე

ტყის ნობათი დათვი და ფუტკარი

ჩვენს მხარეში დიდი ტყეა,
ტყეში კიდევ ბევრი ხეა, –
ზოგიერთი უგულოა,
ანუ ღრუ აქვს – ფულუროა.
ფულუროში ზოგჯერ კიდევ
გარეული ფუტკარია,
რომლის ხილვა ბუზლუნა დათვს
გამორჩევით უხარია.
განა მარტო ნახვა უნდა,
რომ მიადგეს და უყუროს,
ძალადობით ეუფლება
უსირცხვილოდ იმ ფულუროს –
ხარბად სანსლავს სავსე ფიჭებს,
თუმც ვერ იცავს ხშირი ბეწვი, –
ტანზე, ცხვირსა თუ ტორებზე
ფუტკრის ნაკბენები ეწვის.
დადის მერე დანესტრილი,
და საქმაოდ დიდხანს სტკივა –
სხვის ნანართმევს, თუნდაც თაფლსაც,
ვერავინ შეირგებს ტკბილად.

წვიმა ულრან ტყეში

მოდის თქეში ულრან ტყეში,
მთები ქუხილისგან თრთიან,
გადაუკარებლადა წვიმს
რამდენიმე საათია...
ჩადგა წყალი ფულუროში –

დაუსველდა ბინა თრიას,
შეიყუჟა წიფლის ტოტზე –
ლამე გარეთ გაათია.
დილით ციყვმა მიაძახა:
– თრია, ეგ რა დაგმართნია? –
წაიყვანა, მოახურა
თავის თბილი ხალათია,
დაამშვიდა, – მოვა დარიც,
აღმართს მოსდევს დაღმართია!..
შეიფარა, სანამ თრია
ბინას ნახავს ლაზათიანს...

ტყის ნობათი

აბლი-ბაბლი, აბლი-ბაბლი,
გინდა მალლით, გინდა დაბლით
ტყეში ბევრი ნაყოფია –
მოცვი, მოცხარი და წაბლი.
მინდა, გარგოთ მთების მადლი,
მივალ ჩანთით, კალთით, სათლით,
ბლომად უნდა მოვიტანო –
უოლო, თხილი, პანტა, ზღმარტლი.
იქაცა მყავს მეგობრები,
მეტად გამრჯე, განა ზანტი,
ახლაც სიხარულით შემხვდნენ
ჩხიკვი, თრია, ციყვი, ზღარბი.
ჩემთან ერთად შეაგროვეს
მრავალგვარი ტყის ნობათი,
მოდით, ყველამ დაირიგეთ,
მათი სახელით მოგართვით...

ჩხილი და მამალი

დადის და ყივის ამაყად
ეზოში ჩვენი მამალი,
თავის დარი და ტოლ-სწორი
არ ეგულება არავინ.
ერთ დილას ტყიდან მოფრინდა
ჩხიკვი ანცი და ფრთამალი,
მსხლის კენწეროზე შემოჯდა
და მამალს მისცა სალამი.
– მოგესალმები, მამალო,
გამარჯვებულო ყველასთან,
ულრანში გეპატიუები,

დაგამეგობრებ მელასთან.
 მამალმა უთხრა მადლობა:
 – თქვენთან სტუმრობა მწყურია,
 წამოვალ, ხარჯსაც გავიღებ,
 ძმურად გავტეხოთ პურია,
 მაგრამ თანაბრად რომ ვიყოთ
 შინაურ-გარეულია,
 მელაც რომ ვასიამოვნოთ, –
 გამოვიყოლებ მურიას.
 ხარებიც წამომყებიან,
 ტყეშიც გავავლოთ ხნულია,
 შენ შაშვას და ბულბულს მოუხმე,
 დაუკრან სალამურია...
 ჩხიკვის და მამლის ქილიკზე
 ელიმებოდა მურიას.
 რას ფიქრობთ, მოხერხდებოდა
 ტყეში შეხვედრა ძმურია?

ოფოფი

გუშინ ცუდად შეიქნა
 თავქოჩირა ოფოფი,
 მადაზე მოვიყვანეთ
 მოცვით, შინდით, ონტკოფით.
 საკვებიც მივუტანეთ
 ერთი კვირის სამყოფი, –
 ჩვენი ტყის მცენარეთა
 სულ რჩეული ნაყოფი.
 ძალიან გაიხარა,
 თანაც შეგვხვდა რა ყოფით,
 უკვე კარგად არის და
 ყველა ვხედავთ კმაყოფილს.
 ისევ მოდის მნახველი,
 ვინც არ იყო ნამყოფი.

მოცვი და დათვები

მთელი დღეა წიფლების ქვეშ
 მოცვსა კრეფენ დათვები,
 თითქმის სუყველამ გაავსო
 კალათი და სათლები.
 დედა დათვი, მამა დათვი,
 სამი ბელი მკვეხარა, –
 ერთი ბუჩქიც არ დატოვეს,

რომ არ გადაეხარათ...
 მერე, ალბათ, წარმოიდგენთ
 ულრანის მშვიდ საღამოს, –
 შემოდგომა, ფოთოლცვენა,
 გრილი სიო საამო.
 ზამთრის ძილის დაწყებამდე,
 ვახშმობას თუ სამხრობას,
 მოცვის ჯემით ჩაისა სვამს
 დათვის მთელი სახლობა.

გაზაფხული

დაეკარგა ზამთარს ძალა,
 უკვე თვლიან ყავლგასულად,
 მზის ყველაზე თბილი სხივი
 ციდან დაბლა ჩამოსულა.
 წიფლის ძირას ყოჩივარდა
 თავს აწონებს ფურისულას,
 ენძელა კი იას ეტრფის
 მასთან ახლოს გასუსულა.
 აღმა-დაღმა დაქრის სიო,
 მოვლენილი ტყეთა სულად
 და მალიმალ შეათრთოლებს
 გაზაფხულის ფერად სურათს.

ფუტარი და ჰეკალა

ტყის შუაგულში, მდელოზე,
 გამრჯე ფუტკარი შრომობდა –
 ყვავილთა ნექტარს წუნიდა
 მიპჟონდა, რასაც შოვობდა.
 იქვე უცრად პეპელა
 გამოჩნდა მდელოს ბოლოდან,
 თუმც მოერიდა ფუტკრის და
 მინდორს დახედა მხოლოდდა.
 ფუტკარმა უთხრა: – ყვავილზე
 დასკუპდი, ფრთებდახატულო,
 მაგ შენს მშვენებას მდელოზე
 მრავალი მწერი ნატრულობს.
 – მადლობელი ვარ, ფუტკარო,
 ჩემი ქებისთვის რომ იცლი,
 ამდენი საქმის მკეთებელს
 რადგან მოგწონვარ, მოვიცდი.
 – მთავარი მართლაც საქმეა,

როგორ არ ვიყო თანახმა?
 თუმცალა სილამაზესაც
 უნდა ყოველთვის დანახვა, –
 ეს თქვა ფუტკარმა. მდელოსაც
 მოსწონს პეპელას ფარფატი,
 ფუტკარი შრომობს, სიო ქრის, –
 ესეც ბუნების ნახატი...

სორო

წიფლის ძირას მყუდრო სორო,
 წიფელზე კი მწვანე სურო,
 თუ ვერ ვნახე, იქ ვინ ცხოვრობს,
 რა ვაჩუქო, რა ვუსურვო?
 მომწონს მისი სამოსახლო,
 ეზო – ხავსის რბილი ნოხი,
 კარგი იქნებოდა, ახლოს
 მეც მქონოდა ერთი ქოხი.
 პატრონს ვუცდი და მგონია,
 მომატარებს თავის სივრცეს,
 თურმე სუროს აჰყოლია, –
 წიფლის კენწეროდან მიცქერს.
 ვინაა და ცელქი თრია,
 თავის შესაფერად ბრიყვობს,
 რამე უნდა მიმერთმია,
 არ შემხვდება? კარგად იყოს.

მინდია და ნიგლია

ჩიტს შენატროდა მინდია,
 პანტა მოპქონდა ნაყარი:
 – ტყეთა მკვიდრი ხარ, ნიბლია,
 არ გაკრთობს ქვეყნის ყაყანი,
 ჯერ მარწყვი გატკბობს იღბლიანს,
 მერე მოცვი და მაყვალი...
 უპასუხებდა ნიბლია,
 ფრენით დალლილი, საწყალი:
 – იღბალი სად მიმიგნია? –
 ხან ქორი მომდევს, ხან ყვავი,
 მშვიდობით თუკი მივლია,
 ამ ტყეს უნდა ვცე თაყვანი...

ერთდღელი საშოვარზე

სამზარეულოში კურდღელს
არაფერი აღარ უდევს,
რამე უნდა მოიპოვოს, –
გადაევლო ბოსტნის ზღუდეს.
ბოსტნის პატრონს კი თოფი აქვს,
მით აშინებს ხოლმე ქურდებს,
მაგრამ ახლა მშვიდად სძინავს,
სიზმარში თუ ნახავს კურდღელს.
კურდღელი კი მოზრდილ ჭარხალს
სათავისოდ მიიკუთვნებს, –
მოთხრის და გზას გაუყენებს,
გაშორდება სოფლის კუთხეს.
ასეც ხდება, თუ არ იცავ,
შენს ნაშრომს სხვა ისაკუთრებს,
შერჩა კურდღელს ეშმაკობა,
საყვედურიც კი არ უთხრეს.
მაგრამ როგორც თქმულა, კოკა
წყალს მოიტანს მუდამ განა? –
ამიტომაც ურჩევნოდეს კურდღელს
ტყის ნაყოფთა ჭამა.

მელიები მაყვლიანში

დგას მზიანი ზაფხული,
დაგვიმწიფდა მაყვალი,
ოჰ, რა გემრიელია
მინდვრისა თუ საყანის.
დღე დაუდგათ პანიებს
მაყვლიანში წაყვანის, –
თავის ლეკვებს მელია
მაყვლის კრეფას ასწავლის.
– ნუ დაისვრით, ეკლებსაც
მოარიდეთ თათები,
სუფთა მელიები ვართ,
განა ბრიყვი დათვები.
როცა მაყვლით დანაყრდნენ,
ძირს დაეშვნენ ფერდობზე
პანტის ჩრდილში წამოწენენ
მათი სოროს ერდოზე...
თქვენ რა გიკვირთ, – საკვებად
მელიასთვის მაყვალი?
და მაშ როგორ, ყოველთვის
სად იშოვოს ქათამი?..

დათვები პანტის ქვეშ

მისდევს ბელი ბებენა
თავის ბიძას არქიფოს:
— დამელოდე ცოტა ხანს,
პანტა უნდა ავკრიფო.
მოუბრუნდა არქიფო:
— მეტად მარჯვე ხარ ვითომ,
პანტის აკრეფა თუ გსურს,
რად არ დახვალ კალთითო?
უპასუხა ბებენამ:
— ვერ ვიკეთებ ხათრითო,
მოძუნძულეს როგორდა
დაგენევი კალთითო?..

ძერაბ ჩხაიძე



გურული ნოველები

განსხვავებული სამყარო

ყველა სოფელს ჰყავს ერთი განსხვავებული სამყაროს მატარებელი. იმდენად მარტივი და ალოგიკური სამყაროსი, რომ, როგორც წესი, უმრავლესობაში ღიმილს იწვევს. უმრავლესობა სწორედ მათთან ურთიერთობაში ამჟღავნებს თავის „გონივრულ“ უპირატესობას, რაც მათ თვით-დამტკიცებისათვის ესაჭირობა. არა და ვინ იცის „განსხვავებული სამყაროს“ წუხილი? მათი სისარული ვინ იცის? მათი დარდები? ფიქრები მათი?

დასავლეთის ერთ-ერთი სოფლის ოჯახს საქორნილო სამზადისი ჰქონდა – ეზოში სეფა უნდა გაეჭიმათ. ამ დროს გვერდით დგომა იციან თანასოფლებმა, რათა სოფელი, კუთხე, ოჯახი არ შერცხვეს. ეს კია. ამ დროს ყველამ იცის თავისი საქმე. სამზადისში ქუციაც იყო ჩართული. ქუცია ოცდაათ წლამდე ზორბა ახალგაზრდა გახლდათ. სანამ ხმას არ ამოიღებდა, ვერაფრით ვერ მიხვდებოდით მის განსხვავებულობას. ისეთი გარეგნობის იყო, რომ სოფლის გოგონები ხშირად იტყოდნენ:

– წაწყმენდა არა ქუციას გარეგნობის ბიჭს ტვინი ამისთანა დღეში ჰქონდეს?!

იმ დღეს ქუცია თვალებში შესციცინებდა თანასოფლელებს. ისინიც – თავის მხრივ:

- რავა ხარ, ქუცია, ბიჯო?
- ყველაზე კარგად, ყველაზე კარგად!
- სულ მუდამ, ასე, ორ-ორჯერ იმეორებდა ქუცია ყველა პასუხს ან შეკითხვას.
- ვიო, შენს ჭკუაზე დამაყენა, ქუცია, ბიჯოოო, პანა ხანს მაიინც! – წაუმლერა ზაურიამ.
- რეიზა, რეიზა? შენსაზე ვერ ხარ, ვერ ხარ? – პასუხობდა ქუცია, რაც ხმამაღალ სიცილს იწვევდა.
- ქუცია, მიდი ერთი, ჭიდან ცივი წყალი მეიტანე! – დაუძახეს.
- კი, კი, მევიტან, მევიტან! – და იმ წამსვე, ხალისით გაქანდა ჭისკენ.

ქუციას ძალაზე ხომ ყველგან და ყოველთვის საუბრობდნენ: ხარს მუშტი ისე ჩაარტყა, რომ დაარეტიანა და წააქცია! უზარმაზარი მსახლის ხე ისე შეანჯლრია, რომ ხეს ნაყოფიც არ შერჩენა! რომ ხალხით გაჭედილი „ვოცთაოთხი“ მიწოლით მარტოკამ დააქოქინა! – და თუ ამგვარ ამბებს ქუციას თანდასწრებით ჰყვებოდნენ, უნდა გენახათ, როგორ დაიმორცხვებდა

ზორბა ახალგაზრდა კაცი, ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი უხერხული ღიმილი გადაურბენდა და არ იცოდა, საით გაეხედა.

— კაი ახლა, კაი ახლა, არ მიყვარს, არ მიყვარს... — იტყვოდა.

ქუცია ერთი თანასოფლელი გოგონას შეხვედრას გაურბოდა, რადგან იმ წამსვე გული უჩქარდებოდა, ოფლი ასხამდა და საპირისპირო მხარეს გარბოდა. ერთხელ ამგვარი გაქცევის მოწმემ გასძახა:

— რა იყო, ქუცია, ხომ არ გიყვარს ცისანა?!?

და მაშინ ქუციამ ისე დაიღრიალა: „ალარ მკითხო მაი კიდო, ალარ მკითხო მაი კიდოო“ — და იმგვარად შეეშალა სახე, რომ მართლაც არავის არასოდეს უკითხავს,

— ისე დაგვევრავს, რომე! მეერევი თუ რაი?! — ასე ამბობდნენ თანასოფლელები.

თორემ დაცინვა სულ მუდამ იყო, რაზეც ქუციას რეაქცია არ ჰქონია, რადგან არ იცოდა, რა იყო დაცინვა.

ახლა ქუცია ვითომ დამხმარე მუშა იყო, მაგრამ ყველაზე მძიმე სამუშაოებს ასრულებდა, როგორც ყოველთვის. უზარმაზარი ბოძებიც მან მიათრია, აი, ის რაზეც სეფა უნდა გაეჭიმათ. გასაშლელი ოცკაციანი მაგიდებიც მან შემოზიდა და მერე იმ ბოძებისთვის ორმოებიც მან ამოთხარა და ახლა ასობდა და მინას უტკებიდა.

— ბიჯო, ვახოია, რა ძალა აქ ქუციას თუ უყურებ?!?

— ოჲ, ა, ახლა გეიგე?!

— არა, მარა სულ მიკვირს!

— ქოყანას უკვირს მაი!

— ნეტა იმ ლოდს თუ აწევს? — გივიამ ეზოს გადაღმა უზარმაზარ ლოდზე მიუთითა.

— მაგას რას აწევს!

— ბიჯო, სერგია! ქუციე იმ ქვას აწევს, თუ იცი?!?

— გუუჭირდება!

— მოი დავნიზლავდეთ, რომე აწევს!

— მოი!

მალხაზამ მოჰკრა ყური საუბარს, ზე-

ვით განათების შნური რომ გაჰყავდა:

— მაქელა ქვას რას აწევს, ბიჯო, მაი? მაგას უაბოტინსკი ვერ აწევს, ქუციე კი არა! — ქუციეს გასაგონად თქვა.

— რომელს, რომელს?! — გამოსძახა ქუციამ.

— რომელს და ეგერ, ეზოს გადაღმა რომაა!

— დიდია, დიდია, ვერ ავწევ, ვერა!

— რავა ვერ აწევ, ქუცია? არ აალაპარაკო აგენი! მიდი, ანიე, აჩვენე ერთი, რა ძალა გაქ!

— არა, არა, არ გამუა, არ გამუა

— ჴო და ქე წააგეეე — წაუმლერა სერგიამ გივიას.

— აუფ! რეიზა ვითომ?

— თითონ თქვა და!

— არც მუუსინჯავს, მაი არ ითლება! გივიასთან ჴამლეტა მივიდა:

— ბიჯო, ცისანა დააფიცე და აწევს. — გადაუწურჩულა.

— ქუცია! ცისანა რომ დაგაფიცო?

— არ დამაფიცო რა, არ დამაფიცო რა.

— შეევედრა ქუცია.

ყველა ახარხარდა.

გივიამ არც აცია, არც აცხელა და:

— ჴოდა, გაფიცებ ცისანას იი ქვაი თუ არ აწიო!

ქუციამ დაბნეულმა გახედა გივიას და მერე დანარჩენებს. ყველა ულიმოდა, ასე მოეჩვენა მას.

— ხომ შეგეხვეწე? ხომ შეგეხვეწე? — უთხრა გივიას, მერე ხელები შარვლის ტოტზე გაისვა და უზქარებლად დაიძრა ლოდისკენ.

— მიი, ქუცია, მიი! კი აწევ შენ, კი! — ამხნევებდნენ.

ქუცია ეზოდან გადავიდა და ლოდს მიუახლოვდა, ყურადღებით შეათვალიერა, მერე დაიხარა და ვებერთელა მკლავები შემოახვია უზარმაზარ ლოდს. გამოწეული ადგილები მოუქებნა, თითები შეათამაშა და:

— ცისანა დამაფიცე, ხომ?! ცისანა დამაფიცე, ხომ!

— დაგაფიცა, ხო, დაგაფიცა! — უპასუ-

ხეს ერთხმად.

— ა! თუ დამაფიცე! თუ დამაფიცე, ა!
— და ამ სიტყვებთან ერთად ლოდი წელამ-
დე აიტაცა.

— მიდი, ქუცია, მიდი!

წახალისებული, შეეცადა უფრო ზევით
აეწია ლოდი და უცებ:

— ვა! — ამჯერად მხოლოდ ერთხელ
აღმოხთა ქუციას და ლოდი დაუკარდა...
თითონ ზემოდან დაეცა. ხელები ისევ შე-
მოხვია და ლოყა მიადო. მისცვივდნენ
კაცები... ლოდს ზოლად მოჰყებოდა სი-
ნითლე. ქუცია ცას გაჰყურებდა ოდნავ
შესამჩნევი ლიმილით...

ქუციას დედამ მექორნილებს შეუთვა-
ლა — ქორნილი არ გადადოთო. არც გა-
დაუდიათ.

შები

ნაშუალამევი იქნებოდა. უკვე მერამდე-
ნედ გაღვიძებოდა, საწოლიდან დგებოდა
ისე, რომ შუქს არ აანთებდა და ფანჯა-
რასთან მიდიოდა. გულისყურით აკვირდე-
ბოდა გარეთ ღამეს.

— რომ გათენდება, ჯერემ ხელ-პირს
დევიბან, მერე... არა, არა! ჯერემ ლოგინს
მივალაგევ და მერე დევიბან; მერე ქათ-
მებს დავაპურევ. საქათმეში რომ შევალ,
კარი არ უნდა დამჩეს ღიათ. ერი ნახევარ-
ლიტრიანი ბანკა პურისკეკალი უნდა დუ-
უყარო; მერე კვერცხს ევილევ ბუდიდან —
ხუთი უნდა იყოს, მარა ერთი უნდა დავ-
ტიო; მერე კუხნაში შევალ და გაზს ავან-
თევ, მარჯვენა კამფორკას, ნელ ცეც-
ხლზე ტაფას დავდგამ, ერთ კობზ ზეთს
დავასხამ და ორ ცალ კვერცხს დავატა-
ფავ. მარილი პანა უნდა. კვერცხს რომ
გული გუუმაგრდება, გაზს გამოვრთავ.
პურს ხელით მოვტეხავ, დანა არ უნდა
ვიხმარო, ხელს გამიჭრის. ამასობაში ტა-
ფა გაგრილდება და ქე შევჭამ; მერე კი-
დომ ავანთებ გაზს და ჩაინიკით ერ ჭიქა
წყალს დავადგამ. ორთქლი რომ ამუუვა,
გაზს გამოვრთავ. ე, მაი არ უნდა დამა-

ვიწყდეს! არა, არ დამავიწყდება, კი ვიზამ;
მერე ყვაილებს მოვრწყავ, წყალი ერი ცუ-
ცუნიე უნდა. მერე დედასან წავალ. პანა
ხანს გაჩერდიო, — ასე მითხრა. ა! რა გინ-
და? ყოლისფერი დევიმახსოვრე!

— ფიქ-რობდა ფანჯარასთან მდგომი ლამესმიშ-

ტერებული უბიე. შესცივდა და ლოგინში

ჩაწვა. ადრიანად გაეღვიძა და — „დედაო“!

— ოჟ, ა! აბდალა არ ვარ ახლა მეე? დე-

და რომ სახლში არაა, თლად დამავიწყტა!

საწოლიდან წამოდგა, შარვალი ამოიც-
ვა, პერანგი ჩაიცვა და სვიტრში გაუყა-
რა თავიც და ხელებიც, მერე სარკის წინ

დადგა და, როგორც შეეძლო, ისე გაისწო-

რა სამოსი.

— ჯერემ ხელ-პირი უნდა დევიბანოო.

დაიბანა.

— ახლა ქათმებს პურისკეკალი უნდა

დუუყაროოო.

კუხნაში ტომარას ნახევარლიტრიანი
ქილა ამოუსვა და ხორბლით აავსო. სა-
ქათმის კარი ფრთხილად შეალო. უბიეს
დანახვაზე ქათმებმა კრიახი მორთეს და
მისკენ გამოიქცნენ.

— მოით, მოით! ა, მევიტანე!

ნელში მოხრილი საკენეს აუჩქარებ-
ლად ყრიდა უბიე. სანამ ამ საქმით იყო
დაკავაებული, უბიეს მხრებზე, ზურგსა
და თავზეც კი, ასე ხუთი-ექვსი ქათამი
დააჯდა.

— მეიცათ, მეიცათ! რა იცით აი, ა?!
არ დამსვაროთ! მეც კი მიყვარხართ მარა,
ხომ არ განუხებთ? — უკამაყოფილოდ ბუზ-
ლუნებდა უბიე.

მერე ბუდესთან მივიდა და მართლაც
ხუთი კეერცხი დახვდა,

— ოხი უნდა ევიღო და ერთი დავტიო.

ასეც მოიქცა. კუხნაში გაზთან მივიდა.

— ჯერემ არ შევჭამ... ჯერემ დედასან
წავალ...

მიდიოდა და ფიქრობდა უბიე:

— ახლა რომ ეწყინოს, რომ არ მიზაკუს-
კია?.. არ მუუყობი... მაინც ვერ გეიგებს...
მარა აი, ტყუილი რომ არ მინდა? რა ვქნა
ახლა მე?... მივბრუნდები და კვერცხს შე-
ვიწვავ!

მიბრუნდა.

— მარა ახლა ძაან რომ მომენატრა?.. არა! ჯერემ დედასან წავალ!

— სა მიხვალ, ბიჯო, უუბია ასე იალონში? — გამოსძახა მეზობელმა ანიჩქამ.

— დედასან მივალ, დედასან.

— ჯვარი გენეროს, უუბია, ჯერემ! — გამოსძახა და ჩაილაპარაკა: — ჯვარი გენეროს, შე საცოდაო...

საფლავის ცივ ქვაზე იჯდა და გუშინ-დელ და დღევანდელ აბბებს უყვებოდა. არც ის დაუმალავს, რომ არ უზაკუსკაა, მარა პირობა მისცა, რომ სახლში დაბრუნებისთანავე კვერცხს შეიწვავდა. შუადღემდე ესაუბრა უუბიე დედას...

— ჯერემ გაზი უნდა ავანთო, მერე ნელ ცეცხლზე ტაფა დავდგა... ზეთი ერი კოვზი უნდა... მარილი პანა... — ასე დამი-ბარა დედამ...

მარტოდ დარჩენილი სახლისაკენ მიდი-ოდა.

ლიზიარ

ის ორი კვირა მზიანი დღეები დაიჭირა, მაგრამ, არა, დასვენება ვერ გამოუვიდა. ხან ვინ შეხვდებოდა, ხან ვინ. ცოტა მოვწრუპოთ — და.

ერთი კვირა გადააბა. გადაწყვიტა, დი-ლიდანვე ბოტანიკურ ბაღში ევლო, მაგ-რამ პირველივე დღეს იქაც ნაცნობები. კიდევ რამდენიმე დღე არ გამოფხილებულა. ვერაფერი დაწერა. რაღაცები კი ჩაინიშნა, მაგრამ ფხიზელზე ვერაფერი გაარჩია და ვერც ვერაფერი გაისხენა. იმ დილით სიზმარმა გააღვიძა: ბების ბი-ძაშვილი ლიზიკო ნახა, სულ თეთრებში გამოწყობილი. უთხრა — ვიცი, ბათუმში რომ ხარ და წესიერად ვერ ისვენებ, ლო-თაობას გადაყევიო. იცოდე, უკან გზაზე ჩემთან აუცილებლად უნდა გამეიაროო, რაცხა საქმე მაქო.

ბავშვობიდანვე ლიზიკოს ეძახდა. გა-უთხოვარი დარჩა ლიზიკო და ახლა იქნებოდა ასე ას წლამდე. თავისებური ქალი

იყო, საოცრად თავისუფალი, უფრო ზუსტად — ნამდვილი დემოკრატი. არავის გუ-ლისმოგებას არ ცდილობდა, ყველას ეურ-თიერთებოდა და სოფელში ყველაზე ნამ-ხდარი კაციც კი აუგს არ და ვერ იტყოდა ლიზიკოსთან დაკავშირებით. არ არსებობდა საკითხი, რომელზეც საუბარი არ შე-ეძლო. ყოველგვარი ტერმინოლოგის გა-რეშე, ისე, თავისი სიტყვებით, ლელვივით გაგირჩევდა საკითხს. არ აღელვებდა, სხ-ვას რა მოსაზრება ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით, კი, მოუსმენდა, მაგრამ მთავარი ის იყო, თითონ რას ფიქრობდა.

თითქმის წელიწადი არ ენახა მოხუცი, მიხვდა, რომ მონატრებოდა და გადაწყვი-ტა, ჩასულიყო.

ლურჯად შეღებილ ლიზიკოს ჭიშკარს რომ მიადგა, გასძახა:

— ლიზიკო!

ლიზიკომ ბახჩიდან გამოსძახა:

— არ თქვა ახლა ნიაზიე ვარო?!

— რომ ვარ?

— ჰოდა, რომ ხარ, ჩამოი ეზოში და მეირჩე ჩემკენ, იქნება დეგინახო, აგერ, ბახჩაში ვარ!

ბარგი სახლის წინ დადო, ლიზიკოსთან მივიდა, ხელები წელზე შემოხვია, მაღლა ასწია და ლიმილით უცქერდა მოხუცს.

— რას შობი, ბებია, გადირიე თუ? ჩა-გენსხროვი ხელეფუში!

— ნუ გეშენია, ლიზიკო, არ ჩამენსხრო-ვი. — ნაუგურულა ნიაზმაც.

— რაფერ დაგემართა, რომ ჩამოი?

— ბათუმში ვიყავი და არ მიქნა გულმა

— ხომ არ დეგესიზმრე, ნიაზია?

რადგან ეს კითხვა მოულოდნელი აღ-მოჩნდა, ნიაზმა დაბნეული ლიმილით გა-ხედა და:

— კი, ლიზიკო, დამესაზმრე, ხომ იცი!

— კარგათ ქე მაინც?

— ჩამოსვლას მთხოვდი.

— თეთრები მეცვა, ბიჯო?

ეს სწორედ ისეთი კითხვა გახლდათ, რომელმაც ნიაზს ოდნავ, მაგრამ პირი მა-ინც დააღებინა.

— დამუნე, ბიჯო, მაი პირი! რა გჭირს?

ესე იგი ჩამოსვლას გთხოვდი?

- კი... მთხოვდი...
- უყურე შენ! რეიზა ნეტა?
- აი, ეგ არ გითქვამს.
- მაი აფერი! ეგერ, ე, ზეით გეიხედე,

მიაწყვიტე იი კიტრი.

- ყუნწს რომ ვერ ვწვდები?
- საცხა სტობი დაუტრალე და მოწყდება.

მაღლევე მოხუცი ტაბლას აწყობდა. ნა-დულიო, ყველიო, ნიგვზიანი ბადრიჯანიო, მოხარშული ვარიკაო, მწვანილო, სალა-თიო, მჭადიო და, რა ღა თქმა უნდა, ადე-სა დაცვარულ დოქტორი, ნიაზს რომ ჭიდან ამოალებინა.

- ბებია, რაცხაა აია, მიირთვი, ღვინოც მიაყოლე და ერი ჭიქა მეც დაისხი. არაყიც მაქ, გინდა?
- არა, არა, ღვინო მირჩევნია.
- ჰო, და მაგერაა.

ნიაზი გემრიელად შეექცეოდა. თვა-ლებმოჭუტული ლიზიკო ლიმილით უც-ქერდა.

- ერთი კი არა და სამ-სამი ჭიქა დალიეს.
- ლიზიკო, რამდენის ხარ? – ჰკითხა ნიაზმა
- უფ, ბებია, იმდენის, რომე არ ითქმება!
- რატომ არ ითქმება?
- არ ითქმება, ბებია, არა, ხანდახან მცხვენია კიდეც.
- რისი, ლიზიკო?
- აგერ გასულ სამშაბათს მეზობელი მოკტა. ორმოცდაჩვიდმეტი წლის კაცი იყო, ოთხი ობოლი დატია. იმ თვეში იმფე-რი პალანა დეიხჩივა ზღვაში, რომე მთელი სოფელი ბლაოდა. რამდენი წევიდა იქით და მე ქე ვარ.
- ეგ ღვთის ნებაა, ლიზიკო.
- სუ, ბიჯო, ნუ ჩივი აბდლურს!
- აბდლური რატომ არის?
- რეიზა, ნენა და სა ცალია ღმერთს ყველას სადევნად? მეტი საქმე არა აქ ახ-ლა მაგაზე იფიქროს, რომე ლიზიკომ ამ-დენი იცოცხლოს და დურმიშხანამ – ამ-დენიო!

– დურმიშხანა ვინ არის?

- რა ვიცი მე ვინაა, ისე ვთქვი!
- აბა, რა საქმე აქვს ღმერთს?
- ბეური!
- ჰოდა, რა?
- მაი არ ვიცი მე! იი ვიცი, რომე არ გაჩერდება!
- ლიზიკო, ყველაზე სრულყოფილი რაც შექმნა ღმერთმა, ადამიანია და ვი-თომ უყურადღებოდ ეყოლება?
- აღარ გეიმიორო მაი, ნიაზია! რაფე-რაა ადამიანი ყველაზე სრულყოფილი? მასე რომ იყოს, ამდენს დავაშავებდით?
- რას გულისხმობა?
- ტიტუუ, გადამრევ შენ! ერთი სფე-რო დამისახელე, რომე არ დეეშავებიოს!
- მეცნიერება!
- რას ჩივი, ბებია? კაკ რაზ მაქანე ყველაზე მეტი დააშავა! კაი, კაი გაჩერდი! ეტყობა პანას ფიქროფ, თვარა მაგას არ იტყოდი. შენ იი მითხარი, კიდომ წერ?
- ხანდახან.
- ახლა იი მითხარი. რამდენ ხანს რჩე-ბი?
- ასე სამი-ოთხი დღე.
- არა, ბებია! ათი დღეი უნდა გამიჩერ-დე აქანე, იცოდე! საქმე მაქ და ვარი არ მითხრა!
- კარგი, ლიზიკო, მასე იყოს.
- ჰოდა, გეისარე, ბებია. საჭმელ-სას-მელს არ მოგაკლეფ და ქე იყაი, რა გაქ ზორი? ზეით დანობი თუ ქვეით?
- ჯერ არ მინდა დანობა.
- ნიაზია აბდალავ, როის გითხარი, ახ-ლა დაწერი მეთქინ?

ნიაზმა სიცილით უპასუხა:

 - სულერთია.
 - ზეით გირჩევ, ქვეით პანა ნესტია.
 - როგორც იტყვი, ლიზიკო.
 - ლები რბილი გიყვარს?
 - არა, რბილი არა.
 - მეც მასთე ვარ. ფიცარი მიდუანა ქვეშიდან, თუ გინდა შენდაც დავდოფ.
 - მე დავდებ.
 - სუ, ახლა! ჩემი კრაოტია და უკეთე-სათ ვიზამ!

- მასე იყოს.
- ლიზიკო, ბებიაა! – დაიძახეს ჭიშ-კართან.
- მოი, რომელი ხარ?
- ღუნჭულიე ვარ.
- ჩამოი მერქ!
- ასე ორმოცდაათწლამდე იქნებოდა მე-ზობელი ღუნჭულია:
- გამარჯობა. უი, არ ვიცოდი, სტუმა-რი თუ გყავდა, თვარა არ მევიდოდი.
- აფერს არ გიშლის მაი სტუმარი, ღუნჭულია, მითხარი რა გინდა.
- ლიზიკო ბებია, ჩემს პაკუსიას ნემ-სებს ვეღარ უკეთებ და მასწავლე რამე.
- რეიზა ვერ უკეთეფ?
- ჯემალიეს მანქანა რომ დეეჯახა, იმას მერე ხომ ვერ იდგა ფეხზე და თუთ-ხმეტი ნემსი დუუნიშნეს. რვაი რომ გუუ-კეთე და პანა მეიხედა, ახლა ალარ მიჩერ-დება.
- არც გაგიჩერდება! ვის უხარია ტრაკ-ზე ნემსი?
- არავის.
- გიდელი გააქ?
- გიდელი როვა არ მაქ, გათხუო თუ?
- ღუნჭულია, გადამრევ შენ! ჯერემ ერთი, ყურძენი ჯერ არ დამნიფებულა, მეორე კიდომ – როის იყო ან შენ, ან ვინ-მეს რამე ვთხუე?
- არცაროის.
- ჰო და ეილე იი გიდელი, ნამუანვი-ნე მინაზე, რაც შენს პაკუსიას უყვარს, იი პანა შუუგდე მით და რომ შეყოფს თავს წამონიე იი გიდელი, მიხთი?
- კი, როვა არა!
- აბა, მითხარი ტრაკი სა ექნება პა-კუსიას?
- ზეით!
- ჰო, და ქე დაარჭვე იი ნემსი.
- გადამრევ შენ, ლიზიკო დეიდა, მაი სიდან იცოდი?
- სიდან ვიცი და რაც გავჩითი, მას მე-რე ნაავარიებ ძალლებს ნემსებს ვარჭობ ტრაკზე! წაი ახლა და მიხედე შენს პაკუ-სიას.
- უი, ლიზიკო დეიდა, გეიგე ჯემალიამ

- მანქანა რომ დაამტრია?
- თითონ რაფერა?
- კარქათა! უნიეს პაკუსიეს ცოდვებ-მა!
- ღუნჭულია, სუ ახლა იცოდე! მაგვე-რი აბდრული მეტი ალარ გეიმიორო! მთ-ლათ მაგიზა დაამტრია მაშინა ჯემალიამ, რომე შენ ძალლს დეეჯახა? რაია? გეეკი-და, დეენია და დეეჯახა თუ?
- რა ვიცი მე.
- თუ არ იცი, მაშინ სუ!
- კაი, წევედი მე და მადლობა.
- არასფრის.
- ღუნჭილიე ნავიდა.
- ნიაზი, ახლა ფიცარს დავდოფ შენ ლეიბსქვეშ და ხვალ იმ ვარიკას დაგიკლავ თვალს, რომ ვერ აშორევ.
- ნიაზს გულიანად გაეცინა:
- ისე, მართლა გავიფიქრე – გემრიელი იქნება-მეთქი, ხომ იცი შენ!
- რომ ვიცი, იმიზა დაგიკლავ.
- იმ ლამით ნიაზს კარგად ეძინა. ადრია-ნად გაიღვიძა. აივანზე გავიდა.
- ლიზიკომ ძროხა გადადენა.
- დილა მშვიდობის, ლიზიკო.
- მშვიდობა მოგცეს ბუნების ძალამ, ბებია. ჩამოი იზაკუსკე, ნიაზი. ყოლისფე-რი მზათაა.
- პირზე წყალს შევისხამ და მოვალ.
- გუშინდელ მენიუს ერბოკვერცხიც შე-ემატა.
- ლიზიკო, ეს ღვინო შენია?
- შენ ეზოს თუ მუავლე თვალი?
- ისე რა.
- აბა, არ თქვა, მწერალი ვარო!
- რატომ? – გაეცინა ნიაზს.
- მწერალს ბუნება თუ არ უყვარს, ვე-ფერს ვერ დაწერს!
- ვინ გითხრა, არ მიყვარსო?
- აბა, ბებია, გუშინს მერე ეზო რეიზა არ დაათვალიერე?
- სად წავიდოდა ეგ ეზო, ლიზიკო?
- ეზო არსათ არ წევიდოდა, მარა მე ასე ვიზამდი, მარა მაი აფერი. ყოლიფერი მაქ, რა ხილი გინდა. ცხრაი ხეი დავამყნე
- სამი ატამი, სამი, ვიშნაბალი, სამი ვაშ-

ლი. ჰო, კიდომ ერთი მსხალი. ე, გეიხე-დე იქით, დელისკენ, იი დემირა ვაშლია, წელს მომცა ნიშანი.

— ეგ ის არის, თვრამეტი წლის შემდეგ რომ ისხამს?

— გცოდნია! ახლა აგერ იქით, ნაცარა ვაშლმაც გეიხარა, იმის იქით თავრუჯულაა, კიდომ იქით ხეჭეჭურია. პანა გუუჭირდა, მარა ქე ხარობს. ისე ამინდები შეიცვალა. ასე თუ გაგძელდა, გადაშენდება კაცთა მოდგმა.

— ღმერთი დაუშვებს?

— ნიაზია, ყოლისფერზე — ღმერთი, ღმერთიო რომ იძახი, რა ქნას ერთი იმ ღმერთმა მითხარი? ტვინი მოგიტრუალოს? მაგას არ იზამს იმიზა, რომე მაი შენ უნდა ქნა! ადამიანმა უნდა მიატანოს პანა აზრი! ბჯოს! არ შეაწეს აი, ღმერთი?!

— ყველაფერზე ღვთის ნებაა, ლიზიკო-ოო.

— ა, კიდო! კია! მარა მაი სულ არ ნიშნავს, რომე შენი დასრილი გაწმინდოს!

— მასე რატომ ამბობ?

— ბიჯო, გლახის მეტი თუ ხთება რამე, მითხარი?

— არ არის მთლად მასე, კარგიც ხდება.

— დამისახელე ერთ — კაი.

— ქალაქები შენდება, მედიცინა წინ მი-დის, აი, მეცნიერებაში რამდენი სიახლეა.

— ბებია, ყორისფელი კეთდება ერთი მიზნით — გასამდიდრებლათ! მეტი საქმე არ აქვენ ახლა ვინცხა ქიმიკოსეფს და ბი-ოლოგებს, რომე ლიზიკოს და ნიაზიას წა-მალი გმუუგონონ, რომე დითხანს იცოც-ხლონო! კაკ რაზ, მაგ წამალმა შეიძლება უფრო მოკლას კაცი!

— წამალმა რატომ უნდა მოკლას?

— გასამდიდრებლათ, ნიაზი და აღარ მყითხო აფერი! შენ ჯერ... კაი, იმ მითხა-რი, შენი ბალანა რაფერაა?

— კარგად, კონსერვატორიას ამთავ-რებს, სიმფონიურ ორკესტრში აიყვანეს.

— უყურე, შენ! მაი კაია! სკრიპკაზე უკ-რავს?

— არა, არფაზე.

— იმფერი უურჩევია. რომე თავს ვერ გამეიჩნის.

— არ უყვარს თავის გამოჩენა.

— მაი კაი თვისებაა. ლამაზი გოგო გე-იზარდა ხომ?

— უშნო არ არის.

— ღმერთმა ბედნიერი გიმყოფოს, ბე-ბია! ყველას უმყოფოს!

— მადლობა, ლიზიკო.

— ბებია, ახლა მე პანა საქმე მაქ, შენ დეისვენე, აგერ გამაკი და ჩაჯეი, თუ გინ-და.

— ორი კვირა ვისვენებდი, ლიზიკო, რა-მე დამავალე.

— შენს ასაკში დასვენება არ იციან ჯე-რემ. დასვენებას სიბძნე ჭირდება, ბებია. თქვენ რომ დასვენებას უძახით, მაი დრო-ის ფლანგვაა.

— ზოგჯერ ეგეც რომ საჭიროა?

— ე, მაგის გაკეთება რომ აღარ მოგინ-დება და იმ დროს სარგებლიანათ გამეი-ყენეფ, რომ გიყვარს იმ საქმეს რომ გა-აკეთეფ, იმას ქვია დასვენება. ამას ისე გიჩივი, თვარა ყველაფერს თავისი დროი აქ და ამითაა ცხოვრება საინტერესო. თუ გამაკში არ გინდა, გამეიტანე იმ ჭილო-ფი და წამონენ ეგერ მოლზე, ცას გახედე, ქვეით დეიხედე, ბუნებას გახედე და იქნე-ბა დაწერო რამე კაი. ისე რა სტილში წერ?

— ყველა სტილს ვეპოტინები, ლიზიკო.

— იქნება სამე რამე გამევიდესო?

ნიზს გულიანდ გაეცინა:

— უმაგისობაც არ არის.

— ისე, ხომ იცი, ერთმა იაპონელმა რა თქვა?

— რა?

— პანა იღაპარიკე, ბეური იფიქრე და აფერი არ დაწერო.

— მასე რომ ძნელია?

— ძნელი რომაა, იმაზაა ბრძენების წაკ-ლებობა.

— ლიზიკო, დუმილი ყოველთვის რომ სიბრძნეს არ ნიშნავს?

— მართალია, არ ნიშნავს, მარა ჭკუიანს და უჭკუოს სხადასხვაი დუმილი აქვენ.

— კი, ეგ მასე არის.

- მეც მაი ვთქვი.
- ისე ყველა ბრძენი ვერ იქნება.
- არც აბდალია ყველა, მარა სიბრძნე რაფერაა იცი?
- როგორ?
- კაცმა მისი საქმე ძირფესვიანათ თუ იცის, იმ მის საქმეში ბრძენია. არ ჭირდება იმას მეტი. იმ მეტი იმიზა ტვინისჭყლეტა იქნება, ხოება მაგას და არ იწუხევს თავს. ისე, ნიაზი, შენ გიყვარს ხომ ტვინის გაბარტყუნება?
- შენ უფრო გიყვარს, ლიზიკო.
- მე აღარასფერი აღარ მიყვარს, ბებია.
- ეგ, როგორ?
- ჩემს გულში სიყვარული რაცხამ შეცვალა.
- სიყვარული რას უნდა შეეცვალა?
- არ ვიცი, ბებია, რა ქვია მაგას, მარა იქნება მუახერხო და აგიხსნა. ა, მაგალითად, ჩემი სისხლი ხარ და მიყვარდი აგერ შენ...
- ახლა აღარ გიყვარვარ?
- მაცა პანა. ჰო და, რომ მიყვარდი, სულ მინდოდა დამენახეთ, შენ, სხვაი ჩემიანები, მინდოდა ჩემ გვერდით ყოფილყაით, მწყინდა, რომ არ ჩამოდიოდით, ვდარდობდი, თქვენზე ბეურს...
- ახლა?
- სა გეჩქარება, ბებია, მაფიქრე პანა! არაა იოლი ასახსნელი...
- არ გაჩქარებ, ლიზიკო, ყურადღებით გისმენ.
- ჰო და მასთე... ახლა რაფერაა იცი? ახლა გამიქრა დარდიც და ფიქრიც. ახლა დილას რომ ავდგები და საღამოს რომ ვწობი, გულში ყველას გადავავლეფ თვალს, მოგეფერებით და დაგლოცავთ. ახლა თუ გინდა, სულ ნუ დამენახებით, ოღონდ თქვენ იყაით კარგათ...
- ეგ ხომ უფრო დიდი სიყვარულია, ლიზიკო?
- მარტოობაში მყოფი, იქით მიმავალი ადამიანის სიყვარულია, ბებია.
- იქით ნუ ჩქარობ, ლიზიკო.
- არსა არ მეჩქარება, ნიაზია, მე. არც

იქით და არც აქით, მე ახლა ვიტკპოფ ყველა წამს. რომ იცოდე, რაფერ მიღოღავს დროი... ასე მგონა, ასის კი არა, ორასის ვარ... ორასი წლის პანა ბალანა...

- აი, ეგ ვერ გავიგე.
- თუ ადამიანი სწორად ცხოვრობს, ნიაზი, იმ ვითარდება კიდევაც. ჰო და ე, იმ განვითარებას ბალნობამდე მიყავხარ - ყველაფერი გახარეფს, ყოლისფერს უღიმი, რაფერც ჩვილი. იმ განსხვავებით, ბებია, რომე უკვე ცხოვრებაგამოვლილი ხარ. შენ გინახავს ამფერი?
- პირველად ეხედავ ახლა...
- ბიჯოს! მიმხთარხარ!
- რაღაც წამეტანი ზერელად მიყურებ, ლიზიკო.
- როვა გეკადრება, ბებია! მაი შენ უყურეფ ზერელეთ ცხოვრებას და მაგას ხვედავ მე! მეტი აფერი!
- მეტი აფერი, ხომ?
- პანა რაცხა კია კიდომ.
- რა?
- ფიქრი გიყვარს და დაკვირვებული ხარ. მაი კაია.
- ესე იგი მეშველება?
- რაც გითხარი, მაი უკვე ნაშველია! დროი უნდა და იქნება ქე დაანებო წერას თავი.
- ისე ჩემი არაფერი წაგიკითხავს და იქნება მთლად მასე არა არის ჩემი საქმე?
- მე უფრო უკეთესზე გელაპარიკები, მე რომ გიჩივი იმ წერაზე მეტია, ბებია, იმ ცხოვრებაა. შენ ახლა რაცხა რომ მოგეწონება, კალმით ქახალძე გადაგაქ, ამ დროს, რაც შენ მოგეწონება, სულ არ ნიშნავს, რომ სხვასაც მეეწონება და ბოლოს გამუა, რომე ტყულა დაგიხარჯავს დროი. მარა შენ თუ ბალანსავით დეინახავ ქვეყანას და ყოლისფერს სხვას, დეინახავ სუფთათ, დეინახავ ეჭვის გარეშე, დაგეხურება მაი ორი თვალი და გაგეხსნება მესამე. მაშინ იტყვი - რაფერი აბდალა ვიყავი მაშინ, თავი რომ ჭკვიანი მეგონაო.
- შენ არ თქვი - ყველაფერს თავისი დრო აქვსო?
- მაი ჩემამდე თქუეს, მე გევიმიორე.

კი აქ, მარა მგონია რომე ამაზე შენ იფიქ-
რევ და ე! მაი მინდა მე! უფ! რაცხა ვერ
ვარ კარქათ.

— რატომ?

— მაი არ ვიცი მე. წავალ წამოვწობი
პანა ხანს.

ნიაზმა შეამჩნია, რომ მოხუცმა ფერი
დაკარგა, წამოდგა და ისე, რომ ხელი არ
შუშველებია, მოხუცი ოთახამდე მიაცილა.

იმ დღის შემდეგ ლიზიკო იშვიათად თუ
წამოდგებოდა. ნიაზი არაფერზე შეუნუხე-
ბია. თავს თითონ უვლიდა. სადილსაც უმ-
ზადებდა ნიაზი. კი ეუბნებოდა ნიაზი —
მივხედავ თავსო, მაგრამ არ გაუვიდა. მე-
ოთხე დღე იყო, რაც ლიზიკო ცუდად გახ-
და. სალამოსპირას ნიაზის სთხოვა, მასთან
შესულიყო. ლიზიკოს ფერი კიდევ უფრო
დაეკარგა. გამხდარიყო. ფითქინა პანია
ხელები საბნის ზემოდან დაელაგებინა.

— ნიაზი, ბებია, ერთი სათხუარი მაქ.
— მთხოვე, ლიზიკო.

— ხვალიდან სტუმრები მეყოლება. მე
გამიჭირდება ადგომა და სტუმრებსაც და
თავსაც შენ უნდა მიხედო.

— კარგი, ლიზიკო. ვინ მოვა და რამდე-
ნი იქნება?

— დღეს უკვე იყვენ. ხვალ ერთი დე-
მატება.

ნიაზი გაოცებულ-დამფრთხალი უყუ-
რებდა მოხუცს.

— დღეს ვინ იყო?

— დედა, მამა, ჩემი ძმა, ჩემი და. ხვალ
გაბოც მუა, ვიცი.

— გაბო ვინ არის ?

— ნიაზია, შენ გგონია მე არ მყავდა
შეყვარებული? ფიქროვ, რომე სულ მა-
ლაზონი ვიყაი? გგონია, შეუხადავი ვიყა-
ვი?... კი ვიყაი ერი ქალი. მიყვარდა გაბო
და ველოდებოდი. დიდხან.

არ ჩამევიდა ომიდან. არც ჩემი და მისი
ბედი არ იყო. კაი გარეგნობის და ხასაი-
თის იყო. მორცხვი იყო. ერთჯერ მაკოცა
ლოყაზე, რომ წევიდა მაშინ.

ხვალ მუა, ჩემებმა მითხრეს. თურ-
მე უთქვამს — უნდა გათხოვილყო, მა-
რა მე ვიცი, რომ გულში უხაროდა სხვა

კაცთან რომ არ დავწეი. ვერ ვქენი, ვერ
უდალატე. ხვალ მუა და იმას ვფიქროვ,
თუ მიცნობს... თითონ ოცდაცამეტი წლი-
საა, მე კიდომ, აუფ... მოკლედ, ხვალ რომ
ამოხვალ, ჩემებიზა და გაბოზა პრიბორე-
ბი ამეიტანე, იქინე, ბუფეტ-შეკაფი რომაა,
იმაში კაი სერვიზია. ღვინო ჩაციებული
გქონდეს. ბოდიში, ამდენს რომ გავალევ,
მარა კი გამიგეფ შენ. წაი ახლა და იბო-
რიალე ეზოში ან დეისვენე, მე დღეს მეტს
არ შეგანუხევ.

— არ ვწუხდები, ლიზიკო.

— და კიდომ არ შეგეშინდეს, დღეს არ
მოვატები.

— ეგ კარგია. — შეეცადა ესუმრა.

— მაი კაციშვილმა არ იცის, ამ დროს
კაი რაია... წაი ახლა...

უბმოდ გავიდა. იმ ღამით ვერ იძინებ-
და, მარამ თავს ძალა დაატანა, რადგან
ხვდებოდა რომ გამოძინებული უფრო სა-
ჭირო იქნებოდა.

ადრინად ადგა. მეზობელი ბეჟანა დაი-
ნახა და მიესალმა. ერთმანეთი მოიკითხეს.
მერე მოხუცის კარზე მორიდებით დააკა-
კუნა. ლიზიკომ — შემოდიო და შევიდა.

— როგორ ხარ, ლიზიკო?

— ა! შემოდიან სტუმრები.

— მოვიტანო?

— კაი იქნება.

სუფრა ლამაზად გააწყო. თუ რამ იყო,
ყოველივე სუფრაზე დაალაგა, თითონ
კართან სკამზე ჩამოჯდა.

იჯდა ასე ერთი საათი. მოხუცს ხმა არ
ამოულია. ზოგჯერ თუ გაილიმებდა.

მერე:

— მიცნო! ცრემლი დუუნახე. ეჰ, ნი-
აზი, აალაგე ახლა მაი სუფრა. კაი ბიჭი
ხარ.

— ნავიდნენ?

— კი.

— რატომ არ გამოელაპარაკე?

— უსიტყვოთ უგებდით.

— მეცა!

ცოტა ხანში:

— ნიაზი, ყურადღებით მომისმინე. ჩე-
მი დასამარხი ფული ლობიით ქოთანი რომ

დგანა ბუფეთში, იქინე დუანა. ქელეხი არ გადეიხადო. მაგ ფულიდან ნახევარი ზურიე ბაჯელიძის ოჯახს მიეცი, რვაი ბალანა ყავს, უჭირს მაგენს. საფლავზე მარტო აკაციის ჯვარი დაასვე, მეტი არა საჭირო. ზევიდან ბალაზი თუ იქნება, კაია. სულისახსნა და ორმოცი ქე გადამიხადე... მერე თუ ვინმეს ნახავ ამ სახლ-კარის მომვლელს, ქე დააყენე, თვარა გინდა გაყიდე, გინდა დეიტიე. ხომ იზამ ამ საქმეს, ნიაზია?

- კი.
- კიდომ მაქ სათქმელი.
- გისმენ, ლიზიკო
- მიქელ-გაბრიელი იყო ჩემთან...
- რა მინდაო?
- ნიაზია, ნუ გადამრიე, ბიჯო, რა უნდა მიქელ-გაბრიელს არ გაგიგონია? – სუსტად გაეცინა მოხუცს.
- ასე მითხრა, ოც წუთში მოგაკითხაო. მანამდე ბეჟანას შუუვლიო.
- ვინ ბეჟანას? – სწრაფად იკითხა გაოცებულმა ნიაზმა.

- ბეჟანა ერთი გვყავს სოფელში, ნიაზია, შენც იცნოფ.
- რას ამბობ, ლიზიკო? სანამ შენთან შემოვიდოდი ბეჟანას მივესალმე! საღსალამათი სიმინდით სავსე გოდრით სახლისკენ მიდიოდა!
- რა ვიცი, ასე კი მითხრა და... ნიაზი... ბებია... პური ჩამიწე ღვინოში და მომეცი...

- ასეც მოიქცა.
- მადლობა, ბებია... გეიხარე... შენ არ იცი, რამხელა მადლი მეისხი. მე როის და ვინ მნახვდა.

ეს კი თქვა ლიზიკომ და საშინელი წივილ-კივილი ატყდა! ნიაზი გარეთ გავარდა. ხმები საიდანაც მოდიოდა, იქით გაიქცა. ინსტინქტურად გარბოდა. გზად ტრაქტორისტი ვალიკოს ბიჭი გენოი შეხვდა:

- რა მოხდა, გენოია, თუ იცი?
- ბეჟანას ნალიაზე გოდრით სიმინდი აქონდა, კიბის საფეხური ჩუუტყდა, ჩამუარდა ძირს და გლახათ დაარტყა თავი!

ერთ ამოსუნთქვაზე ამცნო გენადიამ.

- მერე?
- მერე დალია სული!
- ნიაზი ლიზიკოს სახლისკენ შეტრიალდა და ახლა იქით გაიქცა. ეზოში შევარდა, კიბე აირბინა და მოხუცის ოთახის კარი უკვე ფრთხილად შეაღო...
- ნიაზი – სუსტი ხმით დაიძხა.
- გისმენ, ლიზიკო.
- აგერ ჩემს სასთუმალქვეშ ლოცვების წიგნია... გვერდი წითელი ძაფით მაქ მონიშნული და წამიკითხე... ნუ მეტყვიუარს...

ნიაზმა წიგნი გადაშალა. სულისგაყრის წინ წასაკითხი ლოცვები იყო... სამჯერ დაიკვენესა ლიზიკომ...

- ნიაზმა ყოველივე შეუსრულა...
- ერთი უცნაური რამ მოხდა ლიზიკოს საფლავზე – აკაციის ჯვარი აღმართვიდან მეორმოცე დღეს სიმწვანით შეიმოსა.

ერთ ნახოს!

სონია ბოლო მაცხოვრებელი გახლდათ ამ, ახლა უკვე, სახურავჩანგრეულ, იატაკ-ჩავარდნილ, უკარო და უფანჯრო სახლისა, ეზო რომ გაუვალ ტყეს მოუგავდა.

ერთი ძროხა ჰყავდა, კარგად რომ ინველებოდა. სახლისთვისაც და გასაყიდადაც ყველა რძის პროდუქტი ჰქონდა. ეზოდან გადმოსულს მხოლოდ დილაობით თუ დაინახავდით, ძროხას რომ საბალახოდ გადენიდა. მეზობლებში არ დადიოდა, მხოლოდ – სამძიმრებზე, თუ ვინმე გარდაიცვლებოდა. ქორწილებში არავინ ეპატიულებოდა, რადგან იცოდნენ, არ მივიღოდა. თუკი მოხდებოდა და ვინმეს მის ეზოში ფეხი ჩაუცდებოდა, უპატივცემულოდ არ გამოუშვებდა. ტაბლას ძირითადად უგემრიელესი რძის პროდუქტებით გადაავსებდა. სიტყვაძუნწი გახლდათ. თვალებში თითქმის არასოდეს შეგხედავდათ და თუ ეს მოხდებოდა, ვერასოდეს დაივიწყებდით ტკივილით სავსე ცისფერ თვალებს. თითქოს მთელი კაცობრიობის

სევდისათვის წამით შეგახედებდათ, წამით, რადგან მეორე წამს ისინი მიწისკენ ისრებოდნენ. რამდენჯერ გამიგონია მეზობლებისაგან:

- ქია საკადრისად!
- უწიეს მამამისის ცოდვებმა!
- ჯერემ კიდო სადაა, ანი ნახოს!

და კიდევ რამდენი... სონია ყოველივეს გრძნობდა და ყველას თავს არიდებდა. ცხოვრობდა ასე მოკეთილ-განდეგილად, სანამ ვინმეს ყველი, რძე ან რაიმე სხვა რძის პროდუქტი არ დასჭირდებოდა. ვფიქრობ, ამის გამოც არ მივიდოდნენ სონიასთან, მაგრამ ამას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა – ის, რომ სონია ძალიან მეიაფე გახლდათ და ის რაც ზემოთ აღ ვნიშნე – უგემრიელეს პროდუქტებს ამზადებდა. მე მალულად დავდიოდი სონიასთან. არც არავინ მიკრძალავდა, მაგრამ მაშინ თვითონ დავასკვენი – კარგ საქმეს არ ჩავდიოდი. ვგიყდებოდი სონიას ყველისთვის და ისიც ყოველ ჯერზე უხვად მიმასპინძლდებოდა.

სონიას რვა და ჰყოლია და ერთი ძმა. არც ერთ მათგანს შთამომავალი არ დარჩენია. არც ერთს შვილი არ გაუჩნდა. სონია რომ გათხოვდა, არც მას ეყოლა შვილი. მას და მის ქმარს გოგონა აუყვანიათ, სულ ჩვილი. უბედნიერესი ყოფილან სონია და მასზე ოცი წლით უფროსი ქმარი. უბედნიერესი იმ დღემდე...

სონიას ქმარი უსაუზმებია და ბაზარში გაისტუმრებია. ჩვილს რძე შესავა და აკვანში ჩაუწვენია. აკვანი ეზოში გაუტანია და დიდი ხის ჩრდილში დაუდგამს, თითონ სახლში საქმიანობა დაუწყია. შუადღემდე ქმარიც დაბრუნებულა და შვილი მოუკითხავს. სონიას უთქვამს – სძინავსო. კაცი აკვანთან მისულა, ერთი საზარლად დაუყ-

ვირია და იქვე გათავებულა. სონია იქით გაქცეულა, ჯერ ქმარს მივარდნია, მერე ბავშვისთვის დაუხედავს... სონიას შვილი ზეცაში იყო...

თურმე ყვითელი ჭიები შესევია. სახე თითქმის აღარ ჰქონია.

– უწიეს მამამისის ცოდვებმა-ო. – სონიას მამის სიკვდილს ვინც შეესწრო, გეტ-ყოდათ:

– რომ გეითიშა, რაცხა სახელების ჩამოთლა დეინყო. ბეური ჩამოთვალა. მერე იმიორებდა, ბორგავდა. ქე იყო ასთე ერი კვირა. მერე მოკტა. ახლა მაგას რამდონი ბალანა ყავდა გაყიდული ოსმალეთში, მაი ვინ იცის?! ალბათ, იგენს ხედავდა ბოლოსო.

სონია ერთ დილით მეზობელს უნახავს ჭიშკართან გარდაცვლილი. იქვე მიწაზე პატარა ქვის ქვეშ ქალალდის ნაგლეჯზე ეწერა:

„მეზობლებო, არიკაცისთვის არასფერი არ მითხვია. აი, პირველია და რაფერც ხთებით, უკანასკნელიც. გაყიდეთ ჩემი ძროხა და დამასაფლავეთ. მეტი აფერი არაა საჭირო. არიკაცზე წყენა არ მიმაქ. ამ სახში თუ ვინმე გადმუა, იცხოვროს ბედნიერათ. კაცებს იმას გეტყვით, რომე კაი მამები იყაით თქვენი შვილებიზა!

სონია“.

სონია ბოლო მაცხოვრებელი გახლდათ ამ სახლ-კარისა.

მისი გარდაცვალება არ შემატყობინეს.

ამას წინათ სონიას სახლთან მივედი. იქაურობას ვუცქერდი და მოხუცის თვალებში ჩამდგარი ვეება ტკივილი მხოლოდ ახლა გავიზიარე. უკან ვპრუნდებოდი და თან სონიას ყველის გემო მომქონდა. მხოლოდ ერთხელ ჩამესმა – „ჯერემ კიდო სადაა, ანი ნახოს!“



ნინო ლილიმელაშვილი

ნითელი წაბა

ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა, სა-ნოლიდან რომ წამოდგა, მზე დიდი ხნის ამოსული იყო. გაუკვირდა, წლებია ად-რე ელვიძება, დღეს პირველად გააც-ნობიერება, რომ ადრე ადგომის საჭი-როება არ ჰქონდა, აღარც საქონელი ჰყავდა, აღარც – ქათმები; დაიღალა, მუხლებიც სტკიოდა, წელიც, არც ჯა-ნი მოჰყვებოდა უკვე, არც მხედველობა უჭრიდა; პატარა ხომ აღარ იყო, მალე სამოცდაათს გადააბიჯებდა.

ლრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰერი: „სამოცდაათი... სამოცდაათი... – თა-ვისთვის გაიმეორა რამდენჯერმე. ამ-დენი წელი უძლებდა ტკივილებს, ამ-დენი დღე და ამდენი ღამე, საათები, წუთები, წამები... „კიდევ კარგად ვა-რო“ – გაიფიქრა. კიბესთან მივიდა, კი-ბის გვერდით ყოველ წელს მერცხლები იკეთებდნენ ბუდეს, რამდენიმე დღის წინაც მოფრიდნენ, ჩვეული სიბეჭითით შეუდგნენ საკუთარი ბუდის მოწყო-ბას. ისე ელოდებოდა ყოველ წელს მათ მოფრენას, თითქოს ვინმე ძალიან ახ-ლობელი მოსულიყოს. წელსაც ასე იყო, თუმცა... მოიცა... კიბესთან შედგა, მერცხლებს ნახევრად აშენებული ბუდე მიეტოვებინათ და სადღაც გაფრენი-ლიყვნენ. „რაღაც ცუდს მოასწავლებს

ეს ამბავი“ – გაიფიქრა და თავშალი სწრაფად შეისწორა. ცოტა ხანს კიბეზე ჩამოჯდა, გული უცნაურად აუჩქარდა, რამდენჯერმე შეხედა ნახევრად ჩამოშ-ლილ ბუდეს და თავი გააქნია: „რა ამ-ბავია ნეტავ, რატომ დამტოვეს ჩემმა მერცხლებმა ასე უეცრად?! თუმცა, რა გასაკვირია, ადამიანები გვტოვებენ და...“ – ჩაეცინა. ეზოს თვალი მოავ-ლო. რამდენი ხანია მარტო ცხოვრობს, სახლის კედლები აქა-იქ ჩამოშლილი-ყო, ეზოც აბალახებული და მოუვლე-ლი ჩანდა. ერთ დროს კი აქ სიცოცხლე ჩქეფდა. გაახსენდა, პირველად რომ შე-მოვიდა ამ ეზოში. ყველაფერი სუფთა და ახალი იყო, სახლის კედლებიც, ეს კიბეც, ახლა ყოველ ფეხის დადგმაზე რომ უსიამოვნოდ ჭრაჭუნობს. ტალა-ვერი ყურძნებით იყო დახუნძლული, გომურებიდან საქონლისა და ქათმების ხმა ისმოდა. ერთი შეხედვითაც შეატ-ყობდი, რომ ძლიერი ოჯახი იყო, ახლა კი ყველაფერი გაპარტახებულიყო. აბა რა ექნა, წლებს თავისი მიაქვს. როცა პირველად შემოვიდა ამ ეზოში, ვერა-სოდეს წარმოიდგენდა, რომ ეს სახლი, ეს ეზო, აქ მცხოვრები ადამიანები მისი სულისა და ცხოვრების ნაწილი გახდე-ბოდნენ. სულ პატარა იყო, თექვსმეტი

წლის, როცა ოჯახმა მისი გათხოვება გადაწყვიტა, ისე, რომ არაფერო უკითხავთ. თითქოს რაღაც ნივთი ყოფილიყოს, დაუკითხავად აიღეს და სხვა სახლში გადაიტანეს, რიგორც უსარგებლო რაღაც ფურცლის ნაგლეჯიან გამოუყენებელი ჭურჭელი.

ახსოვს ვიღაცები მოვიდნენ საღამოს, მათი წასვლის შემდეგ კი მშობლებმა გამოუცხადეს, რომ მალე ქორნილი ექნებოდა. „ეჱ, ალბათ დრო იყო ასეთიო“, – გაიფიქრა კიბეზე ჩამომჯდარმა, ახლაც კი არ შეეძლო მშობლების გამტყუნება. „ან რამ გამახსენა ახლა ეს ყველაფერიო“, – კაბიდან ნელა წამოდგა, ძლივს გაშალა წელი, ერთხელაც შეხედა მერცხლების ბუდეს და ოთახისკენ წავიდა.

ოთახში ისევ ისე იყო ყველაფერი, მაგრამ თითქოს დღეს ზედმეტად პირქუში მოეჩვენა იქ გამეფებული სევდა და სიჩუმე. „აი, შემომიყვანეს და ამ ტახტზე დამსვეს. ლამაზი კი ვიყავი“, – გაელიმა და ტახტს ხელი გადაუსვა. „თხელი აგებულების, თეთრი პირისასის, ჩემს თვალებზე ხომ მთელი სოფელი ლაპარკობდა – მწვანე, მწვანე უძირო ტბასავით, ახლა თმებს არ იკითხავთ? ოქროსფერი ნაწნავები წელს მიფარგვდა, წელი წერილი მექონდა, მაგრამ მკერდი – სავსე, ტუჩები ვარდისფერი, ნაზი ყვავილის ფურცლებივთ“.

ამაყად გასწორდა წელში, ლამაზი იყო, არ იგონებდა, ეჱ, წლებმა წაიღო ეს ყველაფერი. თავისი მომავალი ქმარიც პირველად ქორნილში ნახა. ერთი ნახვით არ შეჰყვარებია, მაგრამ დაინახა თუ არა, სიმშვიდე დაეუფლა. შიში, ეჭვები ყველაფერი გაქრა, შეხედა და მიხვდა, არ შეიძლებოდა, ასეთი ლიმილის პატრონი მოძალადე ან პოროტი ყოფილიყო. „ეჱ, განათლება მაინც თავისას შვრება“, – გაიფიქრა და გული შეეკუმშა, რომ თვითონ ვერ შეძლო ოცნებების ახდენა. ახლაც, ამდენი

წლის მერეც, სინანული იპყრობდა ამის გამო. „მაინც რა არის ბედი“, – გაიფიქრა. – „რაღა იმ დროს გამოიარა გზაზე, მე რომ წყალს ვავსებდი. მაშინათვე კი შევყვარებივარ, უი, ისემც მაგას რა ვუთხარო“, – სიყვარულით ჩაილაპარაკა და ხელი ჩაიქნია. „სოფლის სხვა ბიჭებივით უხეში და ცანცარა კი არ იყო, თქვა და გადაწყვიტა. არ ვიცნობ, მაგრამ მაგის მეტი არავინ მინდა მე, თუ იქნება, ეგ იქნება ჩემი ცოლიო. აი, ასე გაიმართა ჩვენი ქორნილი“. – ისევ ამოიხრა და ღუმელზე ჩაიდანი შემოდგა. „ჯერ მაინც სიცივეებიაო“ – გაიფიქრა. ფანჯრიდან მთებს გახედა, ნისლი ნელ-ნელა იფანტებოდა. „ეჱ, კარგი კაცი იყო ჩემი ქმარი, მთაშიც დავყავდი და ბარშიც, არც სხვა კაცებივით უკადრისობდა ქალის საქმეს, რამდენჯერ საჭმელიც მოუმზადებია და დილით თბილ საწოლში ჩაიც მოუტანია. აბა, სხვა ვინ იზამდა ამას – ზამთარში, სანამ ღუმელს კარგად არ გააგუზგუზებდა, ადგომის ნებას არ აძლევდა. ხან ხილი მოჰქონდა, ხანაც – ყვავილები. ზაფხულში ხის ქვეშ მიწოლილს ლექსებს მიკითხავდა. ერთადერთი იყო ასეთი კარგი და ისიც მე შემახვედრა უფალმა, როგორ შეიძლება რამეზე დავემდურო ღმერთს“, – გაიფიქრა, მაგრამ მაინც კი გაჰქირდა წყენამ გულში, თუ მარგუნა ეს ბედნიერება, ასე უცებ რაღად წამართვაო. ერთ ზამთარს, შეშის მოსატანად წასული, ველარ დაბრუნდა. ზვავი ჩამოწვა და მოიყოლა ქვეშ. ერთადერთ ნუგებად ის ახსენდებოდა ახლაც, რომ იმ დიღას პირველად გამოუტყდა სიყვარულში, სულ უნდოდა, მაგრამ ერიდებოდა, ენას პირში ვერ ატრიალებდა რომ ეთქვა, იმ დილით კი რატომლაც მორცხვობას აჯობა და უთხრა, ძალიან შემაყვარე თავი, მთელ ქვეყანას მირჩევნიხარო. ახლაც ახსოვს, როგორ მაგრად ჩაეხუტა ამ სიტყვების მერე და ამ დღის შემდეგ მისი გულისცემა ალარ მოუსმენია.

თავსაფრის კუთხით ცრემლები შეიმშრალა. „ღმერთო ის რა ჯოჯოხეთი გადავიარეო“. ტკივილით ახლაც კი სტკივა, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო, ველარც სუნთქავდა, ვერც აზროვნებდა, ყველაფერი ბურუსში გახვეულიყო და ერთ დიდ წვიმიან და ცივ ღამეს ჰგავდა, რომელიც არა და არ მთავრდება. „ღმერთო, ამის შემდეგ თუ ისევ ჯოჯოხეთი მელის სიკვდილის შემდეგაც და რა ვიციო“, – ჩაილაპარაკა გულმოსულმა, მერე კი თითქოს შეეშინდა, შეცბა: „ეს რეებს ვამბობ, ღმერთს საყვედურს როგორ ვეუბნებიო“, – სის თაროდან თაფლის სანთელი გადმოიღო, ღვთისმშობლის ხატის წინ, სკამზე ჩამოჯდა ანთებული სანთლით. ეს ხატი დედამთილმა აჩუქა ქმრის სიკვდილის შემდეგ, მას შემდეგ სულ მის წინ ლოცულობს, ლოცვები დიდად არ იცის, ვერც წიგნიდან კითხვას დაუდო გული, ასე გულიდან წამოსული ლოცვა უფრო მივა უფალთან, ასე სჯერა. ახლაც ქმრის სულისთვის ილოცა. სულ ასე მოსდიოდა, დაანთებდა სანთელს ქმრისთვის და თითქოს მის სანთელს ელოდებოდნენ, შემოუხვევიან გარს გარდაცვლილთა აჩრდილები, მშობლების, დედამთილის, მამამთილის, რომელსაც არ იცნობდა, რადგად ადრევე გარდაცვლილიყო; კიდევ თუ ვინმე ახსოვდა, ყველა ახსენდებოდა, თითქოს ევედრებოდნენ, ჩვენც მოგვიგონე, არც ჩვენ დაგვივიწყოვო და ისიც დიდი გულმოდგინებით იხსენებდა მათ სახელებს და ავედრებდა უფალს. „სანთელი კი ერთია, მაგრამ მისი მადლი ხომ უსასრულოა, ყველას გასწვდება, არა მგონია, ამით ჩემი ქმრის სულს რამე დააკლდესო“, – გაიფიქრებდა ხოლმე და ასე იჯდა ღვთისმშობლის წინ თავდახრილი, სანამ სანთელი ბოლომდე არ ჩაიწვებოდა და მისი აღი თითს არ შეეხებოდა. „სანთელს სული არ შეუბრო, თვითონ უნდა ჩაქრესო“, – ასე ასწავლიდა დედამთილი, რომელიც მისთვის

დედაც გამხდარიყო, მამაც, მეგობარიც და ერთადერთი გულის მესაიდუმლეც. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მშობლებთან დაბრუნდა. არაფერზე უფიქრია, სად იცხოვრებდა, როგორ, უბრალოდ სიმშვიდე უნდოდა, ყველასგან შორს ყოფნა. ერთ საღამოს გაიგონა, მისი ძმის ცოლი როგორ საყვედურობდა ოჯახის წევრებს მის გამო, „როდემდის უნდა იყოს აქ, მისი სახლი იქაა, სადაც გათხოვდაო“. მისი ძმა კი ჩუმად იდგა, დედაც და მამაც, არავინ შეპასუხებია, თითქოს დამნაშავეები ყოფილიყვნენ, აქეთ–იქით აცეცებდნენ თვალებს. გული ეტკინა მაშინ საშინლად, მაგრამ ეს წყენა და ტკივილი წამიერი იყო. იმ საღამოსვე დაბრუნდა უკან. არც არავის შეუჩერებია, გვაპატიეო, ერთი ეგ უთხრა დედამ და ეგ იყო.

დედამთილმა ოთახში შემოსული რომ დაინახა, სიხარულისგან ცრემლებად იქცა. აღარ იცოდა, რა ექნა, საჭმელი შეეთავაზებინა თუ დასვენება. დაფუსფუსებდა და თავი ვერაფრისთვის მოება. ახსოვს მაშინ მთელი გულით იგრძნო ის ტკივილი, რასაც ეს საბრალო ქალი დაატარებდა. ჯერ – ქმარი, მერე – შვილი. ადვილი ხომ არ იყო. „შენ ერთადერთი ხარ, რაც ჩემი შვილისგან მოგონებად დამრჩა, მისი სიყვარული, მისი სითბო ყველაფერი შენშია და მადლობელი ვარ, რომ დაბრუნდიო“. აი, ასე დაიწყო ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ორმა შაოსანმა ქალმა. „ბავშვი მაინც მოეცა ჩემთვის იმ დალოცვილ ღმერთსო“, – გაიფიქრებდა ხოლმე და ოცნებებში წავიდოდა.

სანთელი ჩაინვა და წამოდგა. ფანჯრის მინაში საკუთარ ანარეკლს მოჰკრა თვალი. გული ეტკინა. მხოლოდ ღმერთმა იცის, როგორ იტანჯებოდა ქმრის სიკვდილის შედეგ მისი სული და სხეული. ახალგაზრდა იყო, წესით სიცოცხლით უნდა გაეხარა, ალერსით, კოცნით. არა, არა, გათხოვება მეორედ

არც უფიქრია, ვერც სხვა კაცის შეხებას აიტანდა, მაგრამ სხეული ხანდახან თითქოს აუჯანყდებოდა გულსა და გონებას, აუჯანყდებოდა და არადა არ მშვიდებოდა. ასეთ დროს ათას საქმეს მოჰკიდებდა ხოლმე ხელს, რომ საქმეში ჩაფლულს რამენაირად გაეყუჩებინა ნდომა, მაგრამ თითქოს ვიღაც მის სხეულში ჩამალულიყო და მთელი ხმით ყვიროდა: „ახალგაზრდა ვარ, ლამაზი, მინდა ამ ტუჩებს ვინმე კოცნიდეს, ამ თმებს და სხეულს ვინმე ეფერებოდეს, მინდა მიყვარდეს და ვუყვარდე ვინმეს. ასე არ ჩავიკარგო მარტოობაში“. კიოდა მისი სულიც და სხეულიც, გული საგულიდან ამოხტომას ცდილობდა, მაგრამ არა, არ შეიძლება, მის სიყვარულს ვერ უდალატებდა. მის ხელებს, სუნთქვას სხვაში ვერ გაცვლიდა. ვერც ვერავის უზიარებდა თავის ფიქრებს და ასე უხმოდ იტანჯებოდა.

ერთხელ დედამთილმა დაუძახა, გვერდით მოისვა, თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა. შვილო, ქმარი მეც ახალგაზრდას დამეღუპა, ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მესმის. თუ გათხოვებას გადაწყვეტ, მე წინააღმდეგი არ ვიქნები, შენს არჩევანს გავიგებ. ამ სიტყვების მერე უფრო მეტად შეუყვარდა ეს შავებში ჩაცმული ქალი, მისი ქმრის დედა, შვილის და მეუღლის უხმოდ, უპრეტეზიოდ მგლოვარე. განაარ ჰყავდა მოსურნე, ჰყავდა, მაგრამ ვეღარ გათხოვდა, ვერ შეძლო. „არადა, რა ლამაზი ვიყავი“, – გაიფიქრა და სარკესთან მივიდა. სკივრიდან წითელი კაბა ამოილო. მეუღლემ ქალაქიდან ჩამოუტანა, მაგრამ ჩაცმა ვერ მოასწრო, არ დასცალდა. მის ნაცვლად შავმა სამოსმა შემოსმა მისი ახალგაზრდა სხეული. კაბა წითელი იყო, ბრონეულისფერი, სიცოცხლეს მოგანდომებდა, წინ მთელ სიგრძეზე ოქროსფერი ლილები დაჲყვებოდა, მკალავებსაც ოქროსფერი არშიები ამშვენებდა. „ნეტავ ისევ თუ ჩამეტევაო“, – გაიფიქრა. მიიზომა.

უცებ შეცბა, თითქოს უდიდესი დანაშაული ჩაიდინაო, კაბა სასწრაფოდ მოისროლა, ტახტზე მიაგდო. ღრმად ჩაისუნთქა და ისევ ეზოში გავიდა. რამდენიმე ხანს იქ დაჲყო, მერე გაახსენდა, ლუმელზე ჩაიდანი რომ შემოდგა, ჩამქრალ ნაკვერჩალზე როგორც იქნა ადულებულიყო. ჩაი გააკეთა, კარადიდან მურაბა და პური გადმოილო, ჭამდა და მაინც იმ წითელი კაბისკენ იყო მისი გულისყური მიმართული.

რაღაც უხილავი ძალა ეწეოდა იქით, სწრაფად წამოდგა, კაბა აიღო, სკივრისკენ წავიდა, მაგრამ მაინც შეჩერდა. სარკესთან მივიდა. ფრთხილად გაიხადა შავი კაბა. თვალი გაუსწორა საკუთარ თავს. ამდენი წლის მერე პირველად უყურებდა საკუთარ სხეულს. კანი მოშვებული ჰქონდა, განსაკუთრებით ყელთან, მკერდთან და მკლავებზე. წელი ისევ წვრილი ჰქონდა, მკერდი – ქვემოთ დაშვებული, ფეხები – გამხდარი და უჩვეულოდ თეთრი, ზაფხულშიც კი შავ წინდებს ატარებდა და, ალბათ, ამიტომ. თავსაბურავი მოიხსნა, ნაწნავი დაიშალა. ისევ ისეთი სურნელი ჰქონდა მის თმას, უპრალოდ ალარ ბზინავდა ძველებურად, ჭალარაც შერეოდა.

წითელი კაბა ფრთხილად გადაიცვა. ოდნავ ვინროდ ჰქონდა, მაგრამ ჩაეტია. თავდახრილი იდგა, ვერ ბედავდა თავის ანევას, ეშინოდა საკუთარი თავის დანახვისა, წარსულისა, აწმყოსი, მომავლისა, საკუთარი ტკივილისა, სიხარულისა, გამბედაობისა – ყველაფრისა ერთდროულად ეშინოდა. მაინც ასწია თავი, საკუთარ თავს თვალებში ჩახედა. დაინახა, როგორ გაევსო ცრემლებით უძირო ტბასავით მწვანე თვალები, დაინახა, როგორ მოგორავდნენ ცრემლები დამჭკნარ ლოყებზე, მოშვებულ ყელზე, დაჭორფლილ მკერდზე და როგორ ეწვეთებოდნენ იატაკზე; ხედავდა და გული გამალებით უცემდა, ცხელი და მტკივნეული იყო ეს ცრემლები, მაგრამ – უცნაური. ის იყო, რომ

შვებას ჰგვრიდა.

ცოტა ხანში დამშვიდდა, ისევ შეხედა საკუთარ თავს სარკეში, მოხდენილად დატრიალდა, ცოტა არ იყოს სასაცილოდ გამოიყურებოდა. გამოჭედილი იყო წითელ კაბაში, თმებსაც დალალებამდე ბევრი ეკლდა. ამ ამბავმა ჯერ სევდიანი ლიმილი მოჰვარა, ტუჩის კუთხეებს ნელა შეეპარა, მერე სიცილად ექცა და ბოლოს ისტერიულ ხარხარად გადაექცა. უცნაურად აღტკინებული იყო. ეზოდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. პირდაპირ წყაროსკენ აიღო გეზი. იქ იკრიბებიდა მთელი სოფელი სალაყბოდ, ათასი ჭორ-მართლის გასარჩევად. შორიდანვე შენიშნეს. ზოგიერთმა ხელითაც კი მოიჩრდილა, ზოგმა სათვალე გაისწორა, რომ დაეჯერებინა, რასაც ხედავდა.

- ეს მერიკოს რძალი არ არის?
- გაგიჟდა თუ რა სჭირს?
- ღმერთო დიდებულო, ნამდვილად ისაა.

მის ყურამდე მოაღწია ჩოჩქოლმა, მაგრამ არ გაჩერებულა, ჯიუტად მიდიოდა მათკენ, როგორც აუხდენელი ოცნება – წითელი კაბით, გაშლილი თმებითა და ლიმილით.

- მე ვარ, მე... – მშვიდი ხმით წარმოთქვა. – თქვენ მიერ ცოცხლად და-მარხული.

დაინახა, როგორ გადახედეს მეზობლებმა ერთმანეთს, მაგრამ გაჩერება არ შეეძლო, არც სურვილი ჰქონდა გაჩერების.

- ჩვენ რა დაგიშავთ, ბეჩავო, ხომ არ გაგიჟებულხარ? – უკმეხად შეეპასუხა მოხუცი ქალი და ნერვიულად შეისწორა ხალათის საყელო.

- თქვენ მაიძულეთ, სიცილი დამევიწყებინა. ქვრივია და რაღას იკრიჭება; მაიძულეთ, მთელი ცხოვრება შავები მეტარებინა – ქმარი არ ჰყავს და ვიღას ეპრანჭება; წყაროზე, აი, აქ, ზუსტად აქ, ვიღაც კაცმა შეურაცხყოფა მომაყენა და აბა, რა ეგონა, ქვრივია

და დაყიალობს წინ და უკან;

შეჩერდა, უნდოდა ეთქვა, ღმერთს ვთხოვ ყველას საკადრისად მოგიზღათო, მაგრამ... შეხედა წყაროსთან შეკრებილ მოხუცებს, რომლებსაც, ვინ იცის რა ტანჯვა გამოევლოთ, ქალებს, ახალგაზრდა გოგონებს, ჯერ კიდევ იმედით სავსეებს, ლალებს... ყველას სათითაოდ შეავლო მზერა, ზოგი დაბნეული უყრებდა, ზოგი – ეჭვით, ზოგი – ზიზღით, ზოგი – სიბრალულით... ხელი ჩაიქნია, გაიღიმა და სახლისაკენ წამოვიდა. ზურგს უკან ჩოჩქოლი ეს-მოდა.

სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა. ოთახში დაბრუნებლს აღარც ისე საშინალად მოეჩვენა იქ გამეფებული სიჩუმე. სისუსტე იგრძო, ტახტზე წამოწვა. მალევე ჩაეძინა. უცნაური სიზმარი ნახა: მინდორში იყო, ყველაფერი ყვაოდა ირგვლივ, ატმის და ალუბლის ხეები, ათასარი ყვავილები. თვითონაც კესანებისგან მოქსოვილი კაბა ეცვა. ორივე მხარზე მერცხალი ეჯდა. თან ბავშვი იყო, თან ახალგაზრდა და თან მოხუცი. ყველაფერი ერთად იყო და თან თითქოს არც არსებობდა. ყველაფერს ერთნაირად გრძნობდა – სიხარულს, სიყვარულს, აღტაცებას, ტკივილს, იმედგაცრუებას, მონატრებას, ბედნიერებას. ყველაფერი მასში იყო და თითქოს ყველაფერში თვითონ იყო. ფეხშიშველი დააბიჯებდა მწვანე ბალახზე. არავინ ჩანდა ირგვლივ, მაგრამ ახლოს გრძნობდა ვიღაცის არსებობას, ვიღაც უხმობდა. მიდიოდა ისე, თითქოს დიდი ხნის წინ გაევლო იქამდე მისასვლელი გზა, იცოდა, სადაც უნდა გაჩერებულიყო და ვინც დახვდებიდა გზის ბოლოს, მერე უჩვეული სითბო იგრძო, ისეთი, ჩახუტების დროს რომ იგრძნობს ადამიანი; ნაცნობი გულისცემაც გაიგონა და მიხვდა უეცრად რაღაცას ძალიან მნიშვნელოვანს და სიმშვიდის და სურნელის მორევში ჩაიკარგა.

აღარც გაუღვიძია.

ულაბნო

დგება მომენტი, როცა გეჩვენება, რომ იქ არ ხარ, სადაც უნდა იყო და ვერ ეტევი დედამინაზე, ვერ ეტევი საკუთარ სხეულში და გაქცევა გინდა... უფრო ზუსტად, გინდა გაფრინდე და ელოდები... ბოლოს კი ხვდები, ვერავინ გაჩუქებს ფრთებს, ის სულში უნდა გქონდეს. ხვდები ამას და თავისუფლდები.

სახელიც უცნაური ჰქონდა – გვრილა ერქვა, ერთ-ერთი ექსპედიციის დროს გავიცანი. ისეთი მშვიდი იყო და წარმოუდგენლად თეთრი, თხელი სახე ჰქონდა, ალბათჲ ამიტომ დაარქვეს გვირილა. შავი მოკლედ შეერეჭილი თმა ამშვენებდა, გრძელი სიფრიფანა თითები და დიდი თვალები. აი, ასეთი იყო, რომ ვნახე და ერთი ნახვით შემიყვარდა. არასოდეს მჯეროდა მსგავსი სისულელეების, უკვე ოცდათორმეტი წლის ვიყავი და ჩემს ასაკში ოცი წლის გოგოს ასე შეყვარება მე თვითონ მეჩვენებოდა უაზრობად, მაგრამ ცხოვრებაც ხომ სწორედ ასეთია, მოულოდნელობებით აღსავსე. მე უკვე ავტობუსში ვიყავი, ის რომ ამოვიდა, მშვიდი და თან დაბნეული სახით, მისი თვალები ცარიელ ადგილს ეძებდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ადგილები ბევრი იყო, ჩემკენ წამოვიდა.

– თქვენთან რომ დავჯდე, ხომ არ შეგანუხებთ?

შევხედე და აი, ამ დროს უკვე მიყვარდა.

– არა რას ამბობთ! – ვუთხარი. – დაჯექით.

ის ფანჯარასთან დაჯდა.

– მზეს უნდა ვხედავდე, თორემ ის არ შემიძლია! – გამიღიმა და მერე ხმა აღარ ამოულია. ფანჯრისკენ სახით იჯდა, მე მის მხრებს ვხედავდი, მის კისერს და სუნთქვა მეკვროდა.

მხოლოდ მაშინ შემომხედა, როცა ჩავდიოდით.

– იცით, აქ არავის ვიცნობ, შეგიძლიათ მარტო არ დამტოვოთ დღეს?

ხმა ვერ ამოვილე, მხოლოდ თავი დავუქნიე. დღეს კი არა, მთელი ცხოვრება ვეღარ დავივიწყებდი. ეს რაღაც სხვა იყო, რაღაც სიყვარულზე უფრო ძლიერი. ეს გრძნობა ძალას მაცლიდა, თან უჩვეულოდ ბეჭინიერს მხდიდა. ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე ფრესკაზე ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდა. რვეულში რაღაცებს იხაზავდა შავი ფანქრით, გაუნძრევლად იდგა ფრესკების წინ, უხმოდ უყურებდა. მე მხოლოდ მას ვხედავდი, არაფერი აღარ არსებობდა ირგვლივ – არც დრო, არც სივრცე, არც ადამიანები, მხოლოდ ის, წარმოუდგენლად თეთრი სახით და თხელი თითებით.

ტაძრიდან რომ გამოდიოდა, მაშინვე ისეთ ადგილას დგებოდა, სადაც მზე იყო, სახეს მზეს უშვერდა, თვალებს ხუჭავდა და ასე იდგა. ასე მეგონა, ამ ქვეყანაზე არც არაფერი ესაქმებოდა, ასე მეგონა, მინა ზედმეტი იყო მისთვის, უყურებდი და ჩემი ფიქრების, ჩემი გრძნობების მეშინოდა.

უცნაური გოგო იყო და სახელიც უცნაური ერქვა – გვირილა...

როცა უკან ვპრუნდებოდით, ტელეფონის ნომერი ვთხოვე, არანაირი ემოცია არ გამოუსატავს, რვეულს პატარა ფურცელი მოახია და მომცა.

– აი აიღეთ, წელან რატომლაც უკვე დავწერე ფურცელზე ჩემი ნომერი, უცნაურია არა? – მხრები აიჩეჩა და ისევ გაჩუმდა.

– ცხოვრება არ მინდა ხოლმე, როცა მზეს ვერ ვხედავ! – მითხოა უცებ. – თქვენ გიყვართ მზე?

– არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია, – ვუპასუხე და მერე ბევრს ვფიქრობდი მის შეკითხვაზე, ვნერვიულობდი, ვაითუ უინტერესო ადამიანად მოვეჩვენე მეთქი. მან კი მოულოდნელად მხარზე თავი დამადო და თვალები დახუჭა: – რაღაც დავიღალე, დავიძინებო ცოტას.

ვუყურებდი მის მშვიდ სახეს და ასე მეგონა, რაღაცისგან უნდა დამეცვა, ვერც კი წარმომედგინა, რომ სულ მალე ავტობუსი გაჩერდებოდა, ის წავიდოდა და ვინ იცის, რა იქნებოდა მერე. მეს-მოდა, როგორ სუნთქავდა, ვგრძნოდ-ბი მის სხეულს და ლმერთო, მიყვარ-და! ისე მიყვარდა, მარტო შეშლილებს რომ სჩვევიათ, ყოველგვარი მიზეზისა და მიზნების გარეშე. არაფერი მაინ-ტერესებდა, ვინ იყო, საიდან იყო, რა უყვარდა, რა სძულდა, რას ფიქრობდა. არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, მის გა-მო სამყაროს ვგრძნობდი და სხვა ყვე-ლაფერი უმნიშვნელოდ მეჩვენებოდა.

ის ჩემზე ადრე ჩავიდა, მინდოდა მასთან ერთად ჩავსულიყავი, მაგრამ ისე ჩავიდა, არც კი გამოუხედავს ჩემ-კენ, თითქოს არც მთელი დღე ყოფი-ლიყო ჩემ გვერდით და თითქოს არც ჩემს მხარზე სძინებოდა. უბრალოდ ადგა და წავიდა, არც კი შემოუხედავს. ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ მიდიო-და, მიდიოდა და თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება მიჰქონდა თან. როგორ მინ-დოდა, ერთხელ მაინც მოტრიალებუ-ლიყო, მაგრამ ის წავიდა და არც მო-უხედავს.

მეორედ რომ ვნახე, მეგობრებთან ერთად იყო, სულ სხვანაირი მომეჩვე-ნა – ის მოკლე თმა წითლად შეეღება, ყვითელი სარაფანი ეცვა, მზე უყვარ-და და თვითონაც მზეს ჰეგავდა. არც კი მომსალმებია, მაგრამ, დავიფიცებ, რომ ვახსოვდი, ვგრძნობდი, მისგან რაღაც სითბო რომ მოდიოდა. ალარც ჩუმად იყო, სულ იცინოდა და ყველასთან იყო, ჩემ გარდა. როგორ ვბრაზობდი, ბოლმა მახრიობდა.

– არ მესმის, რატომ ართმევენ ადა-მიანებს ტელეფონის ნომრებს, თუკი დარეკვას არ აპირებენ?! – მკითხა მო-ულოდნელად და მე მივხვდი მისი უყუ-რადლებობის მიზეზს. ის უბრალოდ ნაწყენი იყო, რომ არ დაკურეკე. რო-გორ ამეხსნა მისთვის, რომ ყოველ ღა-

მით ტელეფონით ხელში ვიჯექი და ვერ ვბედავი მისი ნომერი ამეკრიფა.

– იცი, მე... – მინდოდა რაღაც მეთ-ქვა, მაგრამ ვერაფერი ვთქვი.

ის კი იდგა და მიყურებდა, რაღაც-ნაირად, გამომცდელად, სულში მწვდე-ბოდა მისი თვალები, ბოლოს გამიღიმა და მითხრა:

– ლამაზი ზურგჩანთაა, მიყვარს ფე-რადი ნივთები.

მთელი დღე რასაც ვაკეთებდი, მხო-ლოდ იმიტომ, რომ მას ენახა – ქვიშა-ზე ვხატავდი, ლექსებს ვკითხულობდი, ის კი არც იყურებოდა ჩემკენ. თითქოს ვერც კი მხედავდა. ლმერთო, როგო-რი აუტანელი მეჩვენებოდა, დიდგუ-ლა იყო, გვირილასავით. ხანდახან თუ შემომზედავდა, გამიღიმებდა და ისევ მარტოს მტოვებდა. ზედმეტად მხიარუ-ლი და თავდაჯერებული იყო, სრულიად სხვა ადამიანი. ასეთიც მიყვარდა, სხვა-ნაირიც მეყვარებოდა, რა მნიშვნელო-ბა ჰქონდა, რას ამბობდა, რას აკეთებ-და, ყველაფერი მომწონდა, ყველაფერი მიყვარდა რაც კი მას უკავშირდებოდა.

ისევ ჩემზე ადრე ჩავიდა, არც ახლა მოუხედავს, ვუყურებდი და ვოცნებობ-დი, როდის დადგებოდა ის დღე, როცა მას უფლება არ ექნებოდა, ასე უბრა-ლოდ წასულიყო ჩემგან...

როგორც იქნა, დავურეკე.

– მიცანი? მე ვარ! – ჩემი სახელი ვუთხარი. – არ გახსოვარ?

– შენ ხარ? – გავიგონე მისი ხმა. – შენ, რომელი? ოდნავ გრძელი თმა რომ გაქვს, გაურკვეველი მზერა, მწვანე მა-ისური რომ გეცვა და ფერად ზურგჩა-თას ატარებდი, ქვიშაზე რომ ხატავდი, საოცრად რომ კითხულობდი ლექსებს, ეგ ხარ? არა, საერთოდ არ მახსოვხარ, ვერ გიცანი.

ასეთი აუტანელი იყო.

– ვიცი, სისულელედ მოგეჩვენება, რასაც ახლა გეტყვი. ისიც ვიცი, ამას ასე არ ამბობენ, მაგრამ...

– უკვე დამღალე! – მესმის მისი ხმა.

— იქნებ მითხრა ბოლოს და ბოლოს.

— მთაში გამომყევი. იქ პატარა სახლი მაქვს, მხოლოდ ჩვენ და ცა, მხოლოდ ჩვენ და მინა, მხოლოდ ჩვენ და თავისუფლება და შენი მზე.

გავჩუმდი... ისიც ჩუმად იყო. ალბათ, რაღაც საშინელების თქმას აპირებდა.

— გაგიჟდი? — მითხრა ბოლოს. — რომელი ნორმალური გოგო გაყვება ერთი თვის წინ გაცნობილ ბიჭს?

მზად ვიყავი, ფანჯრიდან გადავმხტარიყავი, მაგრამ მან უცებ ძალიან მშვიდად მითხრა:

— მაგრამ, იცი, შენ გაგიმართლა, მე ხომ არანორმალური ვარ.

ის ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად.

დღეები გადიოდა, მე კი უფრო და უფრო მიყვარდა. სულ მეჩვენებოდა, რომ მას უფრო მეტი სიყვარული სჭირდებოდა, მეტი სიტყვები, მე კიდევ არც ლამაზი ლაპარაკი მეხერხებოდა, ვერც იმ სიყვარულს გამოვხატავდი, რაც მის მიმართ მქონდა. იმდენად დიდი იყო ჩემი გრძნობა, რა უნდა მეთქვა ან რა უნდა გამეკეთებინა ისეთი, რომ ამ გრძნობის გამოხატვა შემძლებოდა?! ხან მეჩვენებოდა, რომ მას წასვლა უნდოდა, საათობით იდგა ფანჯარასთან და უყურებდა გზას და აი, ამ დროს გული მტკიოდა. მეშინოდა, არ შემობრუნებულიყო და მის თვალებში არ დამენახა სურვილი, წასვლის სურვილი. თვალებს ვხუჭავდი, რომ მისი მხრები არ დამენახა. თმები თდნავ ჩამოეზარდა, მაგრამ მის მხრებს ჯერ ვერ ფარავდა. ხანდახან ისეთი უმწეო ჩანდა, რომ ვფიქრობდი, რა უნდა ექნა, სად უნდა წასულიყო, ვინ მოუვლიდა, მე რომ არ ვყოლოდი. გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, ის კი არ მიდიოდა, იქნებ არსადაც არ აპირებდა წასვლას, მაგრამ მე მაინც მეშინოდა, რომ ერთ დღესაც ჩემ გვერდით არ იქნებოდა. გავიღვიძებდი და ვერ ვიპოვიდი, ღმერ-

თო, როგორ მეშინოდა ამ დღის.

უცნაური ამოჩემება იცოდა, ერთ რაღაცას აიჩემებდა და მერე მთელი დღე უამრავ კითხვას მისვამდა. მაშინაც ასე იყო.

— აი, წარმოიდგინე... — მეუბნებოდა. — ეს ცა იყო, ეს მინა იყო, ეს ხეც იყო.. — აქ ცოტა შეყოყმანდა და ჩაილიპარაკა: — ხეზე მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ეს სამყარო იყო ოდესლაც და ჩვენ არ ვიყავით. ეს უცნაურად არ გეჩვენება? და აი, წლების მერეც ისევ ყველაფერი იქნება და ჩვენ ისევ არ ვიქნებით... სევდიანია რაღაც ეს ყველაფერი, სამყარო ჩვენ გარეშე. ისევ ეყვარებათ, ისევ გაიღიმებენ, ისევ ჩაეხუტებიან და ჩვენ ვერაფერს ვნახავთ, ალარ ვიქნებით, სამყარო იქნება და ჩვენ კი ველარ ამოვალთ აქ, ჩვენს ადგილს, ალარც ერთად ვიქნებით, იქნებ არაფერიც არ ღირს, იქნებ სისულელეა, ამას რომ ვფიქრობ?

სიბნელე იყო და მხოლოდ საიდან-ლაც აღწევდა სინათლე, სულ ცოტა-თი ანათებდა მის შეშინებულ სახეს, ვუყურებდი და მინდოდა მეთქვა, რომ ის ყოველთვის იქნებოდა, მეც ყოველ-თვის ვიქნებოდი მასთან, სამყარო ყოველთვის დაიტევდა ჩვენს არსებობას... ვუყურებდი და მინდოდა მეთქვა, რომ ეს ცა, ეს მინა და ხეც კი სხვანაირი ხდებოდა, როცა ის ფიქრობდა მათზე, მაგრამ რატომლაც ვერც მაშინ ვუთხარი. უბრალოდ ვუთხარი ფრაზა, რომელზეც ყოველთვის ეცინებოდა:

— ამის დედაც ჯეპ, რა დროს ფილო-სოფიის ლექციებია? ლამე კია, მაგრამ მაგრად ჩამოცხა, წამო, სადმე ლუდი დავლიოთ.

ის არასოდეს წუნუნებდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ რაღაც უნდოდა მის სულს, რაღაცას ექებდა და იღლებოდა ამ ძიებით. ბევრს ვმოგზაუროდბით, ის ყოველთვის თვალანთებული იწყებდა მოგზაურობას და მერე იმედგაცრუებული ბრუნდებოდა. ყველაფერს ალ-

ტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ ის, რა-
საც წლებია ექებდა, ვერსად ნახა. მე
არ ვიცოდი, ეს რაღაც რა იყო. შეიძ-
ლება, არც თვითონ იცოდა, უბრალოდ
იცოდა, რომ სადღაც რაღაც უხმობდა,
ეძახდა, მოსვენებას არ აძლევდა, ლა-
მე შეშინებულს ელვიძებოდა და მთელი
სხეულით მეკვროდა. არ ვიცოდი, რო-
გორ დამეცვა, რა გამეკეთებიან, რომ
მშვიდად ყოფილიყო.

ერთ დღესაც ბედნიერი დაბრუნ-
და უნივერსიტეტიდან და მახარა, რომ
ჯგუფი უდაბნოში მიდიოდა ესპედიცი-
აზე, ძველი საბერებისა და ფრესკე-
ბის სანახავად. მეც გადავწყვიტე მას-
თან ერთად წავსულიყავი, მისი გაშვება
მარტო არსად არ მინდოდა. ის ყოველ-
თვის ღიმილით ითმენდა ჩემს ეჭვიანო-
ბას და ახლაც ასე იყო. ჩამეხუტა და
მითხრა:

— რა სულელი ხარ, აბა, უშენოდ
არც მე მინდა წავსულა, უკვე ჩაგნერე.

მთელი ღამე არ სძინებია. არ ვიცო-
დი, რა ხდებოდა მის თავს. შევეცადე
დავლაპარაკებოდი, მაგრამ არაფერი
გამომივიდა: — არაფერი ხდება, უბრა-
ლოდ ერთი სული მაქს, როდის წა-
ვალთ, წეტა მალე გათენდებოდესო.

სულ რამდენიმე საათი ეძინა, მაგრამ
დილით ისეთი ბედნიერი იყო მაინც.
მთელი გზა ხელი არ გაუშვია ჩემთვის,
ღელავდა, თითქოს რაღაც მნიშვნელო-
ვანი უნდა აღმოჩინა, რაღაც დიდი
ხნის უნახავი უნდა ენახა, საიდუმლო
ამოებსნა. არ ვიცოდი, რას მიმალავდა,
მაგრამ ვერძნობდი, რაღაც ხდებოდა
მის სულში და მე არაფერი შემეძლო.

უდაბნო საოცრად დიადი იყო — ოქ-
როსფერი, იდუმალი, საშიში და თან სა-
ოცრად მშვიდი. შემოდგომა იყო, მაგ-
რამ ისე აცხუნებდა მზე, გული შეგი-
ნულებოდა. სადაც არ უნდა გაგეხედა,
უკიდეგანო სივრცეს ხედავდი, ყვითელ
ქვიშას.

გვირილა ბედნიერი იყო, მზე იყო
ყველგან, მისი საყვარელი ყვითელი

ფერი და მზე.

საოცარი იყო, მაგრამ ის ფრეს-
კებს არ უყურებდა, რაღაც სხვა მიზა-
ნი ამოძრავებდა, რაღაც სხვა მიზეზით
იყო აქ წამოსული და მე ვერაფრით გა-
ვარკვიე, რა უნდოდა აქ, რას ექებდა
ასე გამალებული. დადიოდა, დადიოდა
და თვალებში სევდა ჰქონდა, კითხვები
ჰქონდა, მოლოდინი და ტკივილი.

— მითხარი რა ხდება, რა განუხებს?

— არაფერი... — მომიგო წყნარად.

— მე ხომ კარგად გიცნობ და ვხვდე-
ბი, რომ რაღაცას მიმალავ?

— გითხარი, არაფერი ხდება-მეთქი.
თავი გამანებე რა! — ამდენი ხანია ერ-
თად ვიყავით და პირველად აუწია ხმას,
პირველად მიპასუხა ასე უხეშად. მინ-
დოდა გავპრაზებულიყავი, მაგრამ ვერ
შევძელი, აღარაფერი მითქვამს, უბრა-
ლოდ მის გვერდით დავჯექი და ჩავე-
ხუტე, ის კი რაღაცაირად ცივი იყო,
უგრძნობი, ასე მეგონა, საერთოდაც
სხვაგან იყო, რაღაცას ფიქრობდა.

— იცი? — გამოერკვა ბოლოს. — თხი
წლის ვიყავი, მე და მამა დედამ რომ
მიგვატოვა, უბრალოდ ადგა და სხვა
კაცს გაჰყვა და ჩვენ მარტო დავრჩით.
მამასთან ვიზრდებოდი, ცოტა რომ
გავიზარდე, ვხედავდი, რომ მამაჩემი
დღითადღე ნადგურდებოდა, ტკივილის
ატანა არ შეეძლო, არც სირცხვილის.
ვხედავდი, რომ მხოლოდ ჩემ გამო აი-
ძულებდა თავს, ესუნთქა. თორმეტი
წლის ვიყავი, მამამ აქ რომ მომიყვანა.
რაღაც უცნაური იყო იმ დღეს. მას ჩე-
მი ხელი ეჭირა და ჩვენ ვისხედით, მზეს
ვუყურებდით. მერე მან გზა მაჩვენა და
მთხოვა, ჩავსულიყავი სოფელში, მისი
მეგობარის სახლი მებოვა და იქ დავ-
რჩენილიყავი, თვითონ კი დილით დაბ-
რუნდებოდა. მე წავსულა არ მინდოდა,
მაგრამ წავედი. ის კი არ დაპრუნდა,
არც დილით, არც მერე... მთელი სოფე-
ლი ექებდა. ვერ ნახეს, ვერც მკვდარი
და ვერც ცოცხალი და მე დღემდე ვერ
ვაპატიე, რამდენჯერ მინდოდა აქ დაბ-

რუნება, მაგრამ მეშინოდა, უდაბნო-სი მეშინოდა, მას მერე სულ რაღაცას ვეძებ, სულ მგონია, რომ რაღაც უნდა ვიპოვო, რაღაც, რაც სიცოცხლეზეც კი მნიშვნელოვანია და, როცა ამ რაღაცას ვიპოვი, პატიებასაც შევძლებ და იმა-საც მივხვდები, რატომ დარჩა მამა, აუ-ცილებლად მივხვდები.

ყველგან მზე იყო, მე კი უცნაურად მაციებდა, სხეული მეყინებოდა, საპე-დისწეროდ ლამაზი იყო უდაბნო, შიშის მომგვრელად ლამაზი და დიადი.

გვირილას ხმა აღარ ამოულია, სა-ხეზე ხან შიში ეხატა, ხან სიმშვიდე, თვალებშიც უცნაური სურვილი ედგა, წასვლის სურვილი. ვხედავდი მე ამას და ჯიუტად მეჭირა მისი ხელი. თავს ვიმშვიდებდი, რომ ვერ გაბედავდა ჩემს მიტოვებას.

როგორც იქნა, წამოვედით. ავტო-ბუშში ცოტა დავმშვიდდი, გვირილაც უკვე მშვიდად იყო, უბრალოდ თვალე-ბი ჰქონდა უცნაურად გაბრნყინებული. აღარც კითხვები ჩანდა მათში, აღარც სასონარკვეთა, მხოლოდ სიყვარული და სითბო და კიდევ... სულ ცოტა სევ-და...

ჩამეხუტა და თავი მხარზე დამადო

— მაპატიე კარგი? — მითხრა და გა-მიღიმა. — მოდი, დავიძინოთ. მინდა იცოდე, რომ ბედნიერი ვარ.

მე ვაკოცე და თვალები დავხუჭე. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. მესიზმრა, რომ უდაბნოში ვიდექი, ვიდექი და ნა-ბიჯის გადადგმა მიჭირდა. ვხედავდი, როგორ მიდიოდა გვირილა, მის ზურგს ვხედავდი, მხრებს, თხელ თითებს... მე ვეძახდი, ვყვირიდი, ის კი მაინც მიდი-ოდა. მე გაქცევა მინდოდა, მაგრამ გა-ხევებული ვიდექი, ხმაც კი აღარ ამო-დიოდა, მციოდა... ჩემ მხარეს კი, სადაც გვირილა მიდიოდა, ოქროსფერი უდაბ-ნო იყო. მზე ანათებდა და ყველაფერი ბრნყინავდა. ისიც მსუბუქად მიაბიჯებ-და, რაღაცნაირად სიზმარში ვგრძნობ-დი, რომ ბედნიერი იყო, ვნატრობდი, ნე-

ტა ერთხელ მაინც მოიხედოს-მეთქი და მან მოიხედა... გამიღიმა და, ღმერთო, როგორ ძლიერ მიყვარდა.

შეშინებულს გამეღვიძა.

მისი ხელი ყინულივით ცივი იყო.

ახლა უკვე ორმოცდასამი წლის ვარ, მაგრამ დღემდე ვერ ვაპატიე, რომ წა-ვიდა. ის სიყვარული, რაც მის მიმართ მქონდა, უდიდეს სიძულვილად მექცა. ერთი ცრემლიც კი არ გადმომიგდია, არც მის დაკრძალვაზე ვყოფილვარ, არც მის საფლავს ვაკითხავ ხოლმე. ყველას ავუკრძალე მისი სახელის ხსე-ნება, ყველა ნივთი მოვიშორე, რაც მას გამახსენებდა. მის გარეშე ცხოვრება უნდა მესწავლა და ვისწავლე კიდეც. ყველას ეგონა, რომ გავგიუდი, რად-გან მეორე დღესვე წავედი სამსახურში, ჩვეულებრივად ვიქცეოდი. ისე, თით-ქოს არც არაფერი მომხდარიყოს, თუკი მან ჩემი მარტო დატოვება გადაწყვი-ტა, მე რატომ არ უნდა მყვარებოდა მთელი ცხოვრება. ერთადერთი, რაც მის თავს მახსენებდა ჩემი ხელები იყო, რომლებიც ისეთივე ცივი დარჩა, რო-გორც იმ ღამით იყო, როცა მისი გაყი-ნული ხელი მეჭირა. მე ცხოვრებას ვაგ-რძელებდი, ვიცინოდი, ვმოგზაურობ-დი, მაგრამ ბედნიერი, ალბათ, აღარ ვიქნებოდი, არც სიყვარული შემეძლო, აღარც სითბოს ვგრძნობდი და აღარც სული მქონდა.

შემთხვევით გავიგე, რომ ჩემი კო-ლეგები უდაბნოში გეგმავდნენ სტუდენ-ტების წაყვანას და მე სპეციალურად არ მითხრეს, რომ ჩემთვის ტკივილი არ განეხლებინათ. მათზე გავბრაზდი, რამდენი წელი გავიდა და ისევ გვირი-ლას აჩრდილი დამდევდა თან, სადაც არ უნდა წავსულიყავი, რაც არ უნდა გამეკეთებინა და მეთქვა, მაინც ყვე-ლას ახსოვდა, როგორ მიყვარდა ერთ დროს. მე კი მისი დავიწყება მინდოდა.

უდაბნო ისევ ისეთი იყო, როგორც მაშინ — უჩვეულო, ამაყი, შესაზარი...

არაფერი შეცვლილიყო, უამთასვლას ვერაფერი დაეკლო მისთვის. მივდიოდი და თავის აწევის მეშინოდა, ასე მეგონა, სადღაც თვალს მოვკრავდი, სადღაც აუცილებლად შემხვდებოდა ან ხმას გავიგონები. ვფიქრობდი მასზე, ვფიქრობდი სიყვარულზე, მასთან გატარებულ დღეებზე და ვფიქრობდი, როგორ გაბედა ჩემგან წასვლა.

ჯგუფი ერთ ადგილას გაჩერდა, ჩოჩქოლი ატყდა.

— ღმერთო ჩემო, რა უნდა უდაბნოში ამდენ გვირილას? — მესმოდა ხმები. — საოცარია, ამდენი გვირილა ერთად, უდაბნოში.

გავჩერდი. გავიხედე. მე ვერაფერს ვხედავდი, ვერ ვხედავდი ვერაფერს, ოქროსფერი ქვიშის გარდა.

მიწაზე დავჯექი.

— არ მოდიხარ? — მკითხა ვიღაცამ. — წადით და მოვალ მალე... — ვუპასუხე გაუცნობიერებლად.

ისინი წავიდნენ. მე მარტო დავრჩი. ვუყურებდი უდაბნოს და ვგრძნობდი, რომ აქ იყო, უბრალოდ, დიდგულა იყო და ჩემი ნახვა არ სურდა. სიძულვილის-თვის მსჯიდა, იმისთვის მსჯიდა, რომ თავი ვაიძულე, აღარ მყვარებოდა.

— გთხოვ, მოდი ჩემთან, მოდი ჩემთან... — ლოცვასავით ვიმუორებდი გულში. — გთხოვ... ერთხელ მაინც...

მიწაზე დავწექი და თვალები დავ-სუჭე. ვგრძნობდი, როგორ მომდიოდა ცრემლი. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვტიროდი მის დაკარგავს, ვტირო-

დი და ვგრძნობდი, ვთავისუფლდებოდი სიძულვილისგან, ტკივილისგან, იმედ-გაცრუებისგან, სიყვარულისგან... ვთავისუფლდებოდი ყველა გრძნობისგან... ჩემში აღარ იყო არაფერი, სიცარიელის გარდა. არც ბოროტი ვიყავი და არც კეთილი, არც ჭკვიანი და არც გიუი... არაფერი აღარ ვიყავი, არაფერს აღარ ვგრძნობდი, ვერც მინას, ვერც ცას. ცარიელი ჭურჭელივით ვიყავი, რომელიც რაღაც ახლით უნდა გავსებულიყო.

თვალები გავახილე და ვხედავ-დი ლურჯ ზეცას ჩემს თავზე, ვხედავდი მზეს და უამრავ გვრილას ირგვლივ, დიდებს, პატარებს, თეთრებს, ყვითელგულებს. ვგრძნობდი სითბოს, სიყვარულს, იმედს. ვიგსებოდი რაღაც ახლით... სულს ვგრძნობდი, თავისუფლებას. განა რა უნდა დაეშავებინა ადამიანს ისეთი ჩემთვის, რომ პატიება არ შემძლებოდა, ვგრძნობდი, სიძულვილი საერთოდ აღარ იყო ჩემში. იმასაც ვგრძნობდი, არც დარჩენა იყო შიშის მომგვრელი და არც გზის გაგრძელება, არც პატიება იყო ძნელი და არც სიყვარული. სითბოს ვგრძნობდი, მას ვგრძნობდი ჩემს სულთან ახლოს.

აი, ასეთია უდაბნო. ის ბოლომდე განადგურებს, ბოლო წვეთამდე გცლის, რომ მერე რაღაც ახალით აგავსოს. ის ყველაფერს გართმევს, რომ გაპოვნინოს ყველაზე მნიშვნელოვანი, აქ ყველაფერს კარგავ საკუთარი სულის სანაცვლოდ.

ხელები ნელ-ნელა მითბებოდა.



ივანე ამირხანაშვილი

რადიკალიზმი – თაობის ნიშანი

(პოსტმოდერნისტული მომენტები ვაჟა გიგაშვილის
რომანში „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“)

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ქართულ სააზროვნო სივრცეში ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური წნევის დაღმავალ დინამიკას და მოულოდნელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სხვაგვარად მოაზროვნეთა თავისუფლებამ მყისიერი და მკვეთრი ფორმები მიიღო. ეს პროცესი ყველაზე თვალსაჩინოდ მწერლობაში გამოვლინდა. პროცესს ჰქონდა ბინარული სახე, გამოიკვეთა ორი მთავარი კატეგორია – მწერლები, რომლებიც ზემოდან დაშვებული თავისუფლების ჩარჩოებში ქმნიან ადაპტაციის უნარის მქონე ობიექტივისტურ კონცეპტებს და მწერლები, რომლებიც ამ ჩარჩოებს მიღმა გადიან და ქმნიან სუბიექტივისტურ, ადაპტაციის უნარის არმქონე ტექსტებს.

ლიტერატურულ ნონკონფორმიზმსაც ორი სახე ჰქონდა: ობიექტივისტური და სუბიექტივისტური.

ვაჟა გიგაშვილი სუბიექტივისტური ნონკონფორმიზმის წარმომადგენელია. ის არ არის დისიდენტი, მაგრამ განსხვავებულია მკვეთრი გადახრით საერთო ცენტრიდან... მის ხასიათში ჭარბად არის

მოცემული რადიკალიზმი, რომელიც თაობის მთავარ ნიშნად გამოიკვეთა. იგრძნობა მასში იდეური სიახლოვე გურამ რჩეულიშვილთან. თუ შორს წავალთ, შეგვიძლია ტიპოლოგიურ პარალელად ლუი ფერდინანდ სელინის ხორკლიანი სტილი ან ჩარზ ბუკოვსკის თავისუფალი მორალი ავილოთ, მაგრამ ეს მხოლოდ მსგავსების დადასტურება იქნებოდა და არა შინაგანი კავშირის გამომხატველი ფაქტი. სხვათა შორის, თუ შინაგან კავშირებზე მიდგა საქმე, მაშინ უფრო რეალური იქნება ვისაუბროთ იმ გავლენებზე, რაც ვაჟა გიგაშვილის შემოქმედებამ იქონია თანამედროვე ქართულ პროზაზე. 2000-იანი წლების დასაწყისიდან ახალგაზრდა ავტორები ვაჟა გიგაშვილის მიმართ ამჟღავნებენ ისეთ პიეტეტს, როგორიც, საერთოდ, საკულტო მწერლების მიმართ აქვთ ხოლმე. მისი სტილი ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა პროზაიკოსთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთათვის. ვაჟა გიგაშვილის „სტანდარტი“, მოტივების, ანტირაჟის, ტიპაჟის სახით, შეიძლება შეგვხვდეს ზაალ სამადაშვილის, ბექა ქურხულის, ირაკლი ჯავახაძისა და სხვათა ტექსტებში, სადაც პირდაპირი გავლე-

ნა თუ არა, თანაგანცდის, სოლიდარობის, შინაგანი სტიმულირების სულისკვეთება მაინც იგრძნობა.

ვაჟა გიგაშვილის თხრობის სტილი გადამდებია, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებისა და სტიქიურობამდე მისული უშუალობის გამო. ეს ის მწერალია, რომელსაც უნდა გაუგო და თუ ვერ გაუგებ, მაშინ უნდა აღიარო, რომ ვერც მიიღებ.

ვაჟა გიგაშვილი ხშირად იხსენებდა ერთ შემთხვევას თავისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან, როდესაც პისას, დემნა შენგელაიას, მოთხრობა მოუტანა წასაკითხად. დემნამ თურმე პირველი ფრაზი-

გახლდათ.

მწერალს ვერ უბრძანებ, ვერ აუკრძალავ, ვერ ასწავლი, ვერ გაწვრთნი. თუ ვინმე ემორჩილება ამ გარეგან იმპერატივებს, ის, რაღა თქმა უნდა, მწერალი არ არის.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდან ვიცით, რომ შეიძლებოდა მწერალი სხვაგვარად მოაზროვნე ყოფილიყო, მაგრამ თუ მის სტილს პქონდა გარკვეული თანხვედრა ოფიციალურ სტანდარტებთან, მაშინ ნაწარმოების გამოქვეყნებაზე პრობლემა არ პქონდა.

ვაჟა გიგაშვილს რედაქტორები თავიდან უარს იმიტომ ეუბნებოდნენ, რომ სტილი აშინებდათ – თავისუფალი, ლალი, იმპულსური სტილი, რომელშიც არაფერი იყო მათთვის მდგრადი, უცვლელი, ბოლომდე სანდო. ავტორი არც ნორმებზე ფიქრობდა, არც აკრძალვებზე და, როგორც ჩანს, არც მკითხველზე. თავისთვის წერდა, თავისუფლად, შეუზღუდავად.


სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ თემაზე ვაჟა გიგაშვილი თვითონაც გულახდილად საუბრობდა, როდესაც იხსენებდა, თუ როგორ უთხრა თავაზიანი უარი გიორგი შატერაშვილ-

მა, როდესაც მას „ცისკარში“ მოთხრობა „დღე და უამი“ მოუტანა:

„იმ შორეულ წლებში, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით, ვერაფრით გამეგო და ვერაფრით ამესნა, როგორ ახერხებდა ბევრი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი პიროვნება ამ ორჯოფულ ცხოვრებას, რომ ერთის მხრივ ღალი და ძლიერი შემოქმედი, მეორე მხრიდან დაშინებული, მორჩილი და აშკარა სიცრუეზე ხელის მომწერიც ყოფილიყო...“

ეს იწვევდა ქრონიკულ გულარძნილობას... ეს იწვევდა მუდმივ შინაგან ამრეზილობას...

ეს ამრეზილობა ფსიქიკის მუდმივ



დან უკანასკნელ ფრაზამდე გულდასმით ასწორა ტექსტი და პოლოს უთხრა, აი, ასე უნდა წერო.

ალბათ, ბევრი მიზეზი არსებობდა იმისა, თუ რატომ არ უნდა მოსწონებოდა მხცოვან მწერალს ახალგაზრდა დებიუტანტის ნაწერი, მაგრამ მთავარი აქ უთუოდ კონიუნქტურის ფაქტორი იყო. დემნა შენგელაია, რომელიც 20-ან წლებში მოდერნისტული რომანის სათავეებთან იდგა, 30-იანი წლებიდან, სამწუხაროდ, უკვე აღიარებდა კონიუნქტურის ძალაუფლებას, გიგაშვილი კი არ ცნობდა კონიუნქტურას, რადგან ის ნონკონფორმისტი, სუბიექტივისტი, სხვაგვარად მოაზროვნე

მდგომარეობად, ხასიათად ყალიბდებოდა...

ამ ამრეზილობის მატარებელი იყო იმ მოთხოვნის („დღე და უამი“) გმირი, გორგი შატბერაშვილს რომ მივუტანე 1957-ში...

ეს ამრეზილობა იყო ფრიად საშიში გადამდები ვირუსი, მავნე საბჭოური იდეოლოგისათვის... მისი გავრცელების შანსის დაშვება კი – უდიდესი დანაშული და მავნებლობა „დიადი სამშობლოს“ მიმართ.

ეს ამისსნა (არა ამ სიტყვებით, არამედ მოიარებით) გიორგი შატბერაშვილმა და მე ეს გავიგე.

აი, რატომ არ შეიძლებოდა ამ მოთხოვნის დაბეჭდვა“.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ეპოქის შემოქმედი გაორებული იყო. მხატვრულად ფასეულისა და მნიშვნელოვანის პარალელურად ხარკიც უნდა გადაეხადა კომუნისტური იდეოლოგისათვის. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა მოსაზრებით დაიწუნა გიორგი შატბერაშვილმა დამწყები პროზაიკოსის მოთხოვნისა. იმ გიორგი შატბერაშვილმა, რომელმაც პროველმა აღიარა გურამ რჩეულიშვილის ტალანტი, ოლონდ თუ ეპოქას და იმჟამინდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, არც ახალგაზრდა ვაჟა გიგაშვილის დაეჭვება უნდა გაგვიკვირდეს უფროსი კოლეგის გულწრფელობაში. იმ დროს მარტო იდეოლოგიური თვალსაზრისით არ იწუნებდნენ ნაწარმოებს. მხატვრულ მხარესაც აქცევდნენ ყურადღებას და თუ ამ მხრივ ნაკლს შენიშნავდნენ, უარის თქმა აღარ უჭირდათ. იდეოლოგიამდე აღარ მიდიოდნენ, ლიტერატურულ ხარვეზებზე აპელირებდნენ.

ერთი სიტყვით, სტილიც იდეოლოგიზებული იყო და თუ გინდოდა, შენი ნაწერი გამოქვეყნებულიყო, რეალიბისთვის ანგარიში უნდა გაგენია, იმაზეც უნდა გეფიქრა, როგორ წაგიკითხავდნენ, რა თვალით შემოგხედავდნენ.

წერისას მკითხველი არასოდეს მაინტერესებდა, იტყვის ვაჟა გიგაშვილი იმ ამბიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, სიბე-

რისას: „როცა ვწერდი და რასაც ვწერდი, არასდროს მკითხველზე არ მიფიქრია... არასოდეს ერთ სიტყვასაც კი არ გადავაბრუნებ ვინმეს მოსაწონად, – წერდა ის, მაგრამ იქვე დასძენდა, – შემდგომში კი, როცა აღმოჩნდება, რომ შენს ამ ოპუსს, ნამოქმედარს სხვები კითხულობენ, ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა“-ო.

ბუნებრივია, ეს ფიგურული აზრია, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. თვითონ წერა, როგორც პროცესი, თავისთავად გულისხმობს მკითხველს, როგორც პოზიციას. აქ უფრო კონიუნქტურული მკითხველი, ოფიციოზის თვალი, თავისუფლების შემზღვდავი არბიტრი იგულისხმება. საერთოდ მკითხველს რომ არ უგულებელყოფს, ეს ბოლო ფრაზაშიც კარგად ჩანს. ასე რომ, პოზიციონა უნდა გამოვრიცხოთ. თუ რაიმე არ ჩანს ვაჟა გიგაშვილის შემოქმედებაში, ეს პოზიციონობაა.

სამაგიეროდ, ჩანს იმპულსურობა. ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისიც იმპულსურობის გამოხატულებაა. იმპულსურობა მისი მწერლური ხასიათის ნიშანია.

ამ ნიშანზე როსტომ ჩხეიძეც ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ვაჟა გიგაშვილის ნაწარმოებებში ბევრი რამ იმპულსურია, ქვეცნობიერი და გაუცნობიერებელი მოტივების ტალღები მოდის თითოეული მოთხოვნიდან.

თუმც ვერ ვიტყვი, რომ ასევე იმპულსურად არის შემოსული მის ნაწარმოსახვაში ჯაყო ჯივაშვილის ლიტერატურული რეინკარნაცია – ნოდარ ყაფლანიშვილი, მთავარი პერსონაჟი რომანისა „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“.

პირველი პუბლიკაციის შესავალში ვაჟა გიგაშვილი წერს, რომ მოთხოვნილი ამბავი მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების გამოძახილი და ერთგვარი გაგრძელებაა.

რომანის დრო და სივრცე 1990-იანი წლების საქართველოს სინამდვილეს მოიცავს. თუმცა დასაწყისიდანვე იკვეთება ინტერტექსტობრივი მინიშნებები: მოქმედება ლიახვის ხეობიდან იწყება. ნაშინდა-

რიც გამოჩნდება. ორი მთავარი პერსონა-შიდან ერთი აგრესიული, დაუნდობელი, ბულასავით ჯანიანია; მეორე სუსტი, გამ-ხდარი, გაძვალებული, ავადმყოფური შე-სახედაობისაა; მესამე, რა თქმა უნდა, ქა-ლია, ბედისწერის ნიშნით აღბეჭდილი.

პირველი არი ნოდარ ყაფლანიშვილი, ახალი ქართველების ტიპური წარმომად-გენელი, გავლენიანი ნუვორიში, აგრესი-ული, დაუნდობელი, მაგრამ შინაგანად მშიშარა ადამიანი, რომელიც იწყებს ლი-ახვის ხეობაში არსებული წინაპართა სა-კუთრების დაბრუნებას; მეორე – იორამ შათირიშვილია, ნიჰილიზმით შეპყრობი-ლი, გალატაკებული ინტელიგენტი, რომე-ლიც საბუთების მოწესრიგებაში ეხმარება ნოდარ ყაფლანიშვილს. სავსებით წიშან-დობლივია ერთი დეტალიც, იორამს ლა-პარაკისას ენა ებმის; მესამეა – ზეინაბი, იორამის მეუღლე.

ძველ საბუთებზე სამუშაოდ იორამი ნაშინდარში მიდის. ზეინაბს არ სურს ნა-შინდარში წასვლა, ცუდი წინათგრძნობა აქვს, მაგრამ ქმარს მანც გაჰყება.

ნოდარ ყაფლანიშვილი ზეინაბზე ძალა-დობს. იორამი ამას ძალიან გვიან გაიგებს. კონფლიქტის დროს ზეინაბი პისტოლეტით კლავს ნოდარს. მკვლელობას იორამი და-იბრალებს. „– მე მოვკალი!“ იორამის ამ ფრაზას ასოციაციურად ეგნატე ნინოშ-ვილის პერსონაჟთან, სპირიდონ მცირიშ-ვილთან, მივყავართ. ეს ფრაზა, რომელმაც მე-19 საუკუნის ქართული ინტელიგენცი-ის ისტორიაში სიმბოლური კოდის როლი შეასრულა, ვაჟა გიგაშვილმა გააქტიურა როგორც ეთიკური იმპერატივი.

მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე იო-რამმა გაარკვია, რომ ნაშინდარის სასახლე და მამულები ხევისთავების საგვარეულოს ეკუთვნის. მას ძალით დაპატრონებია ვინ-მე ნამოჯამაგირალი ჯაყო ჯივაშვილი, ნოდარის პაპის მამა. ნოდარი, ყაფლანიშ-ვილობით რომ იწონებდა თავს, სინამდვი-ლეში ჯივაშვილი ყოფილა.

დაბოლოს, მთავარი დეტალი. ზეინაბს ნოდარ ყაფლანიშვილისგან რჩება სა-

მი თვის ჩანასახი. ჯაყოს შთამომავლობა გრძელდება.

მეთოდური თვალსაზრისით, ყველაფუ-რი ნათელია. ვაჟა გიგაშვილი იღებს მი-ხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზების“ პარადგმას და ქმნის მის თანამედროვე ვარიანტს. ლიტერატურული თვალსაზრი-სით, ცოტა არ იყოს, როულად არის საქმე. ერთი შეხედვით, ეს პოსტმოდრენისტული ცდა არის, მაგრამ თუ კარგად დავაკვირ-დებით, შესაძლოა სულ სხვა დასკვნა მი-ვიღოთ.

ზუსტად განსაზღვრა, ნიშანდება, ერ-თმნიშვნელოვნად აღიარება იმისა, რომ ეს არის სწორედ პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, მოუხედავად არაერთი დამ-თხვევისა და სტილისტური წიშნებისა, მა-ინც არ შეიძლება, რადგან ავტორს აქვს ისეთი შინაგანი იმპულსები, რომლებიც არ არის მიმართული თემის პოსტმოდერ-ნისტული გახსნისკენ.

მაგრამ რა ვუყოთ ინტერტექსტუა-ლურობას, რომელიც არის ყველაზე მე-ტად შესამჩნევი ტენდენცია. მეტიც, ეს არის მიზანი, მთავარი მიმართულება და საშუალება ჩანაფიქრის გადმოსაცემად. ინტერტექსტუალურობა უფრო ღრმად მიდის, ვიდრე ჩვეულებრივ უნდა მიდი-ოდეს. აქ ვხედავთ არა მარტო მითითე-ბას, მინიშნებას ან „გადაწერას“, არამედ გაგრძელებას, თემის განახლებას დროსა და სივრცეში, ანუ ყველაფერ იმას, რაც პოსტმოდერნიზმის საერთო საოპერაციო საშუალებებში შედის.

პერსონაჟები იმეორებენ ლიტერატუ-რულ პროტოტიპებს, მათ აქვთ კავშირი გენეტიკურ წინამორბედებთან, მაგრამ, ამავე დროს, დამოუკიდებლად განაგრძო-ბენ მოქმედებას.

არის ბევრი პოსტმოდერნისტული დე-ტალი, მაგრამ არ არის მთავარი პოსტმო-დერნისტული ხერხები – ირონია და დე-კონსტრუქცია. ვაჟა გიგაშვილი მიზნად არ ისახავს მიხეილ ჯავახიშვილის ტექ-სტის იდეური ან იდეოლოგიური სტრუქ-ტურის დაშლას.

ის არც სტილს სესხულობს. ვაუა გი-
გაშვილის სტილი ეკონომიური, ლაკო-
ნიური და პრაქტიკულია, არ ახასიათებს
მეტაფორიზმი, ჰიპერბოლიზმი, გროტეს-
კულობა, რომლებიც მიხეილ ჯავახიშ-
ვილის სტილის სპეციფიკური ნიშნებია.
თუმცა ვაუა გიგაშვილთან გამოკვეთილია
დიალოგის პრიმატი, რაც ბუნებრივია,
რადგან ტექსტი კინოსცენარის პრინცი-
პით არის დაწერილი. ირონიისა და დე-
კონსტრუქციის ნაცვლად ვხედავთ მკაცრ
რეალიზმს: 90-იანი წლები, ველური კაპი-
ტალიზმი, პოლიტიკური ანარქია, რაც ერ-
თობლიობაში ქმნის ნიადაგს ჯაყონიზმის
აღმოცენებისათვის. რომანის კონცეფცი-
აც იოლი ამოსაცნობია, ჯაყონიზმი, ისევე,
როგორც ყვარყვარიზმი, ქართული ავ-
თენტური პრობლემაა.

პოლონელ პარადოქსალისტს სტანის-
ლავ ეში ლეცს აქვს ერთი ასეთი ფრაზა:
„ლიტერატურაში ყველაფერი არის ნათ-
ქვამი, ყველაფერი არ არის ნაფიქრი“.

პირველად იყო თქმა, შემდეგ — ფიქ-
რი, რომელიც ხანდახან შეიძლება არც
იყოს, ან იყოს, მაგრამ დაგვიანებით. ვაუა
გიგაშვილის რომანი არის „ნაფიქრი“ წინა-
მორბედის „ნათქვამზე“. მწერალმა შექმნა
თავისი ვერსია და ეს ვერსია თავისუფა-
ლი არჩევანია. ამიტომ მას ვერ მიუსადა-
გებ მოდური მიმდინარეობის კანონებს.
ცალკეული დამთხვევები არ ნიშნავს თან-
ხვედრას მთლიანობაში. ვაუა გიგაშვილი
პოსტმოდერნისტულ ელემენტებს ახალი
შინაარსის გადმოსაცემად იყენებს, თუმცი,
ჩემი აზრით, გამოკვეთილი პოსტმოდერ-
ნისტი მაინც არ არის.

რედაქციისგან:

ივანე ამირხანაშვილის კრიტიკული წე-
რილი, ვფიქრობ, მკაფიოდ წარმოაჩენს
ვაუა გიგაშვილის მოთხოვნის არსა და მი-
სი პროზის თავისებურებას. და მაინც...
არ გვინდა ვინმეს დარჩეს შთაბეჭდილე-
ბა, რომ ან ივანე ამირხანაშვილი, ან ჩვენი

რედაქცია ოდნავ მაინც აყენებს ჩრდილს
გიორგი შატბერაშვილსა და დემნა შენგე-
ლაის.

მეხარულ ნაწარმოებში უპირველე-
სად ავტორის ბუნება-ხასიათი ვლინდება.
სწორედ ეს — ადამიანური ბუნების სხვა-
დასხვაობა — ხშირად არის მიზეზი ერთი
მწერლის მეორისადმი კრიტიკული დამო-
კიდებულებისა. აქედან გამომდინარე, არც
გიორგი შატბერაშვილისა და დემნა შენგე-
ლაის კრიტიკული დამოკიდებულება უნ-
და გაგვივირდეს ვაუა გიგაშვილის მწერ-
ლური დებიუტისადმი. ამა თუ იმ მწერ-
ლის მიერ სხვისი სტილის მიუღებლობას
და კრიტიკულ დამოკიდებულებას დღეს,
სამწუხაროდ, პირად მტრობად წარმოა-
ჩენენ ხოლმე. არც თუ იშვიათად, აკაკი
წერეთელსა და ვაუა-ფშაველს მოსისხლე
მტრებად სახავენ, ასევე გალაკტიონ ტა-
ბიძესა და გიორგი ლეონიძეს. რაოდენ
გასაოცარიც არ უნდა იყოს, ილია ჭავჭა-
ვაძე ვაუა-ფშაველს წინააღმდეგ დავით
მიქელაძის (მეველე) წამქეზებლად გამო-
აცხადეს... ასე რომ, უკანასკნელ წლებში
ჩვენში დამკვიდრებული ლანდღვა-გინების
კორიანტელი მწერლობასაც შეეხო.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულს
ეხმიანება გიორგი შატბერაშვილის ესე
„მუსიკა ჩვენი სულისა“ („ცისკარი“, №4,
1959) და ამირან გომართელის წერილი
დემნა შენგელაის მოდერნისტული რომა-
ნის — „სანავარდოს“ სტილურ თავისებუ-
რებაზე.

გიორგი შატბერაშვილის მწერლური
ოსტატობითა და გულწრფელობით აღ-
ბეჭდილი ესე საყურადღებოა გალაკტიონ
ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის ურთი-
ერთობის თვალსაზრისით. ასევე მნიშ-
ვნელოვანია ულვინოდ „ეშხში შესული“
გალაკტიონის მიმართება ბარათაშვილის
პოეზიასთან. ვფიქრობთ, „სანავარდოს
სტილური ექსპრესია“ მკაფიოდ წარმოა-
ჩენს დემნა შენგელაის გამორჩეულ და-
მოკიდებულებას წერის მანერასა და სამ-
წერლობო სტილთან.



გიორგი შატბერაშვილი

მუსიკა ჩვენი სულისა

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პოეტმა გიორგი ლეონიძემ წყნეთში დამპატიუა: აგარაკის შენება დავინცე და საძირკველი დამილოცეო... მანქანაში ჩავსხედით, ბაზარში გავიარეთ და რამდენიმე წუთის შემდეგ აგვისტოს ბუღმი გაცვეული თბილისი სადღაც ქვევით დარჩა.

სანამ ჩემი მასპინძლის მომავალ კარმიდამოზე მივიდოდით, გიორგიმ მანქანა ერთი აგარაკის ჭიშკართან გააჩერებინა შოთერს. აქ გალაკტიონ ტაბიძე ცხოვრობსო, მითხრა და მანქანიდან გადმოვიდა. ვიფიქრე, ალბათ გალაკტიონის დაპატიუება უნდა-მეთქი. მესიამოვნა, გალაკტიონის სტუმრობა ჩვენს მცირე და სახელდახელო სერობას მეტ ეშეს მისცემდა...

გალაკტიონი შინაურულად გამოწყობილი გამოვეგება. თეთრი პერანგი ეცვა, საკინძე გადაღელოდა და მაღალი, ძლიერი მკერდი მოუჩანდა. ძალზე დასვენებული და ჯანმრთელი იქრი ჰქონდა. ჩვენი დანახვა ძლიერ გაუხარდა, თავაზიანად მოგვიკითხა, ეზოში სასაუბროდ შეგვიწვია, თან მორცხვად დაუმატა, შინ მარტო ვარო... ჩემი მასპინძელი არ შეჰყოლია. მალე გამოვეთხოვეთ და ისევ მანქანაში ჩავსხედით.

ახლად გაჭრილ საძირკველთან სახელდახელო სუფრა გაიშალა. პატარა მაგიდაზე ღვინის ბოთლები და საუზმე გაჩნდა. იქვე მახლობლად ცეცხლი ენთო და

„ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა...“

მალე ყველაფერი მზად იყო, მაგრამ გიორგის ის ხალისი აღარ ეტყობოდა, რამაც თბილისიდან აქ ამოგვიყვანა. დაფიქრებული დადიოდა.

„რად მივედით გალაკტიონთან, – ვფიქრობდი მე, – რად მივედით, თუ არ წამოვიყვანდით?“

ჩვენს სუფრას ნამდვილად რაღაც აკლდა, რაღაც კი არა, ვიღაც. გალაკტიონთან რომ არ გამოგვევლო, ამას ცხადია, არ ვიფიქრებდი, არც ჩემი მასპინძელი შეიცვლიდა გუნებას...

უცებ გიორგიმ გაიღიმა, ეტყობა, გულში რაღაც გადაწყვიტა, შოთერს დაუძახა და უთხრა, წადი, გალაკტიონ ტაბიძეს სთხოვე, გვეწვიოსო.

ამის შემდეგ გიორგი საოცრად გამხიარულდა, თავისებურად, ჭაბუკურად აცელებდა და იხუმრა: თუმცა გალაკტიონმა თავისი ჭიშკარი არ დაგვალოცინა, სამაგიეროს ნუ გადავუხდითო.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირებია. მანქანა მალე დაპრუნდა.

გალაკტიონი ჩვენს სუფრას თავისებური ხელების ფშვნეტით, თვალების ბრნყინვით და ბუბუნით მოუახლოვდა. ეტყობოდა, გულწრფელად იყო გახარებული. თეთრ პერანგზე მაშინვე გადაეცვა საშინაო პიჯაკი და სასწრაფოდ წამოსულიყო.

გიორგი სუფრის თავში იჯდა, თავისასა თუ სხვის სუფრაზე თავისთვის ჩვეულ სათამადო ადგილას, მე თამადასა და გალაკტიონს

შუა ვიჯექი.

გიორგი სიტყვი-სა და ღვინის ეშხში თანდათან შედიოდა, ლამაზ სადლეგრძელოებს ამბობდა და ღვინოს მოწყურებული სვამდა... მას-სოეს, წინა დღეებში არა სვამდა, ხაზგას-მით, ასე ამბობდა: „ალარა ვსომო...“ აქ კი თავის სუფრაზე, გალაკტიონის გვერდით დიდად მოილ-ხინა და ბევრი კარგი რამ თქვა.

გალაკტიონი ღვინოს არა სვამდა, მაგრამ ეტყობოდა, უღვინოდაც ითრობოდა, ისიც ეშხში შედიოდა. ყოველი სადლეგრძელის შემ-დეგ ჭიქას პირთან მიიტანდა, ოდნავ მოსვამდა და მაინც ხელში ეჭირა ჭიქა. როგორც მახსოვს, იმ ერთი ჭიქის მეტი არც დაუცლია, მაგრამ მაგიდაზე არ დაუდგამს, სანამ არ დაგამთავრეთ ვახშმობა.

ჰო, ვახშმობა, რადგან, როცა გა-

ლაკტიონი შემოგვიერთდა, უკვე ბინდი ეფინებოდა წყნეთის ქვემოთ მიყრილ გორაკებს და შორეულ მთაგრეხილებს... და ის ლამის უცნაური ბუნდი შუქი წაირად აფერადებდა ამ უხეო და უბუჩნარო, დღისით უფერულ გორაკებს. რაღაც მუქლურვი თუ მოიისფრო ხავერდი წყნარად, შეუმჩნევლად ეკვროდა წყნეთის შემოგარენს.

თანდათან ხშირბინდმა შეცვალა დაისის ფერები და თითქმის ჩამობნელდა. ქედებს იისფერი ხავერდი მოსცილდა.



ამ ქედების სილუეტები ახლა შავი სვეტებივით აღიმართნენ... მერე მთვარეც ამოიწვერა და ყველა ფერი, გარდა ახლადგალენილი ბზის ფერისა, წაიშალა.

ფიქრმა წამილო. ჩემი ადრეული სიჭაბუე გამახსენდა. გამახსენდა ის დრო, როცა გალაკტიონის ლექსების წიგნი პირველად წავიკითხე და რამდენიმე დღე მთვრალივით გაბრუებული დავდიოდი... გამახსენდა:

მივიწყებული სახლის კარბაზე
ხავსი, ყავარი და წვიმის წვეთი,
გაქრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი.

კუბი კი ლამის სავსეა იით
და წაქცეული სვეტები დგება,
ამოდის მთვარე და სამაით
ფერმკრთალ ქალების მიმოდის
წყება.

ცეკვავს სამეფოდ წაქარგი ქოში
და ხელსახოცთა ქრიან ზღაპრები
და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მთები, სიზმრები და წინაპრები.

სალამო მართლაც სავსე იყო პოეზიით. მე ქართული სიტყვის ორი დიდოსტატის გვერდით ვიჯექი და ვტკბებოდი გიორგი ლეონიძის ანაგული ქართულით და გალაკტიონ ტაბიძის მეფური დუმილით. ამ სიჩუმეში თითქოს მესმოდა გალაკტიონის იდუმალი ჩურჩული:

მდინარის პირას ხეივანში ყოველ
სალამოს
ორი ქალწული მემორევე
ჩრდილად გახდება,
ისინი ჩუმად გადიხდიან
ლეჩაქთა სამოსს,
თვითონ მდინარეც და დუმილიც
გალეჩაქდება.
ტყის პირას სხედან ნაზნი,
წარბებგადახატული
და თავს ადგანან თავადები
ნაბდიანები.
ეცემა თმები ლურჯ სარკეებს,
ვით ნაკადული,

ჩანს, სასიკვდილოდ ამ სიყვარულს
არ ვენანები!

სიწყნარით მოცული წყნეთის მიდა-
მოები, ეს არაჩეულებრივად მშვიდი
სალამო მასხენებდა გალაკტიონის უნა-
ზეს ლექსს:

მომინდა თქვენი სპეტაკი ბინა,
აქ სოფელია, წვიმა, რუტინა,
შემოდგომაა, წვიმამ მოლია
ტყეთა მსუბუქი მელანქოლია.

ზაფხულის დღეთა ის ქაფი ჰქერება,
არის ცეცხლის ხმა და ჩაფიქრება:

იშლება თვალწინ ფერადი ნოხი
თქვენთა მშვენიერ წამწამთა ქოხი.

არ გებრალებით? მე მქონდა გული
ახლა ის არის როგორც ყინული,
თქვენ კი ჯერ ისევ მაისს ედრებით,
მომწერეთ რამე, ოჳ, გევედრებით,

ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული
ღრმა მწუხარებით შემორკინული.

მთვარემ თანდათან აიწია და თით-
ქოს იმ ხეებს მიუახლოვდა, რომელთა
ქვეშაც ჩვენ ვისხედით... ახლა ალ-
ბათ გალაკტიონს თავისი „მთაწმინდის
მთვარე“ ახსენდება:

ჯერ არასდროს არ შობილა
მთვარე ასე წყნარი,
მდუმარებით შემოსილი
შელამების ქნარი,
ქროლვით არხევს ცისფერ ლანდებს
და ხეებში აქსოვს,
ასე ნაზი, ასე მშვიდი მთვარე
მე არ მახსოვს...

არ შეიძლებოდა, ამ მშვენიერ მთვა-
რიან სალამოს ეს ლექსი არ გახსენე-
ბოდა მას... მაგრამ ჩემდა გასაოცრად,
უკვე კი არ მომეჩვენა, გარკვევით გა-

ვიგონე გალაკტიონის ჩურჩული:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი
ჯერ კიდევ

გულზედ მაქვს დაჩინეული...

მე მაშინვე შევხედე გალაკტიონს... ის თავის ირგვლივ ვეღარაფერს გრძნობდა, დიდრონი, ამღვრეული თვალები ცისთვის მიეშტერებინა.

... აწცა რა თვალი ლაუგარდს

გიხილვენ,

მყის ფიქრი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ

და ჰაერშივე განიბნევიან!

მას, ამ უზადო ლაუგარდის მჭვრეტელს თითქოს მართლაც დავიწყებოდა საწუთოება. გულისთქმა მისი ამ ცის იქით ეძებდა სადგურს...

ისე მეჩვენა, თითქოს ეს ჩურჩული მხოლოდ მე გავიგონე... ახლაც ასე მგონია. ეს იყო ერთი კაცის გასაგონად ამოქროლილი ნიავის ხმა, და თითქოს ამ ნიავსავით წყნარი ჩურჩულის საპასუხოდ ჩვენმა მასპინძელმა დაფიქრებით თქვა:

– გაუმარჯოს ჩვენი ენისა და გულის ამცრელებს...



მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი გავიდა...

გალაკტიონის სიკვდილამდეც ხშირად მახსენდებოდა წყნეთში გატარებული საღამო და მისი ჩურჩული:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი...

მაშინ ეს საოცრად მეჩვენა. იმ წუთებში გალაკტიონის „მთაწმინდის მთარეზე“ ვფიქრობდი, მის გვერდით ეს უფრო ბუნებრივად და ახლობლად მეჩვენებოდა. გალაკტიონი როგორც ჩანს, სულ სხვა სამყაროში დაჰქორდა, აღარც თავის თავი ახსოვდა. წყნეთის მთებს იქით, მთაწმინდის დიდი ხნის მკვიდრის ხატება და სიმღერა არ ასვენებდა, მთვარეულივით აბოდებდა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა მთაწმინდაზე გალაკტიონის კუბოსთან გიორგი ლეონიძემ მდუღარე გულით თქვა: გალაკტიონის პოეზია ჯერ ხსოვნა იყო ჩვენი სიჭაბუკისა და მერე მუსიკა ჩვენი სულისაო. მე უცებ გამახსენდა ის საღამო, გალაკტიონის ჩურჩული და მივხვდი, მუსიკა გალაკტიონის სულისა ბარათიშვილის პოეზია იყო.



პრინციპისტი

„სანავარდოს“ სტილური ექსპრესი

„სტილის მხრივ იგი გამომდინარეობს ჰაინრიხ ჰაინრიხ მაგრამ იგი მაინც დამოუკიდებელია. კნუტ ჰამსუნსაც მოაგავს, მაგრამ იგი მაინც დამოუკიდებელია, მაინც ჭოლაა.“
(დემნა შენგელაია „ჭოლა ლომთათიძე“)

60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანის დასაწყისში მწერალთა კავშირში არაერთხელ მინახავს დემნა შენგელაია. მიუხედავად ასაკისა და დაზიანებული მხედველობისა, საოცრად მკვირცხლი მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. დიალოგში – „სამი საღამო დემნა შენგელაიასთან“ გურამ ასათიანი შენიშვნავს: „მეც გადამდო თავისი ხალისიანი, მოუსვენარი განწყობილება“. ხასიათის ამ თვისებით მრავალჭირგამოვლილი მწერალი, ალბათ, ყველაზე მეტად თავისესავე ბათა ქექიას ჰეგავდა – მოუსვენარ, დაუდეგარ, გაუტეხელ ბათა ქექიას. ეს მოუსვენრობა და სიმკვირცხლე, ტემპერამენტი და შინაგანი ენერგია დემნა შენგელაიას წერის მანერაში, სტილურ თავისებურებაშიც გამჟღავნდა. „სანავარდო“ ამის მკაფიო ნიმუშია. ჩემი სათქმელიც მწერლის ამ პირველ რომანს შეეხება, რომლის სტილურ ექსპრესიულობას სიმბოლისტური პროზის გამოსახვის თავისებურებანიც აპირობებს.

მონოგრაფიაში „ქართული სიმბო-

ლისტური პროზა“ (1997 წ.) აღვნიშნავდი, რომ სიმბოლისტური პროზის უმთავრესი თვისება პოეტური გამოსახვის საშუალებათა პროზის სფეროში გადატანაა. ამჯერად ამ დებულების კონკრეტულ დადასტურებას დემნა შენგელაიას რომანის მაგალითზე შევეცდები. ამასთანავე, „სანავარდოს“ სტილურ თავისებურებათა გასარკვევად იმის გათვალისწინებაც გვმართებს, თუ როგორი გრამატიკული კონსტრუქციებით იგება რომანის მხატვრული მთლიანობა. სიმბოლისტური პროზის თავისებურებიდან გამომდინარე, „სანავარდოს“ არსებითი მახასიათებელი პოეტური მგრძნობელობის გააქტიურებაა. მიუხედავად რომანის სევდიანი ფონისა და პერსონაჟთა ყოფის განწყობისა, „სანავარდოს“ მაგალითზე კარგად მოჩანს დემნა შენგელაიას სტილისტური ნოვაციები – მეტყველების ფერადოვნება, პოეტური სახეების, ტროპული მეტყველების, ალიტერაციისა თუ პოეტური გრაფიკის გადატანა პროზაში. კონკრეტულ მაგალი-

თებს მოვუხმოთ.

დემნა შენგელაია „სანავარდოს“ პერსონაჟთა მელანქოლიურ ბუნებასა და გუნება-განწყობილებას ლირიკული ფრაზის მეშვეობით გამოხატავს. „ტრფობით დაღლილი, ლურჯი იებივით მადლიერ თვალებით“, – იტყვის პროზაიკოსი და შეუძლებელია, იმ წამსვე არ გაგვახსენ-დეს გალაკტიონის – „შეხედე, დასტყვი, ჩემი თვალები წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით“...

„ასე დადგებოდა გრძელი უდაბური დამეები“, – ნათქვა-მია „სანავარდოში“. „უდაბური“, „გაუდაბურდა“ გალაკტიონის აქტიური ლექსიკა. გავიხსენოთ: „უდაბურებად იქცა სოფელი“ ან „მაისი გაქრა და ბალი ჩემი გაუდაბურდა“, ან კიდევ „გაუდაბურდა ჩემი ყოფის ყოველი წამი“.

ლამეულ ფიქრსა და მელანქოლიას დემნა შენგელაია ასეთი პოეტური ფრაზით გამოხატავს: „ფიქრი ძაფივით გაიპმებოდა და არ იყო იმედი გათენებისა“ გალაკტიონთანაც თითქმის ასევეა ნათქვა-მი – „ალარ გათენდება ლამესაზიზლარი“.

„სანავარდოს“ ფრაზა „შემოდგომის წვიმები ატირდა ოდის თავზე“ პოეზიისათვის დამახასიათებელი ტროპული მეტყველების აშკარა ნიმუშია: და ეს „ატირებული წვიმაც“ გალაკტიონის პოეტური სინტაგმის ვარიაციაა თითქმის.

დემნა შენგელაია პერსონაჟთა სულიერ განწყობილებას ლირიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი საშუალებებით გამოხატავს: „გარეთ ანანწალებული, ლამის ლანდებით დამფრთხალი, უბინაო ქარი იღის კედლებს ესრისებოდა და წიოდა თმაგანენილი“, ჯერ

თი, აქ პოეტურ ალიტერაციასთან გვაქვს საქმე („წიოდა თმაგანენილი, ანანწალებული ქარი“) და მეორე – „თმაგანენილი“, „უბინაო ქარი“ კვლავ გალაკტიონს გვახსენებს: „და შლიდა ბაირალებს თმა-განენილი ქარი“ ან კიდევ: „მე მქონდა ბინა თავშესაფარი, მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა“.



როგორც დემნა შენგელაიასთან, ასევე გალაკტიონ ტაბიძესთანაც ქარი ავის-მომასწავებელი, ფატალური სტიქია. ორივე შემთხვევაში ქარი პიროვნების სულიერი მღელვარების მიმანიშნებელია. თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქარშია“ გასაგნებული, გამატერიალიზებული (თუმც ქარი ყველაზე არამატერიალური სტიქიაა დანარჩენ სტიქიებს შორის) ის, რაც პიროვნების სულში ხდება. „სულ-

შეწუხებული ქარი სადრაც იქვე, ბოკნის ძირში, კივის და მოთქვამს“, იტყვის მწერალი და აშკარაა, ისევ ქარის პოეტურ ვარიაციას უტრიალებს დემნა შენგელა-ია.

„ფრთააწყვეტილი ქარი ზუზუნებს და კივის ბუხრის თავზე, შორს ზარის მოწყვეტილი რეკა გაისმის, ეს ქარი შეიჭრა სამრეკლოზე“, – დემნა შენგელაიას ეს ფრაზაც გალაკტიონს გვაგონებს. ქარი, ზარი და სამრეკლო ხომ გალაკტიონის მისტიკური ტრიადაა, თუმც, აქ მთავარი ის კი არ არის, საიდან მოდის ესა თუ ის სახე, არამედ არსებითია მოვლენისადმი მიმართება, პოეტური აზროვნების სისტემის სამყაროს პოეტური შემეცნების მსგავსება. თეიმურაზ დოიაშვილმა თქვა ხატოვნად, „გალაკტიონის ორკესტრში „პირველი ვიოლინო“ ქარის მუსიკას უკრავს“. იმავეს თქმა თამამად შეიძლება „სანავარდოს“ პოლიფონიურ პოეტურობაზე.

როგორც ითქვა, „სანავარდოს“ სტილისტიკა პროზაში პოეტური სახეებისა და ფრაზეოლოგიის გადატანით ხასიათდება. ამისი ნიმუში მრავლადაა „სანავარდოში“. ბონდო ჭილაძეზე ნათქვამია: „მას შერცხვა თავის საკინძეგახსნილი მოვის პერანგისა და ურულაატანილი ბალიშს ჩაეხუტა“. „საკინძეგახსნილი მოვის პერანგი“ ქართული ფოლკლორის პოეტური სახეა: „ნითელი მოვის პერანგი შვიდგან შეკრული ღილითა“. დემნა შენგელაია „სანავარდოში“ ვნებითატანილი ქალის შესახებ იტყვის: „მწიფე მტევანივით ვნებადადუღებული დგას...“. ქალი და მტევანი გრიგოლ რობაქიძისეული სახეცაა: „და კიდევ ერთხელ გასუდრულ მტევანს...“ დემნა შენგელაიასთან იმგვარ პოეტურ სახეებსაც შეხვდებით, სხვა პოეტთან რომ ხმიანობს მოგვიანებით: „რიონის ჭაობებიდან რძის ორთქლივით ადგა ნისლი“. გავიხსენოთ გიორგი ლეონიძისეული – „როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი ქართლის ხეობებს ასდით ნისლები“.

დემნა შენგელაიას ფრაზაში – „საჯავახოს მთები დაინისლებოდა და ლაინის ფერს გადაიკრავდა“, „ლაინისფერს გადაიკრავდა“ ის პოეტური მიგნებაა, მერე რომ გახმიანდება „მთვარის მოტაცებაში“ და კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ფინალში პოეტურ აკორდად გაიუღერებს: „ლაინისფერი გადაჰკვროდა ზღვას...“

პროზაიკოსი დემნა შენგელაია ემოციური ზემოქმედების მიზნით დიდ ყურადღებას უთმობს ბერებითა მუსიკალური ოგანიზაციის ფორმას, სიტყვის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას. „წინილების წიაქმა წაილო ყურთასმენა“, ან „ქათმები ფრთების ბათქუნით ადიან ტყემალზე დასაბუდებლად“. ალიტერაციის ამგვარ მაგალითებს, პოეზიისათვის ესოდენ ნიშნეულ გამოსახვის ხერხს, გამუდმებით ვხვდებით „სანავარდოში“.

პროზის პოეზიასთან გათანაბრების ტენდენცია სხვა მხრივაც შეიმჩნევა დემნა შენგელაიასთან. „სანავარდოში“, ძირითადად, დარღვეულია პროზის გრაფიკა. რომანის გრაფიკული სურათი პოეტური ტექსტის ორგანიზაციის უფრო ჰგავს, ვიდრე პროზისას. ტექსტის ლექსს მიმსგავსებულ გრაფიკულ განლაგებას, ამავე დროს, ფუნქციური დატვირთვაც აქვს (აზრობრივი, ვიზუალური, კომპოზიციური), მთელი პასაჟები დაწერილია არა პროზაზე, არამედ პოეზიაზე ორიენტაციით. მაგალითად:

„ჭაობი და ჭონჭყო.“

ლელი და ლაქაში.

აქა-იქ ისლით დახურული წაფერდებული ქოხები.

ეზოები მოლნარით გადამწვანებული.

მოტანილი ფრაგმენტი გრაფიკულად ისეა აგებული, როგორც პოეტური სტროფი. ასეთი პასაჟები მრავლადაა „სანავარდოში“, მაგრამ მარტომდენ გრაფიკული კომპოზიციია როდისა მთავარი, უფრო მნიშვნელოვანია პოეტური ფრაზეოლოგია – სახეობრივი აზროვნება, ტროპული მეტყველება, რომელიც

ლამის ყოველ გვერდზე გვხვდება რო-
მანში. მაგალითს მოვუძმოთ:

„ჩალის ზვინები ყვითლად ჩამოსტი-
როდნენ ხეებიდან.“

აქრილი ყანები გაივსო წყლიტ და
გამხმარ ჩაჩიებზე

შემომჯდარი ყვავები ყაყანობდნენ
საყვავო საქმეებზე.

ნაფერდებული სასიმინდები სველი
ყანჩებივით

მობუზულიყვნენ“.

რომ აღარაფერი ვთქვათ ტროპულ
მეტყველებასა და ალიტერაციაზე („ჩა-
ლის ზვინები ყვითლად ჩამოსტიროდნენ
ხეებიდან“, „ყვავები ყაყანობდნენ საყვა-
ვო საქმეებზე“); ფრაზა – „ნაფერდებუ-
ლი სასიმინდები სველი ყანჩებივით მო-
ბუზულიყვნენ“ ისეთი ვიზუალური სიც-
ხადითა და მეაფიობით ხასიათდება,
იმპრესიონისტების ნახატს მოაგონებს
კაცს. სახეები, რომელთაც მხატვრული
ტილოს მეაფიობა აქვთ, საქმარისადაა
რომანში. კიდევ ერთი მაგალითი გავიხ-
სენოთ, სადაც სასიმინდები უკვე სრუ-
ლიად სხვა თვალითაა დანახული და სხვა
ასოციაციას იწვევს:

„სასიმინდები უზარმაზარ კოდოპანე-
ბივით ცურავდნენ რიონიდან ჩამოსულ
კვიმში“.

დამეთანხმებით, ალბათ, ამ პოეტური
ფრაზით კიდევ ერთხელ იქმნება შთამ-
ბეჭდავი მხატვრული სურათი.

დაურკებელი სურვილი პროზის პრო-
ზასთან დაახლოებისა დემნა სენგელაიას
მომდევნო რომანშიც („ტფილისი“) შეი-
ნისნება, რომელიც „სანავარდოს“ მსგავ-
სად მსოფლმხედველობითა და სტილის-
ტიკით სიმბოლისტური პროზის კუთ-
ვნილებაა. მეტიც, რიტმული პროზისკენ
ლტოლვა „ტფილისში“ ურო ძალუმად
იგრძნობა.

„ჩემი ოთახი ექვსკუთხედია და ფან-
ჯარაში ჰამაკივით კიდია მტკვარი“. ეს
პოეტური სტრიქონი „ტფილისიდანაა“ და
იოსებ გრიშაშვილის სალექსო ფრაზის
მეტრულ-მუსიკალური სქემის ვარიაცი-

ას გვაგონებს: „თბილისი ისევ გაირაკ-
ლდება და ნაგუბარში ჩადგება წყალი“.
მაგრამ ისევ „სანავარდოს“ დავუპრუნ-
დეთ და იმის შევეცადოთ, თუ როგორი
გრამატიკული კატეგორიებით იქსოვება
რომანის მხატვრული მთლიანობა. მით
უფრო, რომ სიმბოლიზმის სტილისტიკა
– მხატვრული გამოსახვის თავისებურე-
ბათა გამოვლენა – ფრიად საინტერესოა
ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

ცნობილია, პროზის პოეზიასთან და-
ახლოების ტენდენცია საზოგადო თავი-
სებურებაა მოდერნიზმისა. მოდერნის-
ტი პროზაიკოსები ცდილობენ ლექსის
სტრუქტურული ელემენტების შემოტა-
ნას პროზაში, რათა იგი ჰგავდეს არა
იმდენად ტრადიციულ პროზას, არა-
მედ უფრო პოეტურ ქმნილებას. ასეთი
სწრაფვა შეიმჩნევა, მაგალითად, ვასილ
ბარნოვისა თუ ნიკო ლორთქითანიძის
შემოქმედებაში. შემჩნეულია, რომ ვასილ
ბარნოვის მოთხოვნებისა და რომანების
მნიშვნელოვანი ნაწილი რიტმული პრო-
ზითაა დაწერილი, რაც, ბევრ შემთხვე-
ვაში, ახლოს დგას თოთხმეტმარცვლო-
ლოვან ლექსთან (ივანე გიგინეიშვილი,
ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურე-
ბათა საკითხისათვის, ქართული სიტყვის
კულტურის საკითხები, VIII, 1988, გვ. 69).

დემნა შენგელაიას, ვასილ ბარნოვისა-
გან განსხვავებით, პრინციპად არ გაუხ-
დია რიტმული პროზით წერა, მაგრამ ეს
სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის გულ-
გრილი იყო რიტმული პროზის მიმართ.
„სანავარდოს“ ავტორი არ მიმართავს
მკვეთრად გამოხატულ მეტრულ საზომს,
ის სხვა საშუალებებით ცდილობს პოე-
ტური პროზის ეფექტის მიღწევას. კერ-
ძოდ, რომანის ერთ-ერთ გამოკვეთილ
სტილურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ
მარტივ ან შერწყმულ ნინადადებებზე
დამყარებული თხრობითი მონაკვეთების
სიჭარბე, რითაც მწერალი ცდილობს,
თავი აარიდოს რთულ ქვეწყობილ კონ-
სტრუქციებს, მიაღწიოს ფრაზის ენერ-
გიულობას და შექმნას რიტმული პრო-

ზის შესატყვისი მხატვრული ეფექტი. მართალია, ასეთი რიტმული პასაჟების სტრიქონებში მარცვლაანობის სიმეტრია ზუსტად არ არის დაცული, მაგრამ არც იმდენად დარღვეულია, რომ თხრობით მონაკვეთში გაძნელდეს ლექსითი სტრუქტურის აღქმა. მოვუხმოთ ორიოდე და პასაჟს:

„დადგა ლამები ბნელი, დაყურსული,
ატირებული, წვიმიანი ზამთრის ლამე-
ბი.

წვიმები... წვიმები... წვიმები...

ამდოვრებული რიონი ზარმაცად მი-
დუდუნებდა,

ლამე თუ გაისმოდა გარეული იხვების
უდავილი“.

აქ ლექსის შთაბეჭდილებას ქმნის არა სტრიქონთა თანაბარცვლიანობა, არამედ ერთგვარი თხრობითი ტექსტი. დაახლოებით მსგავსი სიგრძის საარტიკულაციო მონაკვეთების (კოლონების) სიგრძე რომანის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირია. თუ ზემოთ დასახელებული ციტატის სტრიქონები 3-5 სიტყვიანია, სხვა ადგილას სტრიქონები შეიძლება აგებული იყოს 6-8 სიტყვისაგან:

„დასველებული ქათმები ოდის ქვეშ
მობუზულიყვნენ და

ფრთებს იკიკნიდნენ,
მოდიოდა თოვლი წყლიანი და მინაზე
დაცემამდის

დადნებოდა.

ხნულები და ეკლით დაპურული, ჩაქ-
ცეული თხრილები

დაივსებოდა ნაწვიმარით.

სადღაც გოჭი ჭყვირილით ეძებდა თა-
ვის ტოლებს.

სწორედ სხვადასხვა სიგრძის საარტიკულაციო მონაკვეთებისაგან (წინადადებებისაგან) შედგენილი პასაჟების მონაცვლეობა ქმნის თხრობის გარკვეულ დინამიკას.

სხვადასხვა სიგრძის უშემასმენლო სტრიქონებითაა ეს პასაჟი გამართული.

„რთხმელის ბოკნებზე შემდგარი წაპ-
ლის ოდა...

ოდის ქვეშ წითელი ხავსით დალორ-
ნილი მინა.

ოდის უკან – ისლით დახურული ხუ-
ლა, ბიჯგებზე შემდგარი სასიმინდე და ნაქცეული ურემი.

სამზარეულო სახლზე გასული კვახის ლერწები, უზარმაზარი კვახები და კვატულები დაკიდებული.

ეზოში ფეხებდაბორკილი, ზურგგა-
დატყავებული გამხდარი ცხენი და დინ-
გნაგრძელებული წუწკი ღორის ხვნეშა

ხულის წინ ჭილოფები შესვეული, შე-
ციებული ბიჭის ძიგძიგი.

მოახლოვდა გვალვიანი შუადლე“.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოკლე და გრძელ ფრაზებზე აგებული პასაჟების მონაცვლეობა, რომელიც რომანში შეიმჩნევა, გამიზნულია თხრობის რიტმის გამრავალფეროვნებისა და მონოტო-
ნურობის თავიდან ასაცილებლად, რა-
თა მეტობელს ზედმეტი ძალისხმევა არ დასჭირდეს მხატვრული ეფექტის ალ-
საქმელად (სხვათა შორის, რუსთველი ამ მიზნით იყენებს ორ რიტმულ სტრუქ-
ტურულ მოდელს, ე.წ. მაღალ და დაბალ შაირს).

მნერალი იშვიათად მიმართავს რთულ ქვეწყობილ წინადადებებს და თუკი მი-
მართავს, ძირითადად მაქვემდებარებე-
ლი კავშირების გარეშე.

„იმ ღამითვე მოილაპარაკეს დედ-მა-
მამ და გადაწყვიტეს, ქალაქში გაეგზავ-
ნათ“. გამოტოვებულია „რომ“ კავშირი.

„ციცინო წიგნს წერდა ძმას ქალაქში, ბონდოს თვალისჩინივით გაფრთხილე-
ბოდა“. გამოტოვებულია „რომ“ კავშირი.

„შემოვარდა ჩამოძონძილი ლიზიკია, გაკვირვებული უყურებდა ბატონებს და ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის ირგვლის“. გამოტოვებულია „თუ“ კავშირი.

„ციცინო ხედავდა, როგორ აწამებდა ყარამანს გვარის გადაშენების შიში და არ იცოდა, რით ენუგეშებინა“. გამოტო-
ვებულია „თუ“ კავშირი.

„ჭრაქი ირხეოდა და ყარამანს მოეწვე-
ნა, თითქოს ოთახი დატორტმანდა“. გა-

მოტოვებულია „რომ“ კავშირი.

დემნა შენგელაიას ახასიათებს ერთი სტილური ხერხი: მოქმედების, მოვლენის მრავალგზისობის აღსანიშნავად მიმართავს კონსტრუქციას: „იყო“ + ზმნის საწყისი.

იყო თონეში ლავაშების და მჭადების ცხობა, დასაკლავი გოჭების ჭყვირილი და მოზვრების ზმუილი.

იყო შავების კერვა და ჭირისუფლების სამზადისი.

იყო კივილი და მოთქმა:

ასეთ კონსტრუქციაში ნახმარი „იყო“ პოტენციურად იგულისხმება მომდევნო უშემასმენლო წინადადებაშიც. უშემასმენლო წინადადებით შედგენილი პასაუი კი ქმნის პოეტური ტექსტის ილუზიას.

„იყო თონეში ლავაშებისა და მჭადების ცხობა. დასაკლავი გოჭების ჭყვირილი და მოზვრების ზმუილი...“

სამზარეულოში ღომის ზელვა და დაშუშება.

ხარჩოს დუღილი, ჭადებიდა და ხაჭაპურების ცხობა.

გაპუტული გოჭებისა და ინდაურების დგინვა და მანვა.

ქეიფი.

საფლეგრძელოები...

- დალიე!...

- დამილიე!..

თავადის ქალების კოპწიად თვალების ნაბვა და აბრეშუმის ხაბარდიანი კაბების ფარფუაში.

მრავალუამიერის ქერში შეტყორცნა.

ღომიანი თითების გალოკვა და სუფრაზე უხვად დაყრილი ლელვისა და კვა-ხის ფურცლებზე ხელის წმენდა.

„სანავარდოს“ ავტორი ხშირად, ზმნისპირიანი ფორმების ნაცვლად, შეგნებულად მიმართავს საწყისურ (მასდარულ) ფორმებს, რაც სახელდებით წინადადებებს ქმნის. ამ უკანასკნელს რიტმული პროზის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად იყენებდნენ ვასილ ბარნოვი და რუსი სიმბოლისტები (რუსული სიმბოლისტური პროზის ამ არსებით ნი-

შან-თვისებაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ივ. გიგინეიშვილი ზემოთ დასახელებულ წერილში). დემნა შენგელაიაც ამ საშუალებად მიიჩნევს წინადადებაში მთელი სიმძიმის სახელებზე (და არა ზმნებზე) გადატანას. ამ ფაქტში შეგნებულად თუ ქვეცნობიერად რუსი მოდერნისტების გავლენა საცნაურდება. სიმბოლისტებმა დამკვიდრეს და გააბატონეს რუსულ ლიტერატურაში ე.ნ. სახელდებული წინადადებები, როგორც სტილისტიკური ხერხი. მათვე მიმართეს ალიტერაციას პროზაში. შეეცადნენ განედევნათ ზმნა და სიმძიმის ცენტრი წინადადებაში სახელებზე გადაეტანათ. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსული სიმბოლისტური პროზის გამორჩეული ნიმუშის „პეტერბურგის“ ავტორის, ანდრეი ბელის მიმართ.

დემნა შენგელაიას რომანის ამგვარი სტილური თანხვედრა ანდრეი ბელის „პეტერბურგთან“, რაც ზმნის პირიანი ფორმების მაგიერ საწყისური (მასდარული) ფორმების გამოყენებაში გამოიხატება, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ „სანავარდო“ სიმბოლისტური პროზის გამორჩეული ნიმუშია, რის შესახებაც ვრცლად ვმსჯელობ ჩემს წიგნში „ქართული სიმბოლისტური პროზა“.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ახლა კიდევ ერთ ვრცელ მაგალითს მოვიხმო „სანავარდოდან“:

„ქაობი და ქონქურ.

ლელი და ლაქაში.

აქა-იქ ისლით დახურული, წაფერდილი ქოხები.

ეზოები მოლწარით გადამწვანებული, ქოხების წინ პერნგისამარა, მუცელ-გასიებული, გამოყვითლებული ტყირპიანი გოგო-ბიჭების ტანტალი და ჭაკუნას თამაში.

მზისგან გამთბარ, მწვანე, ლორწოიან ჭაობებში ქვეწარმავალთა ნებიერი ზმორება და აორთქლილი ხაშმი ციებ-ცხელებისას.

რიონის ამდოვრებული, მღვრიე დენა.

პატარა დამპალი მდინარის, ღოღობის ნაპირები სტეპითა და ფსანით დაბურდული და კალათიანი ქალები ეკალას საკრეფად შეფენილნი.

ახლად გამოროდებული ყანები და ნალიების ტივტივი მწვანე სიმინდის ზღვაში.

ჩამონგრეული ღობეები.

დამპალი წყლით სავსე თხრილები და შიგ ჩაწოლილი უღლიანი გამხმარი ღორის ნეტარი ოხვრა.

თხრილის პირას, აწნლებში, ფეხებდაბორკილი ხის სარეკლიანი თხები და მზეზე გაფიცხებული ბაყაყები, მგზავრის გავლაზე რომ წყალში მწიფე ნაყოფივით ცვივიან.

გვალვის ცხელი ზუზუნი და სადღაც ჭიჭინობელის გულისშემაღლონებელი ჭრიჭინი.

აქა-იქ აშოლტილი ალვის ხეები და დაკრუნჩეული ტირიფები.

ყარამანის ოდის უკან ასწლოვან ცაცხვებში ჩაძირული ხის ეკლესია და სასაფლაო.

ნიშანდობლივია, რომ ამ 122 სიტყვიან მონაკვეთში მხოლოდ ერთი პირიანი ზმნაა ნახმარი და ისიც ერთადერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში!

ასეთი სახელდებიანი პასაუები ჭარბადაა რომანში:

„ყველგან სიკვდილი და დრამა.

ციცინო ასეთ მდგომარეობაში.

ბონდო გადაკარგული

ოჯახი ამოვარდნის გზას დამდგარი...

ან:

ხარხარი და სიმღერა

არშიყობა და გადაკრული ჩურჩული

ზმების გადატყორცნა...

მწერალი ცდილობს, მარტივი თუ შერწყმული წინადადება არ გადატვირთოს მეორეხარისხოვანი წევრებით, რათა წინადადება სალექსო ტაეპივით იყოს მოკლე, შეზღუდული სიგრძისა:

„ღობე ილენება.

სადღაც თოფი გავარდა.

იელვა ხანჯალმა.

დამფრთხალი ცხენები ახვიხვინდნენ.

მოღრუბლული ცა გასკდა...“

პოეტური ეფექტის მისაღწევად, როგორც ითქვა, მწერალი მკვეთრი თანხმოვების ალიტერაციასაც მიმართავს:

„წინილები წიაქობდნენ ბოსტანში.

„იისფერი ვენახი ეტმასნება პიტალო კლდეებს და ტკბილი მტევნებითაა დატვირთული მისი ლერწები“

„გარეთ აწანნალებული... უბინაო ქარი... წიოდა თმაგანენილი“

„წინილების წიაქმა წაიღო ყურთასმენა“

შეიძლება ითქვას, რომ დემნა შენგელაიას ოსტატობის წყალობით „სანავარდოში“ ქართული ენა ზეიმობს თავის განსაცვიფრებელ გამომსახველობით ძალმოსილებას. მწერლის სტილური ორიგინალობის განმსაზღვრელად გვევლინება თხრობაში ქვეწყობილი წინადადებებისადმი შეგნებულად თავის არიდება; მარტივი და შერწყმული წინადადებების სიჭარბე; თავის მხრივ, რთული თანწყობილი და შერწყმული წინადადებების დაშლა დამოუკიდებელ, მოკლე კომპონენტებად, მარტივ წინადადებებად; უშემასმენლო, სახელდებითი წინადადებების უხვად გამოყენება; თხრობითი ტაქტის (კოლონების) განყობა განსაზღვრული სიგრძის, ლექსის სტრუქტურასთან დაახლოვებული სტრიქონებით და ამის მისაღწევად მეორეხარისხოვანი წევრებისაგან ფრაზის განტვირთვა. რიტმული პროზისათვის დამახასიათებელი ყველა ეს წიშანი სიმბოლისტური სტილისტიკის არსებით მახასიათებლად იქცა. ასე რომ, „სანავარდოს“ ენობრივ თავისებურებებსა და გამომსახველობით საშუალებებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ამ საოცრად ფერადოვანი პალიტრის მქონე რომანის ადგილი ქართული ლიტერატურის სიმბოლისტურ ნაკადში.

ქართული ფლენერი ო'კონორი



არალი შევლენ პირველი

შეფარდი მაღალ სკამზე წამომჯდარი-ყო ბართან, რომელიც სამზარეულოს შუ-აზე ყოფდა და გარედან შემოტანილი მუ-ყაოს კოლოფიდან ხორბლის ფაფას მიირ-თმევდა. მექანიკურად ჭამდა. ცალი თვა-ლით ბავშვისენ იყურებოდა. ეს ბავშვი ათი წლის ჩაფსკვნილი ქერათმიანი ბიჭი იყო. ბიჭი გადატიხრული სამზარეულოს კარადებს სათოთაოდ ალებდა, რომ საუზ-მისთვის რამე ეპოვა. შეფარდის ცისფერი თვალები დაჟინებით აკვირდებოდნენ ბი-ჭის თითოეულ მოძრაობას. ბიჭს თავისი მომავალი სახეზე ეწერა. დიდი-დიდი, ბან-კირი უნდა გამოსულიყო, პატარა საკრე-დიტო კომპანიის მმართველი. შეფარდი მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობდა – ბიჭი კეთილი და სხვებზე მზრუნველი გაზრდი-ლიყო, რასაც მასზე ჯერ-ჯერობით ვერ იტყოდით. შეფარდი ჯერ კიდევ ახალგაზ-რდა კაცი იყო, მაგრამ თმა ნაადრევად გა-ჭალარავებოდა, რომელიც მის ლაულაჟა, მგრძნობიარე სახეს თავზე შარავანდედი-ვით ედგა.

ბიჭი ბართან მივიდა. იღლიაში ქილა ჰქონდა ამოჩრილი არაქისის კარაქით, ცალ ხელში თეთვი ეჭირა შიკოლადის ნამ-ცხვრის მომცრო ნაჭრით, მეორეში კი კე-ჩუპის ბოთლი. მამამისისთვის ყურადღება

არ მიუქცევია, ისე აძვრა სკამზე და ნამ-ცხარზე არაქისის კარაქის ნასმა დაიწყო. დიდი, მრგვალი, პარტყუნა ყურები ჰქონ-და, რის გამოც თვალებით ოდნავ წაიელ-მებდა. ტანზე მწვანე მაისური ეცვა, ისეთი გახუნებული, რომ მის წინა მხარეზე გამო-სახული თავზეხელალებული კოვბოისგან აჩრდილილა დარჩენილიყო.

„ნორტონ“, მოუბრუნდა შეფარდი ბიჭს. „გუშინ რუფუს ჯონსონი ვნახე. იცი რი-თი იყო დაკავებული?“ ბიჭმა მამას უაზ-რო მზერა მიაპყრო, უსმენდა და თან არა-ფერი ესმოდა. მასაც მამამისისვით ცის-ფერი თვალები ჰქონდა, მხოლოდ უფრო ღია, რომელსაც თითქოს საკუთარი მაი-სურივით დაკარგვოდა ფერი. ცალი თვა-ლი ოდნავ შესამჩნევად განზე გაურბოდა. „შესახვებში იდგა და ცალი ხელით ნაგვის ყუთში თავისთვის საჭმელს ეძებდა“. შე-ფარდმა სიტყვა გაწყვიტა, უნდოდა ბავშ-ვს მისი ნათქვამი კარგად შეესრულა. „ის მშიერია!“, დაასრულა მან და თან ბავშვს დაჟინებით უყურებდა, ცდილობდა მასში სინდისი გაეღვიძებინა.

ბიჭმა შოკოლადის ნაჭერი აიღო და მას ცალი კუთხე მოაკბიჩა.

„ნორტონ“, განაგრძო შეფარდმა, „სა-ერთოდ თუ გაქვს წარმოდგენა, რას ნიშ-

ნავს სიტყვა „გაზიარება?“

ბიჭი წამიერად გამოერკვა. „როცა რა-ლაც ნანილი შენია“, მიუგო ნორტონმა,

„რალაც ნანილი კიდევ მისი“, მძიმედ დააყოლა შეფარდმა. შეფარდს არაფრის იმედი აღარ ჰქონდა. ოღონდ ეგოისტი ნუ იქნებოდა და თუ გინდ აფი ზნის და თუნ-დაც მატყუარა ყოფილიყო.

ნორტონმა კეჩუპის ბოთლი გადმოა-პირქვავა და დარჩენილი შიგთავსი ნემ-ცხვარს დაცალა.

შეფარდს ახლა კიდევ უფრო შენუხე-ბული მზერა ჰქონდა. „შენ ათი წლის ხარ, რუფუს ჯონსონი კი თოთხმეტის, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რუფუსს შენი ტან-საცმელი კარგად ექნება“. შეფარდი რუ-ფუს ჯონსონს უკვე ერთი წელი იყო, რაც რეფორმატორიუმიდან იცნობდა და ყვე-ლანაირად ცდილობდა მას დახმარებოდა. „როცა რეფორმატორიუმში იყო, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ გუშინ რომ ვნახე, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. ის საუზმეზე არაქისის კარაქნასმულ ნამ-ცხვარს ვერ ჭამს“.

ბიჭმა ჭამა შეწყვიტა. „გამხმარი რომ არის, იმიტომ ვუსვამ ზედ რაღაცეებს“, წაილულულა მან.

შეფარდმა მზერა ბარის ბოლო ფან-ჯრისკენ გადაიტანა. ფანჯრის ქვეშ გა-ზონი ლამაზად იყო შეკრეჭილი და მწვა-ნედ ბიბინებდა. იგი ქვევით ეშვებოდა და ორმოცდათი ფუტის იქით ქალაქის პირას მდებარე პატარა კორომს უერთდებო-და. როცა მისი ცოლი ჯერ კიდევ ცოც-ხალი იყო, ისინი ხშირად ჭამდნენ გარეთ, პალახზე, ზოგჯერ საუზმესაც კი. მაშინ არასდროს შეუმჩნევია, რომ ბავშვი ეგო-ისტი იყო.

„მისიმინე“, დაიწყო ისევ შეფარდმა და ბიჭისკენ მიბრუნდა. „სახეში შემომხედვ და კარგად მომისმინე“.

ბიჭმა შეხედა, ყოველ შემთხვევაში, თვა-ლებით მისკენ იყურებოდა. „რუფუსმა რე-ფორმატორიუმი რომ დატოვა, ამ სახლის გასალები მივეცი. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მეჩვენებინა, რომ ვენდობი და რომ

მას აქვს ადგილი, სადაც შეუძლია ნებისმი-ერ დროს მივიდეს და თავი, როგორც სახ-ლში, ისე იგრძნოს. „ჯერ ამით არ უსარგებ-ლია, მაგრამ, ალბათ, ახლა ისარგებლებს იმიტომ, რომ მნახა და თანაც მშიერია. თუ არადა, მე თვითონ წავალ, მოვძებნი და მო-ვიყვან. არ შემიძლია ვუყურო, როცა ბავშვი ნაგვის უთებიდან ჭამს“.

ბავშვს სახე მოელუშა. მიხვდა, რომ ვი-ღაც მის კუთვნილ რაღაცას ემუქრებოდა.

შეფარდმა ტუჩები ზიზლით მოკუმა.

„რუფუსის მამა იქამდე მოკვდა, სანამ რუფუსი გაჩნდებოდა. დედამისი შტატის ციხეში ზის. რუფუსი ბაბუამ გაზარდა ერთ ქოხში, სადაც არც წყალია და არც დენი. ბებერი მას ყოველდღე სცემდა. ოდესმე მოგინდებოდა, რომ ასეთი ოჯახი გყოლოდა?“

„არ ვიცი“, ენის ბორძისით წარმოთქვა ბიჭმა.

„კარგი, მაშინ, ოდესმე უნდა დაფიქრდე ამაზე“, მიუგო შეფარდმა.

შეფარდი ქალაქის რეკრეაციის სამ-სახურის უფროსი იყო, შაბათობით კი რეფორმატორიუმში კონსულტანტობას ითავსებდა, სადაც არაფერს უხდიდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, კმაყოფილი იყო იმით, რომ ეხმარებოდა ბიჭებს, რომლებ-ზეც არავინ ზრუნავდა. ჯონსონი ყველაზე ჭკვიანი იყო იმ ბიჭებს შორის, ვისთანაც მას მუშაობა უწევდა და, ამავე დროს – ყველაზე უპოვარი.

ნორტონმა, რაც წამცხვისგან დარჩა, უკან, თეფუძე დააბრუნა ისეთი სახით, თითქოს მისი ჭამა ვინმემ დააძალა.

„იქნებ არ მოვიდეს“, ჩაილაპარაკა ბავ-შვმა და თვალები იდნავ გაუნათდა.

„იყიდე იმ ყველაფერზე, რაც შენ გაქვს და მას არ აქვს!“ თქვა შეფარდმა. „წარმოიდგინე, რომ საჭმელს ეძებ წაგვის ყუთში ან უზარმაზარი, გასიებული ფეხი გაქვს და სიარულის დროს ცალ ფეხს უფ-რო დაბლა ადგამ, ვიდრე მეორეს“. ბიჭი უაზროდ მიშტერებოდა. ცხადი იყო, ასეთი რამ ვერ წარმოედგინა.

„შენ ჯანმრთელი სხეული გაქვს“, განაგ-

რძო შეფარდმა, „და კარგი სახლი. შენთვის სხვა არაფერი უსწავლებიათ, სიმართლის გარდა. შენ მამაშენი გაძლევს ყველაფერს, რაც გსურს და გჭირდება. შენ არ გყავს ბაბუა, რომელიც გცემს, ხოლო დედაშენი არ იხდის სასჯელს შტატის ციხეში.

ბავშვმა თეფში განზე გასწია. შეფარდმა ხმამაღლა ამოიხსრა.

ბიჭის უცაბედად დამანჭული პირის ქვეშ კვანძის გორგალი გამოიბერა. სახე ღარებით აევსო და ალაგ-ალაგ ემოებურცა.

„ციხეში რომ ყოფილიყო, წავიდოდი და ვვნახავდი“, თქვა ბიჭმა. თვალები ცრემლებით აევსო და ნიკაპზე კეჩუპი ჩამოელვენთა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ვიღაცამ კბილებში მოსდო. ბოლოს, თავი ვეღარ შეიკავა და აღნავლდა.

შეფარდი კი იჯდა, უმწეო და საცოდავი, იმ ადამიანის მსგავსად, რომელსაც სტიქიურმა ძალებმა თავზარი დასცა. ეს არ იყო ჩვეულებრივი მწუხარება. ის ბავშვის ეგოიზმით იყო გამოწვეული. დედამისი უკვე ერთი წლის მკვდარი იყო. ბავშვები, როგორც წესი, ამდენ ხანს არ დარღობენ. „მალე თერთმეტი წლის გახდები“, ყველრებით მიმართა მამამ შვილს. ბავშვს გული ამოუჯდა და ხმამაღლა, გულსაკლავად ასლუკუნდა. „თუ მარტო საკუთარ თავზე კი არა, იმაზეც იფიქრებ, სხვას რა შეგიძლია გაუკეთო, დედა აღარ მოგენატრება“. ბავშვი გაჩუმდა, მაგრამ მხრები ჯერ კიდევ უთროთოდა. შემდეგ სახე დაეღრივა და ლნავილი დაიწყო. „შენ გგონია, მის გარეშე მე არ ვერდნობ თავს მარტო? როგორ ფიქრობ, მე ის არ მენატრება? რა თქმა უნდა, მენატრება, მაგრამ არ ვზიგარ და შენსავით ცხვირი არ მაქვს ჩამოშვებული. იმით ვარ დაკავებული, რომ სხვა ადამიანებს ვეხმარები. როდის გინახივარ, რომ ვიჯდე და საკუთარ პრობლემებზე ვფიქრობდე? – უფრო რიხიანად აგრძელებდა შეფარდი. ბიჭი უცპად მოეშვა, თითქოს ძალა გამოეცალა, მაგრამ ცოტა ხანში თვალები ისევ ცრემლებით აევსო. „რის გაკეთებას აპირებ დღეს? ჰკითხა შეფარდმა. უნდოდა მისი გონება სხვა რამე-

ზე გადაეტანა. ბავშვმა მკლავით ცრემლები მოიწმინდა. „თესლები უნდა გავყიდო“, წაიდუდლუნა მან. ყოველთვის რაღაცას ყიდის. ოთხი ნახევარლიტრიანი ქილა გაავსო ხუთცენტიანებით და ათცენტიანებით. აგროვებდა და ყოველ დღე საკუჭნაოდან გამოჰქონდა და ითვლიდა.

„რისთვის ყიდი მაგ თესლებს?“

„პრიზი მინდა მოვიგო“. „რა პრიზია?“

„ათასი დოლარი“. „რას იზამდი ათასი დოლარი რომ გქონდეს?“

„შევნახავდი“, თქვა ბიჭმა და ცხვირი მკლავით მოიხოცა.

„ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე მოიქცეოდი“, მიუგო შეფარდმა. „მომისმინე“, დაუნია ხმას მამამ და თითქმის მუდარის ტონით უთხრა, „დავუშვათ, რომ შემთხვევით მართლა მოიგე ათასი დოლარი. ნუთუ არ მოინდებოდა, რომ ეგ ფული იმ ბავშვებზე დაგეხსარჯა, ვინც შენზე ნაკლებად იღბლიანები არიან ან ობოლთა სახლისთვის საქანელა, ან სავარჯიშო ძელი გეჩუქებინა, ან საწყალი რუფუს ჯონსონისთვის ახალი ფეხსაცმელები გეყიდა?

ბიჭმა ბარიდან ნელ-ნელა უკან დაიხია. შემდეგ, უცებ წინ გადაიხარა და პირლია თავი თეფშზე ჩაკიდა. შეფარდმა ისევ ამოიხრა. ყველაფერი უკან ამოვიდა მქავეთხევადი მასის სახით – ნამცხვარი, არა-ქისის კარაქი, კეჩუპი. ბავშვს თავი ისევ თეფშზე ჰქონდა დაკოდებული და იჭინთებოდა. კიდევ ამოანთხია და პირდაღებული თეფშს არ სცილდებოდა, თითქოს ელოდა ამ ყველაფერს გული როდის ამოყვებოდა.

„გეყოფა, გეყოფა“, უთხრა შეფარდმა. შენი ბრალი არ იყო. პირი მოიწმინდე და დაწერი.

ბიჭი ცოტა ხანს კიდევ იყო ასე თავჩა-კიდებული. შემდეგ თავი ასწია და მამამისს უაზრო თვალები მიაპყრო.

„წადი. წადი და დაწერი“. გაუმეორა მამამ.

ბიჭმა პირი მაისურის ბოლოთი მოიწმინდა, სკამიდან ჩამოხტა და სამზარეუ-

ლოდან ბარბაცით გავიდა.

შეფარდი იჯდა და ნახევრად მონელებულ საჭმლის გუბეს შესკეროდა. უცებ მუავე სუნი შეიგრძნო და უკან დაიხია. გული აერია. წამოდგა, თევში ნიჟარაში ჩაგდო, ზედ წყალი მიუშვა და დაღვრე-მილი უყურებდა, მასა სადინარში როგორ ჩადიოდა.

იმ დროს, როცა ჯონსონი საჭმლისთვის ნაგვის ყუთებში იქექებოდა, მის საკუთარ შვილს, ეგოისტ, უპასუხისმგებლო, ხარბ ბიჭს იმდენი ჰქონდა, რომ უკან ამოპერნდა. შეფარდმა მუშტის ერთი წაკერით ონკანი დაკეტა. ჯონსონს პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, მაგრამ დაბადებიდან ყველაფერს მოკლებულია. ნორტონი კი საშუალოდ ან უფრო ნაკლებ ნიჭიერია და ყველანაირი უპირატესობით სარგებლობს.

შეფარდი ისევ ბარში დაბრუნდა, რომ დაწყებული საუზმე დაესრულებინა. ხორბლის ფაფა კოლოფში ჩაცომებულიყო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რას ჭამდა. ჯონსონისთვის ყველაფერის გაკეთება ლირდა იმიტომ, რომ მას პოტენციალი ჰქონდა. შეფარდი ამას იმ დღიდანვე მიხვდა, როცა ბიჭი მასთან პირველ ინტერვიუზე კოჭლობ-კოჭლობით შებლაყუნდა.

შეფარდის რეფორმატორიუმის ოფი-სი ერთი ვიწრო სათავსო იყო, რომელსაც მხოლოდ ერთი ფანჯარა ჰქონდა და მასში პატარა მაგიდა და ორი სკამი იდგა. აღსა-რების ოთხში არასდოროს ყოფილა, მაგრამ ფიქრობდა, რომ იქაც იგივე ხდებოდა, რაც აქ იმ განსხვავებით, რომ ის ხალხს უხსნიდა, მაგრამ არ შეუნდობდა. მისი რეპუტაცია მღვდლისაზე ნაკლებად საეჭვო იყო; მას ნასწავლი ჰქონდა ის, რასაც აკეთებდა.

როცა ჯონსონი პირველ გასაუბრებაზე მოვიდა, შეფარდი ბიჭის დოსიეს კიდევ ერთხელ კითხულობდა – უაზრო განადგურება, დამსხვრეული ფანჯრები, დამწვარი ნაგვის ყუთები, დაჭრილი საბურავები, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როცა ბიჭები უცებ სოფლიდან ქალაქში ამოყოფდნენ თავს, როგორც ეს ამ ბიჭს დაემართა. ბოლოს იგი ბიჭის I.Q. ტესტის

შედეგებს მიადგა. 140 ქულა. შეფარდს ცნობისმოყვარეობისგან თვალები გაუფართოვდა.

ბიჭი მოკუნტული იჯდა სკამის კიდეზე. ხელები გაშლილ ბარძაცებს შორის ჰქონდა ჩაშვებული. ფანჯრიდან შემოსული სინათლე პირდაპირ სახეში სცემდა. ფოლადის-ფერი თვალებით ერთ წერტილს უძრავად მისტერებოდა. მუქი თმის თხელი კულული შუბლზე გადაევარცხნა, არა ისე დაუდევრად, როგორც ბიჭებს აქვთ, არამედ ძალიან აკურატულად, როგორც ეს მოხუცებს სჩვევიათ. მისი სახე რაღაცნაირი ფანატიკური ინტელექტით იყო აღბეჭდილი.

შეფარდმა ბიჭს გაულიმა, უნდოდა, როგორმე ის მანძილი შეემოკლებინა, მათ ერთმანეთისგან რომ აშორებდა.

ბიჭს მკაცრი გამომეტყველება არ შესცვლია. იგი სკამზე უკან გადაიხარა და მისი გიგანტური მრუდე თათი მუხლზე შემოიდო. ფეხზე შავი, მძიმე, გაცვეთილი ფეხ-საცმელი ეცვა, რომელიც ოთხი თუ ხუთი დუიმის სისქის ქუსლზე იდგა. ერთ ადგილას ტყავი გახსული იყო და შიგნიდან, როგორც გაჩეხილი თავიდან ნაცრისფერი ენა, ცარიელი წინდის თავი გამოჩრილიყო. შეფარდისთვის იმნამსვე ყველაფერი ნათელი გახდა. ბიჭის პრობლემა მისი ფეხის გამო შურისძიება იყო.

„მაშ ასე, რუფუს“, დაიწყო შეფარდმა, „როგორც შენი დოსიედან ჩანს, მხოლოდ ერთი წელი დაგრჩა მოსახდელი. რა გეგმები გაქვს, როცა გარეთ გახვალ?“

„არანაირი გეგმები არ მაქვს“, მიუგო ბიჭმა. იგი შორს, შეფარდის უკან ფანჯარაში რაღაცას გულგრილად მისჩერებოდა.

„იქნებ ღირდეს, რომ გქონდეს“, თქვა შეფარდმა და გაიღიმა

ჯონსონი ისევ შეფარდის უკან იყურებოდა.

„ვისურვებდი, რომ შენი ინტელექტი მაქსიმალურად გამოგეყენებინა“. „რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? მოდი, ვილაპაროთ იმაზე, რაც შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

შეფარდს მისდაუნებურად მზერა ბიჭის

ფეხისკენ გაექცა.

„უყურეთ და დატებით“, განელვით ნარმოთქვა ბიჭა.

შეფარდი განითლდა. მის წინ შავი დეფორმირებული მასა კიდევ უფრო გაიზარდა. მან ბიჭის ღვარძლიანი ნათქვამი რეაგირების გარეშე დატოვა.

„რუფუს“, გააგრძელა შეფარდმა, „შენ უამრავ უაზრო პრობლემებში გაეჭვიე, მაგრამ, ვფიქრობ, როცა მიხვდები, ამას რატომ აკეთებ, ნაკლებად გაგიჩნდება მისი განმეორების სურვილი“.

შეფარდს გაელიმა. მათ ხომ იქ იმდენად ცოტა მეგობარი ჰყავდათ, იმდენად ცოტა გულთბილ სახეებს ხედავდნენ, რომ, ალბათ, ზოგჯერ ღირს, რომ გაულიმო კიდეც.

„ბევრი რამეა, რაც შენ გეხება და, ვფიქრობ, შენთვის მათი ახსნა შემიძლია“, თქვა შეფარდმა.

ჯონსონმა მას გაქვავებული სახით შეხედა. „მე არანაირ ახსნას არ ვითხოვ. ისედაც ვიცი, რატომ ვაკეთებ, რასაც ვაკეთებ“. „კეთილი!“ არ დააყოვნა პასუხი შეფარდმა. „მაშინ იქნებ მითხრა, რამ გაიძულა გაგეეთებინა ის, რაც გააკეთე?“

შეფარდს თვალები შეავად აუელვარდა. „ეშმატა“. მიუგო ბიჭმა. „მე ეშმაკისგან ვარ შეპურობილი“. შეფარდი ბიჭს ყურადღებით დააკვირდა. მისი სახის გამოტყველებით ვერ იტყოდით, რომ ხუმრობდა. ბიჭს ბაგეზე სიამაყის ღიმილი აუთამაშდა. შეფარდს ბაგიდან ღიმილი გაუქრა. ის სევდანარევმა სასონარკვეთილებამ მოიცვა, თითქოს საქმე ბუნებრივ ანომალიასთან ჰქონდა, რომელიც იმდენი ხნის იყო, რომ მისი გამოსწორება უკვე დაგვიანებული იყო. პასუხები ამ ბიჭის კითხვებზე სიცოცხლის შესახებ ფიჭვის ხეზე მიღურსმნულ დაფაზე იყო ამოტვიფრული: სატანისგან ხარ შეპურობილი? მოინანიე ან დაინვი ჯოჯოხეთში“. „ქრისტე ჩვენი მხსნელია.“

ეტყობა, ბიჭმა წაკითხვის გარეშეც კარგად იცის ბიბლია. შეფარდის უიმედო განწყობა ბრაზმა შეცვალა.

„სისულელეა!“ ჩაიბურტყუნა შეფარ-

დმა. „ჩვენ კოსმოსურ ეპოქაში ვცხოვ-რობთ! შენნაირი ჭკვიანი ბიჭი ასეთ პასუხს არ უნდა მაძლევდე“.

ჯონსონს ტუჩები ოდნავ მოეღრიცა და შეფარდს თან ქედმალლურად და თან დაცინვით შეხედა. მის თვალებში გამოწვევამ გაიღვა.

შეფარდი ბიჭის სახეს ყურადღებით დააკვირდა. იქ, სადაც ინტელექტია, არა-ფერია გამორიცხული. შეფარდს ისევ გაეღიმა. ამჯერად ეს ღიმილი უფრო იმას ჰგავდა, ბიჭს რომ საკლასო ოთახში შეიპატიუებ, სადაც სინათლე ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან შემოდის.

„რუფუს, მინდა ისე მოვაწყო, რომ მე და შენ კვირაში ერთხელ ვისაუბროთ. იქნებ მაგ შენს განმარტებებს ახსნა მოვუძებნოთ. იქნებ შენს ეშმაკსაც მოვფინოთ ნათელი. ის ბიჭის ადრე არც გაეგონა. ის ბიჭისთვის რთულად გასაგებ თემებს ირჩევდა, ცოტა ტვინი რომ გაენძრია. დაწყებული უბრალო ფსიქოლოგით და ადამიანის ტვინის უჯრედებით და დამთავრებული კოსმოსური ხომალდებით, რომლებიც დედამიწის ირგვლივ ზებგერითი სიჩქარით დაქრიან და სულ მალე ვარსკვლავებსაც შემოუვლიან. ინსტიქტს მინდობილი, ის ყურადღებას ვარსკვლავებზე ამახვილებდა. უნდოდა ბიჭს, სხვისთვის სიკეთის ქმნის გარდა, სხვა მისწრაფებებიც გასჩენოდა. უნდოდა, მისთვის თვალსაწირი გაეფართოებინა. უნდოდა, დაენახვებინა სამყარო, აეხსნა, რომ მის ყველაზე ბნელ შრეებშიც კი შეიძლებოდა შეღწევა. ყველაფერს გააკეთებდა, ოღონდ ბიჭის ხელში ტელესკოპი ენახა.

ჯონსონი ცოტას ლაპარაკობდა. თუ რამეს იტყოდა, თავისი სიამაყის გამო, არასდროს გეთანხმებოდა და უაზროდ გენინაალმდეგებოდა. ამ დროს მას მისი მრუდე თათი მუდამ მუხლზე ჰქონდა შე-

მოდებული, ჩახმახზე შეყენებული იარალის მსგავსად, მაგრამ შეფარდს ასე ადვილად ვერ გააცურებდი. ის ბიჭის თვალებს აკვირდებიდა და ყოველ მომდევნო კვირას ამჩნევდა, რომ მათში რაღაც ნელ-ნელა იმსხვრეოდა. ბიჭს გაქვავებულ, მაგრამ გაოცებულ და ოთახში შემოჭრილი შუქით შეწუხებულ თვალებზე აშკარად ეწერა, რომ შეფარდის თითოეული სიტყვა მიზანს ხვდებოდა.

ჯონსონი ახლა თავისუფალი იყო. შეეძლო დაევინებინა ნაგვის ყუთები და თავისი ნარსული ცხოვრება, სრულ უმეცრებაში გატარებული. ცხოვრება საშინლად უსამართლოდ ექცეოდა. იგი კვლავ ბაბუასთან დააბრუნეს; მოხუცის გონებასუსტობას საზღვარი არ ჰქონდა. იქნებ ბიჭი უკვე გაქცეულიც კი არის მისგან. ჯონსონზე მეურვეობის იდეა შეფარდს თავში ადრეც მოსვლია, მაგრამ ბაბუის ფაქტორი უშლიდა ხელს. არადა, რამდენი რამის გაკეთება შეეძლო ამ ბიჭისთვის. უპირველეს ყოვლისა, მისთვის ორთოპედიული ფეხ-საცმელისთვის ფეხის ზომა უნდა აელო, თორემ ბიჭი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ფეხს სწორი ხაზიდან გადადიოდა. ამის შემდეგ კი შეეცდებოდა მისთვის ინტელექტუალური ინტერესები გაელვივებინა. რატომდაც, ტელესკოპი აეკვიატა. შეეძლო ნახმარი ეყიდა და სხვენის ფანჯარასთან დადგამდნენ. მთელი ათი წუთი იჯდა და ფიქრობდა, რას გააკეთებდა, ჯონსონი რომ აქ ჰყოლოდა. იმით, რაც ნორტონზე ფუჭად დახარჯა, ჯონსონი უნდა აეყვავებინა. გუშინ, როგორც კი დაინახა, რომ ბიჭი ნაგვის ყუთში იქცებოდა, ხელი დაუქნია და მისკენ გაემართა. ბიჭმაც შენიშნა, ერთი წამით შეჩერდა და უცებ ვირთხასავით სწრაფად გაქრა, მაგრამ მანამდე შეფარდმა აშკარად შენიშნა, ბიჭს სახე როგორ შეეცვალა. მის თვალებში რაღაცამ გაიღვა, ალპათ, რომელიმე დაკარგულმა ნათელმა მოგონებამ. წამდვილად ასე იყო, არ შეეშლებოდა.

შეფარდი წამოდგა და ფაფიან კოლოფს ნაგავში გადაუძახა. სახლიდან გასვლამდე

ნორტონის ოთახში შეიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ბიჭი ავად ალარ იყო. ბავშვი ფეხმორთხმული იჯდა საკუთარ საწოლზე. ნახევარლიტრიანი ქილებიდან ხურდა ფული გადმოეყარა და მის წინ ერთ დიდ გროვად დაეხოსტოლებინა. ხუთ, ათ და ოცდახუთიან მონეტებს ცალ-ცალკე ახარისხებდა.

იმ დღეს ნორტონი სახლში მარტო იყო. თავის ოთახში იატაკზე ჩაცუცქული ყვავილების თესლით სავსე ყუთებს ირგვლივ რიგ-რიგად ალაგებდა. წვიმა ფანჯრის მინებს ხმაურით ეცემოდა და საწვიმარ არხებში ჩუხუჭხით მიედინებოდა. ოთახში სიბნელე ჩამოწვა, თუმცა იგი ყოველ წუთს ჩუმი ელვით ნათდებოდა და იატაკზე დაწყობილ თესლის ყუთებს მხიარულად ანათებდა. ბიჭი ჩაცუცქული იჯდა, გაუნძრევლად, როგორც დიდი გომბეშმ ამ წარმოსახვით ბაღში. უცებ, ბიჭმა თვალები ჭყიტა. წვიმამ ერთბაშად გადაიღო და მძიმე სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს ღვართქაფი რაღაც ძალამ გააჩერა. ბიჭი გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ თვალებს ატრიალებდა აქეთ-იქით.

სიჩუმეში შორიდან მკაფიოდ მოისმა, შემოსასვლელი კარის საკეტში გასაღები როგორ გადატრიალდა. ხმაზე ეტყობოდა, რომ ვიღაც ფრთხილად მოქმედებდა. ის თან ყურადღებას იქცევდა და თან აჩერებდა, თითქოს ხელი კი არა, გონება მართავდა. ბიჭი ფეხზე წამოხტა და საკუჭნაოში შევარდა.

ნაბიჯების ხმა ახლა დერეფანში გაისმა, ფრთხილი და წყვეტილი, ვერ მსუბუქი, შემდეგ მძიმე, შემდეგ კვლავ სიჩუმე, თითქოს მომსვლელი წამიერად შეჩერდა და ყურს უგდებდა საკუთარ თავს ან რაღაცას ამონმებდა. ერთი წუთი არ იყო გასული, რომ სამზარეულოს კარმა გაიჭრიალა. ფეხის ხმამ სამზარეულო გაიარა და მაცივართან გაჩერდა. საკუჭნაოს და სამზარეულოს საერთო კედელი ჰქონდათ. ნორტონი იდგა და კედელზე ყური ჰქონდა მიღებული. შემდეგ, მაცივრის კარი გაიღო და ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

ბიჭმა ფეხსაცმელი გაიხადა, საკუჭ-ნაოდან ფეხის წვერებზე გამოვიდა და თესლით სავსე ყუთებს გადააბიჯა. შეუაოთახში გაჩერდა და ადგილზე გაქვავდა. ოთახის კარებში ვიღაც ბიჭი გადაელობა, გამხდარი სახე ჰქონდა და შევი კოსტიუმი ეცვა, რომელიც წვიმისგან დასველებოდა. თმაც წვიმისგან თავზე ჰქონდა გადატკეპნილი. გააჩიხლებული, განუნული ყვავივით იდგა. ნორტონს თვალი თვალში გაუყარა და ადგილზე მიალუსმა, შემდეგ, ოთახს თვალი მოავლო, ყველაფერს აკ-ვირდებოდა, აულაგებელ ლოგინს, უზარ-მაზარ ფანჯრებზე დაკიდებულ ჭუჭყან ფარდებს, ფართო სახიან ახალგაზრდა ქალის სურათს, რომელიც ტუალეტის მაგიდაზე სხვა ხარაურასთან ერთოდ იდა.

ბავშვმა უცებ ენა ამოიდგა. „ის გელო-დება, ახალი ფეხსაცმელი უნდა მოგცეს იმიტომ, რომ იძულებული ხარ ნაგვის ყუ-თებიდან ჭამი!“ ბიჭის ხმა თაგვის წრიპინს უფრო ჰგავდა.

„ნაგვის ყუთებიდან ვჭამ“. წარმოთქვა ბიჭმა ნელა და გამჭოლი მზერა ბავშვს მი-აპყრო. „იმიტომ, რომ მომწონს ნაგვის ყუ-თებიდან ჭამა. გაიგე?“

ბიჭმა თავი დაუქნია.

„და ფეხსაცმელსაც თვითონ ვიშოვი როგორმე. გასაგებია?“

„ბავშვი მონუსხულივით უქნევდა თავს.“

ბიჭი კოჭლობ-კოჭლობით შევიდა ოთახში და ლოგინზე ჩამოჯდა. ზურგს უკან ბალიში ამოიდო და თავისი მოკლე ფეხი ისე გაჭიმა, რომ დიდი შავი ფეხსაც-მელი გამომწვევად ჩამოდო ზენრის ნაკე-ცებზე. ნორტონი ფეხსაცმელს უყურებდა და უძრავად იდგა.

ნორტონი ბიჭის ფეხს გაუნძრევლად მიშტერებიდა. ქუსლი აგურივით სქელი იყო. ჯონსონი ფეხს ოდნავ აქეთ-იქით აქ-ნევდა და ილიმებოდა. „ეს თუ ვინმეს მოხ-ვდა, მიხვდება, რომ ჩემთან საქმე აღარ უნდა დაიჭიროს“. თქვა ბიჭმა.

ბიჭმა ისევ დაუქნია თავი.

„სამზარეულოში შედი და იქ რომ ჭვავის პური და ლორია, იმისგან სენდვიჩი გამიკე-

თე. ერთი ჭიქა რძეც წამოაყოლე“. უთხრა ჯონსონმა ბავშვს ბრძანების ტონით.

ნორტონი იმ მოსამართი სათამაშოსა-ვით ირჯებოდა, რომ დაქოქავ და საჭირო მიმართულებით გაუშვებ. ლორის დიდი ქონიანი სენდვიჩი გააკეთა. ლორი პურის კიდეებიდან იყო გამოჩრილი. ჭიქაში რძე ჩამოასხა. სამზარეულოდან რომ გამოვი-და, ცალ ხელში ჭიქა რძე ეჭირა, მეორეში კი – სენდვიჩი.

ჯონსონი მეფურად გადაწოლილიყო ბალიშზე.

„გმადლობ, ოფიციანტო“, თქვა ბიჭმა და სენდვიჩი გამოართვა.

ნორტონი საწოლის გვერდით იდგა და ხელში ჭიქა ეჭირა.

ბიჭმა სენდვიჩი ხარბად ჩაკბიჩა და იქამდე ილუქმებოდა, ვიდრე მთლიანად არ გადასანსლა. შემდეგ, რძეს მიადგა. ჭი-ქა ორივე ხელით ეჭირა, პატარა ბავშვებმა რომ იციან, ისე და ერთი მიყუდებით და-ცალა. ტუჩის კიდეებზე რძის თეთრი ზო-ლი დარჩა. ბიჭმა ნორტონს ცარიელი ჭიქა მიაწოდა.

„ოფიციანტო, წადი და ერთი ფორთო-ხალი წამომიღე“, კვლავ გაისმა ხრინწიანი ხმით ნათქვამი ბრძანება.

ნორტონი სამზარეულოში გავიდა და უკან ფორთოხლით დაბრუნდა. ჯონსონმა ფორთოხალი ხელით გაფრცექვნა და კანი საწოლზე დაყარა. ნელა ჭამდა და კურ-კებს მის წინ აფურთხებდა. ჭამა რომ და-ასრულა, ხელები ზენარზე გაიწმინდა და ნორტონს გამომცდელი მზერა მიაპყრო. როგორც ჩანს, მომსახურებით კმაყოფილი იყო.

„როგორ გეტყობა, რომ მისი შვილი ხარ. ისეთივე იდიოტის სახე გაქვს“, გა-ბადრული სახით თქვა ჯონსონმა.

ბავშვი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილ-ზე, თითქოს ბიჭის ნათქვამი ვერ გაიგო.

„არაფრის გარტყმაში რომ არ არის“, თქვა ნასიამოვნებმა ჯონსონმა ხრინწიანი ხმით.

„ბლა ბლა ბლა და სინამდვილეში ვერა-ფერს ვერ ამბობს“.

ბავშვს ზედა ტუჩი ოდნავ შეერხა, მაგრამ არაფერი თქვა.

„ყველია, მეტი არაფერი“. თქვა ჯონ-სონმა

ბავშვის შეწუხებული სახეზე აგრესიული მზერა გაკრთა. ოდნავ უკან დაიხია, თითქოს მომენტს ელოდა, რომ უცებ გამქრალიყო.

„ის კარგია“, წაილულლულა ბავშვმა. „ის ადამიანებს ეხმარება“.

„კარგია!“ ველურივით შეჰყვირა ჯონ-სონმა და წინ გადაისარა. „კარგად მომისმინე“, ჩაისისინა ბიჭმა, „არ მაინტერესებს, კარგია, თუ არა. ის მართალი არ არის!“

ნორტონი შეცემუნებული იდგა.

სამზარეულოს კარმა გაიჯაზუნა და ვიღაც შემოვიდა. ჯონსონი მომენტალურად წამოვჯდა. „ის არის?“ იკითხა მან.

„მზარეულია“, უპასუხა ნორტონმა. „შუადღეს მოდის ხოლმე“.

ჯონსონი ფეხზე წამოდგა, კოჭლობით დერეფანში გავიდა და სამზარეულოს კარებში ჩადგა. ნორტონი უკან გაჰყვა. საკუჭნაში ფერადებანი გოგო ლია წითელი ფერის საწვიმარს იხდიდა. მაღალი გოგო იყო, შავ-ყვითელა, ტუჩები დიდ გაშლილ ვარდს მიუგავდა, დროთა განმავლობაში რომ ფერი დაკარგა და დაჭკნა. თავზე თმა სართულებად ჰქონდა ახოსოლავებული, რომელიც გვერდზე პიზის კოშკივით იყო გადახრილი.

„ერთი ამ დეიდა ჯემიმას შეხედეთ“, კბილებში გამოსცრა ჯონსონმა. გოგონა შეჩერდა და ჯონსონს უტიფარი მზერა ესროლა.

„ნამო, მოდი ერთი ვნახოთ, ამ ნიგერის გარდა, კიდევ რა გაძადიათ“.

ჯონსონმა დერეფანში, მის მარჯვნივ, პირველივე კარი შეაღო და ვარდისფერი ფილებით მოპირკეთებულ აბაზანაში შეიხედა.

„ვარდისფერი ტუალეტი!“ ჩურჩულით თქვა ჯონსონმა და ბავშვისკენ დამცინავი ლიმილით გაიხედა.

„ის ამაზე ჯდება?“

„ეს სტუმრებისთვის არის“, უპასუხა

ნორტონმა, „მაგრამ ზოგჯერ ისიც ჯდება“.

„ურჩევნია ამაში, რაც თავში აქვს, ის ჩაცალოს“, თქვა ჯონსონმა.

მეზობელ ოთახში გასასვლელი კარი ლია იყო. ეს ის ოთახი იყო, რომელშიც შეფარდს ეძინა მას შემდეგ, რაც მისი ცოლი გარდაიცვალა. შიშველ იატაკზე მდგარი საწოლი ეულად გამოიყურებოდა. ოთახის ერთ კუთხეში შეფარდის ბავშვთა გუნდის ბეისბოლის ფორმები იყო დახვავებული. დიდ საწერ მაგიდაზე ფურცლები ეყარა. ჯონსონი იდგა და ოთახს ჩუმად ათვალიერებდა. ბიჭმა ცაცირი შექმუხნა.

„აბა, გამოიცანი, ვისია?“

მეზობელი ოთახის კარი დაკეტილი იყო, მაგრამ ჯონსონმა გააღო და სიბნელეში თავი შეყო. აჩრდილები ქვევით გაფენილიყვნენ და ჰაერში სუნამოს მსუბუქი სურნელი იდგა. ოთახში ძველი ფართო საწოლი და უზარმაზარი ტანსაცმლის კარადა იდგა, რომლის სარკე ნახევრად სიბნელეში უცნაურად ბზინავდა. ჯონსონმა კარის გვერდით შეუქის ჩამრთველს თითო აპერა, ოთახი გაიარა, სარკესთან მივიდა და შიგ ჩაიხედა. სარკის ქვეშ, ტილოს მუშამბაზე, ვერცხლისფერი სავარცხელი და ჯაგრისი იდო. ბიჭმა სავარცხელი აიღო და თმის ვარცხნას შეუდგა. თმა ჯერ შუბლზე ჩამოვარცხნა, შემდეგ კი გვერდზე გადაიტანა, ჰეტლერისებურად.

„მის სავარცხელს ხელი არ ახლო!“ გაისმა ბავშვის ხმა, რომელიც ფერნასული იდგა კარებში და მძიმედ სუნთქავდა. ისე იყურებოდა, თითქოს წმინდა ადგილას რომელილაც სინმინდეს უყურებდა. ჯონსონმა სავარცხელი დადო, მაგრამ ახლა ჯაგრისი აიღო და თმა გადაივარცხნა.

„ის მკვდარია“, თქვა ბავშვმა.

„მკვდრების ნივთების არ მეშინია“, თქვა ჯონსონმა. შემდეგ სულ ზედა უჯრა გამოაღო და შიგ ხელი ჩააცურა.

„გაუშვი შენი ბინძური ხელი დედაჩემის ტანასაცმელს!“ აღმოხდა ბავშვს ყელიდან.

„დამიწყნარდი, საყვარელო“, წაიპურ-ტყუნა ჯონსონმა. ახლა ჯერ წითელი ფერის დაჭმუჭნული კოპლებიანი ბლუზი

ამოილო და ისევ უკან ჩააგდო. შემდეგ აბ-რეშუმის მწვანე თავსაფარი ამოაძვრინა, თავზე გადაიტარა და ფრიალით იატაკზე დაუშვა. ბიჭის ხელი უჯრაში სულ უფრო და უფრო ღრმად იქექებოდა. ცოტა ხანში უჯრიდან გახუნებული კორსეტი ამოაძვრინა, რომელზეც ოთხი რკინის სამაგრი იყო ჩამოკონნიალებული.

„ამას, ალბათ, უნაგირად თუ ხმარობ-და“, შენიშნა ბიჭმა და კორსეტი ხელით ფრთხილად მაღლა ანია და აქეთ-იქით გა-აქნია. შემდეგ, იგი წელზე შემოირტყა და ხტუნაობა დაიწყო ისე, რომ რკინის საამ-გრებს უდარუნი გაუდიოდათ.

“Gonter rock, rattle and roll”,

“Gonter rock, rattle and roll. Can't please that woman, to save my doggone soul”. წაიმ-ლერა ბიჭმა ბიგ ჯო ტერნერის ცნობილი ჰიტი და აცეკვდა. ჯანმრთელ ფეხს მი-ნაზე ატყაპუნებდა, მძიმე ტორს კი გან-ზე იქნევდა. ასე, ცეკვა-ცეკვით ოთახიდან გავიდა, გაოცებისაგან პირდაღებულ ნორ-ტონს გვერდით ჩაუარა და დერეფნის გავ-ლით გეზი სამზარეულოსკენ აიღო.



დაახლოებით ნახევარ საათში შეფარ-დი სახლში დაბრუნდა. საწვიმარი ლაპადა იქვე, დერეფანში, სკამზე მიაგდო და ის-ის იყო სასტუმრო ოთახში უნდა შესული-ყო, რომ უცებ შეჩერდა. სახე შეეცვალა. თვალები სიხარულისგან გაუბრნყინდა. ჯონისნი იჯდა მაღალ ზურგის სკამზე, გამორჩევით შავი ვარდისფერი გადასაკ-რავის ფონზე. მის უკან კედელი იატაკი-დან ჭერამდე წიგნებით იყო დაბუნდლული. ბიჭი ერთ-ერთ წიგნს კითხულობდა. შე-ფარდს თვალები დაუწერილდა. ეს „ენციკ-ლოპედია ბრიტანიკის“ ტომი იყო. ის ისე იყო კითხვით გართული, რომ თავი არც კი აუზევია. შეფარდს სუნთქვა შეეკრა. ეს ხომ ბიჭისთვის იდეალური გარემო იყო. მას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რომ ბიჭი აქ დარჩენილიყო.

„რუფუს“, როგორ მიხარია შენი ნახვა, ბიჭო! თქვა შეფარდმა და ხელებგაშლილი

მისკენ გაემართა.

ჯონისონმა თავი ასწია და შეფარდს უაზროდ შეხედა.

„ოჳ, გამარჯობა“. მიუგო ბიჭმა. ბიჭი შეფარდს ხელს დიდხანს არ ართმევდა, მაგრამ როცა კაცი აღარ მოეშვა, ხელი უხალისოდ გაუწოდა.

შეფარდისთვის მსგავსი რეაქცია მო-ულოდნელი არ ყოფილა. სწორედ ასეთი იყო ჯონისონის ნიღაბი – გრძნობები არას-დროს უნდა გამოემუდავნებინა.

„როგორ არის საქმეები? როგორ გექ-ცევა ბაბუაშენი? თქვა ჯონისონმა და ტახ-ტის კიდეზე ჩამოჯდა.

„სული გასტვრა“, გულგრილად მიუგო ბიჭმა.

„არ არსებობს!“ წამოიყვირა შეფარდმა. იგი ადგა და ბიჭთან ახლოს, ყავის მაგი-დაზე გადაჯდა.

„მართლა კი არა, მაგრამ ნეტავ ასე იყოს.

„სად არის ახლა?“ ჩუმად ჩაეკითხა შე-ფარდი.

„მთაში წავიდა“, თქვა ჯონისონმა. „და სხვებიც თან წაიყვანა. ბიბლიის წიგნები უნდა დამარხონ გამოქვაბულში. სხვადას-ხვა ცხოველებიც უნდა წაიყვანონ წყვილ-წყვილად და ასე შემდეგ. როგორც ნოემ გააკეთა, მაგრამ ამჯერად წარლვნის ნაც-ვლად ხანძარი იქნება“.

შეფარდს გაელიმა.

„გასაგებია, სხვა სიტყვებით რომ ვთქ-ვათ, ბებერმა სულელმა მიგატოვა, არა?“

„ის სულელი არ არის“, მკვახედ მიუგო ბიჭმა

„ბოლოს და ბოლოს, მიგატოვა, თუ არა?“ მოთმინება დაკარგა შეფარდმა.

ბიჭმა თავი გააქნია.

„შენი პრობაციის ოფიცერი სადლაა?“

„ჩემთვის მისი მწყემსობა არავის დაუ-ვალებია. ის უნდა მწყემსავდეს მე“. მიუგო ჯონისონმა.

შეფარდს გაეცინა.

„ერთი წუთით მოიცადე“, თქვა მან, ად-გა, დერეფანში გავიდა, სკამზე ლაპადა აიღო და იქვე, საკუჭნაოში დაკიდა. დრო

სჭირდებოდა იმის მოსაფიქრებლად, თუ რა ეთქვა ბიჭისთვის ისეთი, რომ დარჩენილიყო. ეს წებაყოფლობით უნდა მომხდარიყო. ჯონსონი თავს იკატუნებდა, რომ იგი არ მოსწონდა. ამას ბიჭი, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავმოყვარეობის გამო აკეთებდა. ამიტომ, მას ბიჭისთვის დარჩენა ისე უნდა ეთხოვა, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეელახა. შეფარდმა საკუჭნაოს კარი გააღო და საკიდი გამოილო. მისი ცოლის ნაცრისფერი საზამთრო პალტო კვლავ თავის ადგილზე ეყიდა. შეფარდმა მას ხელი წაჰკრა, მაგრამ ის ადგილიდან არ დაძრულა. შემდეგ პალტოს კალთა ხელით უხეშად გამოსწია და შეკრთა, როგორც პარუში გახვეულ ჭუპრის დანახვისას. შიგნით ნორტონი იდგა, სახე შეშუპებული და ფერმურთალი ჰქონდა და ზედ ტანჯვა და მწუხარება ეწერა. შეფარდი ბიჭს მიაშტრდა. უცებ გონება გაუნათდა.

„გამოდი მაქედან“, უპრძანა ბიჭს. შემდეგ მას მხარში ხელი ჩაავლო, ხელის კვრით სასტუმრო ოთახისკენ წინ გაიგდო და იმ ვარდისფერ სკამთან მიიყვანა, სადაც ჯონსონი იჯდა და მუხლებზე წიგნი გადაეშალა. ყველაფერი ერთი დარტყმით უნდა გადაწყვეტილიყო.

„რუფუს“, თქვა ჯონსონმა. „პრობლემა მაქეს. შენი დახმარება მჭირდება“. ჯონსონმა ეჭვის თვალით ამოხედა.

„მისმინე. ამ სახლში კიდევ ერთი ბიჭია საჭირო“.

შეფარდის ხმაში გულწრფელმა იმედ-გაცრუებამ გაიჟლერა.

„ნორტონს ცხოვრებაში არასდროს არავისთვის არაფერი გაუყვია. არც კი იცის, რას ნიშნავს გაზიარება. ამიტომ, ვიღაც მჭირდება, რომ ასწავლოს. იქნებ დამეხმარო? დარჩი აქ ცოტა ხნით, რუფუს. შენი დახმარება მჭირდება“. შეფარდს მღელვარებისგან ხმა დაუწვრილდა.

ბავშვი მყისიერად გამოცოცხლდა. სახე ბრაზისგან გაუსივდა.

„ის მის ოთახში შევიდა და მისი სავარცხელი აიღო!“ დაიყვირა მან და შეფარდს სახელოზე ჩამოეკიდა. მისი კორსეტი ჩა-

იცვა და ლეოლასთან ერთად ცეკვავდა, ის...“

„გეორგა!“ თქვა შეფარდმა.

„ჭორაობის მეტი რომ არაფერი იცი?“ მე შენთვის არ მითხვია რუფუსის ქცევაზე ანგარიში ჩამაბარე-მეთქი. მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ მას გულთბილად მოეპყრა. „გესმის, რას გეუბნები?“

„ხედავ, რა ხდება?“ მიუბრუნდა შეფარდი ჯონსონს.

ნორტონმა ბრაზისგან ფეხი ჯონსონის გასიებულ ფეხს მოუქნია, მაგრამ ააცილა და ვარდისფერი სკამის ფეხს გაარტყა. შეფარდმა ბავშვი ხელით უკან განია.

„შეწე თქვა, ყედია, მეტი არაფერიო!“ დაიკივლა ბავშვმა

ჯონსონის სახეს კმაყოფილების ღიმილმა გადაურა. შეფარდს არ გაჰკვირვებია. მსაგავსი ქცევა ბავშვის დამცავ მექანიზმზე მეტყველებდა.

„რას იტყვი ამაზე, რუფუს?“ დარჩეპი ცოტა ხნით ჩვენთან?“

ჯონსონი პირდაპირ იყურებოდა და არაფერი უთქვამს. ოდნავ ჩაელიმა. როგორც ჩანს, რაღაცა ისეთზე ფიქრობდა, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო და, აშკარად ჩანდა, მასზე ფიქრი სიამოვნებას გვრიდა.

„ჩემთვის სულერთია“, მიუგო ნორტონმა და ენციკლოპედიის გვერდი გადაფურცლა. „მე ყველგან შემიძლია გავდლო.“

„ძალიან კარგი“, კმაყოფილებით თქვა შეფარდმა“.

„მან თქვა, რომ ყედი ხარ, მეტი არაფერი“ ხრინნიანი ხმით თქვა ბავშვმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჯონსონმა თითო დაისველა და ენციკლოპედია გადაფურცლა.

„ორივეს ერთი რამ უნდა გითხრათ“, აუღელვებლად დაიწყო შეფარდმა.

საუბრის დროს მზერა ერთი ბიჭიდან მეორეზე გადაჰქონდა და სათქმელს წელავდა, თითქოს, რასაც ამბობდა, მეორე-ჯერ აღარ გაიმეორებდა და ამიტომ უნდოდა ყურადღებით მოესმინათ.

„რასაც რუფუსი ჩემზე ფიქრობს, ჩემ-

თვის რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მას აქ დარჩენას არ ვთხოვდი. რუფუსი მე უნდა დამეხმაროს, მე – რუფუსს, ჩვენ ორივე კი – შენ.

„ეგოისტი ვიქენებოდი, თუ რასაც რუფუსი ჩემ შესახებ ფიქრობს, ხელს შემიშლიდა იმაში, რისი გაკეთებაც მე მისთვის შემიძლია. თუ შემიძლია ვინმეს დავეხმარო, უპრალოდ დავეხმარები. სხვა ყველაფერი ჩემთვის წვრილმანია“.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ. ნორტონი სკამის საზურგეს მიშტერებოდა, ჯონსონი კი ენციკლოპედიაში წვრილი შრიფტით ნაბეჭდი რომელილაც სტატიის კითხვით იყო დაკავებული. შეფარდი მხოლოდ ბიჭების თავებს ხედავდა. გაედიმა. ბოლოს და ბოლოს მან გაიმარჯვა. ბიჭი რჩებოდა. შეფარდმა ხელი გაინვდინა, ნორტონს თმები აუჩერია და ჯონსონს მხარზე მოუთათუნა.

„კარგი, ბიჭებო, აქ იჯექით და ერთმანეთს მიეჩივით“, მხიარულად წარმოთქვა მან და კარისკენ გაემართა. „წავალ, ვნახავ ლეოლამ ვახშმისთვის რა დაგვიტოვა“.

შეფარდი რომ წავიდა, ჯონსონმა თავი ასწია და ნორტონს შეხედა. ბავშვმა ცივი მზერით უპასუხა.

„ლმერთო, პატარავ“, ხრინწიანი ხმით თქვა ჯონსონმა და სიბრაზისგან სახე დაეძაბა. „როგორ უძლებ ამას? თავი იესო ქრისტე ჰეგონია!“

●

შეფარდის სხვენი ერთი დიდი დაუმ-თავრებელი ოთახი იყო, უშუქო და გაშიშვლებული ძელებით. ტელესკოპი მან-სარდის ერთ-ერთ ფანჯარაში სამფეხაზე დაედგათ. ახლა იგი ჩაბნელებული ცისკენ იყო მიმართული, სადაც კვერცხის ნაჭუჭივით მყიფე ვერცხლისფერი მთვარე ღრუბლის ბრწყინვალე ვერცხლისფრად განათებული კიდიდან გამოცურებულიყო. ოთახში ზანდუკზე დადგმული ნავთის ლამფის შუქზე აჩრდილები მაღლა აცოცებულიყვნენ და ერთმანეთში გადახლართულები და ჭერის ძელებზე მიწებებულები ოდნავ ირხეოდნენ. შეფარდი ხის ყუთზე

იჯდა და ტელესკოპში იყურებოდა. ჯონ-სონი მის გვერდით იდგა და მოუთმენლად ელოდა თავის რიგს. შეფარდმა ტელესკო-პი ლომბარდში ორი დღის წინ თხუთმეტ დოლარად იყიდა.

„ნუ ხარ ღორი“, ანუნუნდა ჯონსონი.

შეფარდი ყუთიდან წამოდგა. ახლა ჯონსონი აძვრა ყუთზე და თვალით ხელ-საწყოს მიეკრა. ჯონსონი იქვე, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მაღალ სკამზე გადაჯდა. სახე სიამოვნებისგან უბწყინავდა. ოცნება დიდ წილად აუხდა. ერთ კვირაში იმდენი მოახერხა, რომ ბიჭის მზერა ამ ვიწრო მილაკის საშუალებით ვარსკვლა-ვებისკენ მიმართა. შეფარდი ჯონსონის მოხრილ ზურგს სრული კმაყოფილებით უყურებდა. ბიჭს ტანზე ნორტონის კუ-ბოკრული პერანგი და შეფარდის ნაყიდი ახალი ხაკის შარვალი ეცვა. ფეხსაცმელი მომავალ კვირაში უნდა ყოფილიყო მზად. შეფარდმა ბიჭი მისი აქ მოსვლიდან მეორე დღესვე პროთეზების მაღაზიაში წაიყვანა და ახალი ფეხსაცმლის ზომა აუღო. ჯონ-სონი საკუთარ ფეხს ისე უფრთხილდებოდა, როგორც რაღაც წმინდა ნივთს. სანამ ახალგაზრდა გამყიდველი, მელოტი თავი ვარდისფრად რომ უპრიალებდა, თავისი ცოდვილი ხელებით ფეხის ზომას უდებდა, ბიჭი მოლუშული სახით იჯდა. ფეხ-საცმელს ბიჭის დამოკიდებულებაში ბევრი რამე უნდა შეეცვალა. ახალი ფეხსაც-მელები იმ ბავშვასაც კი აღაფრთოვანებს ალერსით და სიყვარულით, ვისაც ნორმა-ლური ფეხები აქვს. როცა ახალი ფეხსაც-მელი ნორტონს უყიდა, ბიჭი მთელი დღე დადიოდა და ფეხებზე იყურებოდა.

შეფარდმა ოთახის მეორე მხარეს მჯ-დარ შვილს გახედა. ბავშვი იატაკზე იჯდა, ზურგით ზანდუკზე მიყრდნობილი. სადღაც ბანარი ეპოვნა და ტერფებიდან მუხლებამდე ფეხებზე დაეხვია. ბავშვი საკუთარ ფიქრებში იყო ჩაძირული და იმ-დენად შორს იყო, რომ შეფარდს ეჩვენებოდა, თითქოს მას ტელესკოპის მეორე მხრიდან უყურებდა. რაც ჯონსონი საც-ხოვრებლად მათთან გადმოვიდა, შეფარ-

დმა ბავშვი მხოლოდ ერთხელ გაროზგა. ეს პირველ ღამეს მოხდა, როცა წორტონი მიხვდა, რომ ჯონსონი დედამისის ლოგინში აპირებდა დაძინებას. შეფარდს ბავშვის გაროზგვის დიდად არ სწამდა, მითუმეტეს გაბრაზებულ გულზე. ამ შემთხვევაში მან ორივე ერთად გააკეთა და კარგი შედეგიც მიიღო. მას შემდეგ ნორტონთან პრობლემები აღარ ჰქონია.

ბავშვი ჯონსონისადმი არანაირ კე- თილგანწყობას არ გამოხატავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რადგან ვერაცერი გააწყო, ბედს შეურიგდა. დილაობით შეფარდი ორივეს საბავშვო აუზში უშვებდა და თან ფულს ატანდა, კაფეში რომ ესადილათ. შუადღეს კი მათ პარკში ელოდებოდა მი- სი ბავშვთა ბეისბოლის გუნდის ვარჯი- შის საყურებლად. ბიჭები ყოველ შუადღეს პარკში მიდიოდნენ, ფეხებს უხალისოდ მი- ათრევდნენ, დადუმებულები, თავ-თავიან ფიქრებში წასულები, თითქოს ერთმანეთის არსებობაც კი არ ახსოვდათ. შეფარდი იმი- თაც კმაყოფილი იყო, რომ არ ჩხუბობდნენ.

ნორტონი ტელესკოპის მიმართ არანა- ირ ინტერესს არ იჩენდა.

„არ გინდა ადგე და ტელესკოპში გაიხე- დო, ნორტონ?“ ჰქონდა შეფარდმა ბავშვს. შეფარდს საშინლად აღიზიანებდა ის ფაქ- ტი, რომ ბავშვი არანაირ ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას არ ამჟღავნებდა.

„რუფუსი მალე გაგასწრებს“.

ბიჭი წინ გადაიხარა და დაბრული მზე- რა ჯონსონის ზურგს მიაპყრო. ჯონსონი მოტრიალდა. ბიჭს სახე ნელ-ნელა მოულ- ბა. მისი ჩაცვენილი ლოყებიდან აღშფო- თება გაქრა და თვალის უპეებში შეიმალა, თითქოს შეპარდის სიკეთეს გაურბოდა.

„ტყუილად ნუ ხარჯავ შენს ძვირფას დროს, პატარავ“, თქვა ნორტონმა. „მთვა- რე უკვე ნანახი გაქვს“.

შეფარდს ძალიან ახალისებდა ჯონსო- ნის უკულმართი ხასიათი. ბიჭი ეწინაალ- მდეგებოდა იმას, რაც, ეჭვი ჰქონდა, რომ მისი განათლებისთვის კეთდებოდა, ხოლო თუ რაღაცით ძალიან დაინტერესდებო- და, ისე იქცეოდა, თითქოს ეს საერთოდ

არ ანალვლებდა. მაგრამ შეფარდს ასე ად- ვილად ვერ გააცურებდი. ჯონსონი ჩუმ- ჩუმად სწავლობდა იმას, რაც შეფარდს უნდოდა, რომ ბიჭს ესწავლა. ბიჭის კეთი- ლისმყოფელი მოუწყვლადი იყო შეურაც- ხყოფების მიმართ, მისი სიკეთის და მოთ- მინების ჯავშანი კი იმდენად გაუმტარი იყო, რომ მასში ვერანაირი მახვილი ისარი ვერ შეაღწევდა.

„ერთ მშევრინერ დღეს შეიძლება მთვა- რეზეც გაფრინდეთ“, მიუბრუნდა შეფარ- დი ბიჭებს. „დაახლოებით ათ წელიწადში ადამიანები ალბათ მთვარეზე წინ და უკან იფრენენ. ვინ იცის, იქნებ კოსმონავტებიც გახდეთ, უფრო სწორად, ასტრონავტები! „ასტრო-ნატები“, განზრას დაამახინჯა სიტყვა ჯონსონმა.

„ნატებია, თუ ნავტები, არ ვიცი, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ თქვენ, რუ- ფუს ჯონსონ, მთვარეზე გაემგზავროთ“.

ჯონსონის გაქვავებული თვალების ფსკერზე რაღაც შეირჩა. მთელი დღე უხა- სიათოდ იყო.

„მე მთვარემდე ვერ მივალ და იქ ვერც ცოცხალი ჩავალნევ“, მიუგო ჯონსონმა, „მაგრამ როცა მოვკვდები ჯოჯოხეთში წა- ვალ“.

„ყოველ შემთხვევაში, მთვარემდე მის- ვლა რეალური მაინც არის“, შეეცადა შე- ფარდი საუბარში მსუბუქი ირონია გაერია, რაც, მისი აზრით, მსგავს სიტუაციაში სა- უკეთესო გამოსავალი იყო.

„გხედავთ მაინც და ვიცით, რომ ის იქ არის. ჯოჯოხეთის არსებობის შესახებ კი არანაირი სარწმუნო მტკიცებულებები არ არსებობს“.

„ბიბლიაში არსებობს და თუ მოვკვდები და იქ წახვალ, სამუდამო ცეცხლში დაინ- ვები“, ოდნავ გასაგონი ხმით თქვა ჯონ- სონმა.

ბავშვი წინ გადაიხარა.

„ვინც ამბობს, რომ ჯოჯოხეთი არ არ- სებობს“, განაგრძო ჯონსონმა, „ის იესოს წინაალმდეგია“. მკვდრები განიკითხებიან, პოროტებს კი სამუდამო წყევლა არ ასც- დებათ. და იქნება იქ ტირილი და კბილთა

ღრძიალი და მარადიული უკუნი“.

ბავშვმა პირი დაალო და თვალები ჩა-
უცივდა.

„იგი ეშმაკისგან არის შეპყრობილი“.

„ნორტონი წამოდგა და ბარბაცით შე-
ფარდისკენ დაიძრა.

„ის იქ არის?“ დაბალი ხმით იკითხა
ბიჭმა

„იქ არის და იწვის?“ მან თოკი ფეხის
ერთი მოქნევით მოშორა.

„ის ცეცხლში იწვის?“

„ოჟ, ღმერთო“, ჩაილაპარაკა შეფარ-
დმა. არა, არა, რა თქმა უნდა არა. რუფუ-
სი ცდება. დედაშენი არსად არ არის. ის არ
იტანჯება. ის უბრალოდ აღარ არის“.

შეფარდისთვის ყველაფერი გაცილე-
ბით უფრო მარტივად იქნებოდა, როცა
მისი ცოლი მოკვდა, ნორტონისთვის რომ
ეთქვა, რომ დედამისი ზეცაში გაემგზავრა
და რომ ერთ დღეს იგი მას იქ ნახავდა,
მაგრამ იგი ვერ დაუშვებდა, რომ ბავშვი
სიცრუეში გაეზარდა.

„მისმინე“, სწრაფად წარმოთქვა შე-
ფარდმა და ბავშვი თავისკენ მიიზიდა.
„დედაშენის სული ისევ ცოცხლობს სხვა
ადამიანებში, მე კი შენში გავაგრძელებ სი-
ცოცხლეს, თუ შენც მასავით კეთილი და
სულგრძელი იქნები“.

ბავშვს გაქვავებულ თვალებზე ეტყო-
ბოდა, რომ არ სჯეროდა. შეფარდის თა-
ნაგრძნობა უცებ ზიზღმა შეცვალა. გამო-
დის, რომ ბიჭს ურჩევნია დედამისი ჯო-
ჯოხეთში იყოს, ვიდრე არსად.

„გესმის? ის არ არსებობს“. შეფარდმა
ბავშვს ხელი მხარზე დაადო. „სულ ეს
არის, რაც შემიძლია გითხრა“. შეურბილ-
და ხმა შეფარდს. „სიმართლე“.

ნაცვლად იმისა, რომ ღნავილი დაეწყო,
ბიჭმა მამის ხელებიდან თავი გაითავისუფ-
ლა და ჯონსონს სახელიზე ჩააფრინდა.

„იქ არის, რუფუს? იქ არის და ცეც-
ხლში იწვის?“

ჯონსონს თვალები გაუბრნებინდა.

„რა გითხრა, ალბათ კი, თუ ცოდვილი
იყო. მექავი იყო?“

„დედაშენი მექავი არ ყოფილა“, მყისი-

ერად ჩაერია შეფარდი. ისეთი შეგრძნება
ჰქონდა, თითქოს ავტომანქანას მართავ-
და, რომელსაც მუხრუჭები არ ჰქონდა.

„მოვრჩეთ ამ სისულელეებს. მგონი
მთვარეზე ვსაუბრობდით.

„იქვთ სწამდა?“ იკითხა ჯონსონმა

„კი“, უპასუხა ნორტონმა უაზრო გამო-
მეტყველებით. თითქოს ფიქრობდა, რომ
ამის თქმა აუცილებელი იყო.

„სწამდა, ყოველთვის“.

„არ სწამდა“, წაილულულა შეფარდმა.

„ყოველთვის სწამდა, ბევრჯერ მომის-
მენია, როგორ ამბობდა, რომ სწამდა“, თა-
ვისას არ იშლიდა ნორტონი

„ის გადარჩენილია“, თქვა ჯონსონმა.

ბავშვს ჯერ კიდევ დაბნეული სახე
ჰქონდა. „სად? სად არის ის?“

„მაღლა“, უპასუხა ჯონსონმა.

„ეგ სად არის?“ იკითხა ნორტონმა

„სადღაც ზეცაში“, უპასუხა ჯონსონმა,
„მაგრამ თუ არ მოკვდი, იქ ვერ მოხვდები.
იქამდე ვერანაირი კოსმოსური ხომალდით
ვერ მიხვალ“.

„ადამიანის მთვარეზე გამგზავრება“,
წარმოთქვა შეფარდმა მოღუშული სახით, “
ძალიან ჰგავს იმას, როცა მილიარდობით
წლის წინ პირველი თევზი წყლიდან ხმე-
ლეთზე ამოხოდა. მას არ ჰქონდა ხმელე-
თისთვის შესაფერისი კოსტიუმი. ამიტომ,
რადგან ორგანიზმის შეგუება შიგნიდან
უნდა მომხდარიყო, მას ფილტვები განუ-
ვითარდა.

„როცა მოკვდები, ჯოჯოხეთში წავალ
თუ იქ, სადაც დედაა?“ იკითხა ნორტონმა.

„ახლა იქ წახვიდოდი, სადაც დედაშე-
ნია, მაგრამ თუ დიდხანს იცოცხლებ, ჯო-
ჯოხეთში წახვალ“.

შეფარდი უცებ წამოდგა და ლამფა აი-
ღო.

„ფანჯარა დაკეტე, რუფუს, დროა და-
საძინებლად წავიდეთ“. თქვა მან.

სხვენის კიბეზე რომ ჩადიოდა, ზურგს
უკან ჯონსონის ჩურჩული გაიგონა, „ამა-
ზე ხვალ ვილაპარაკოთ, პატარავ, როცა
ეგ სახლში არ იქნება“.

●

მეორე დღეს ბიჭები სტადიონზე გამოჩნდნენ. შეფარდი თვალს ადვენებდა, მაყურებლების ტრიბუნის უკანა მხრიდან როგორ შემოვიდნენ და სათამაშო მოედანს წრე როგორ დაარტყეს. ჯონსონს ხელი ნორტონის მხარზე ედო, თავი ბავშვის ყურთან ჰქონდა დახრილი, ბავშვს კი სახეზე სრულიად თავდაჯერებული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს გონება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანმა გაუნათა. შეფარდს სახე შეექმუხნა. ჯონსონმა ალბათ კიდევ რაღაც მოიგონა, რომ ბავშვი საგონებელში ჩაეგდო, თუმცა ეს ადვილი საქმე არ იყო. ნორტონს არც იმდენი ტვინი ჰქონდა, რომ ვიღაცის ძლიერი გავლენის მსხვერპლი გამხდარიყო. შეფარდი ბავშვის მოღუშულ და ფიქრებში ჩაძირულ პატარა სახეს უყურებდა. ნეტავ რისთვის ცდოლობს, რომ ის უკეთესი გახდეს? სამოთხე და ჯოჯონეთი უნიჭობისთვის არის და თუ ვინმე უნიჭო, ეს ნორტონია.

ბიჭები მაყურებლების ტრიბუნაზე შემოვიდნენ და შეფარდისგან რამდენიმე ფუტის მოშორებით, სახით მისკენ დასხდნენ, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ შეიმჩნია, რომ ის შეამჩნიეს. შეფარდმა უკან გაიხედა, სადაც მისი ბავშვთა ლიგის პატარა აღსაზრდელები სათამაშო მოედანზე მიმოფანტულიყვნენ. შეფარდი ტრიბუნისკენ გაემართა. როგორც კი ბიჭებს მიუახლოვდა, ჯონსონის სისინა ხმაუცბად გაწყდა.

„აბა, ბიჭებო, რას აკეთებდით დღეს?“ იკითხა შეფარდმა შინაურულად.

„ის მიყვებოდა...“ დაინყო ნორტონმა.

ჯონსონმა ბავშვს გვერდში იდაყვი გაჰკრა.

„არაფერს არ ვაკეთებდით“, უპასუხა ბავშვმა. იგი უაზროდ იყურებოდა, მაგრამ მისი თვალები კადნიერი თანამზრახველობის ვწებას აშკარად ვერ მალავდნენ.

შეფარდმა იგრძნო, სახეზე აღმური როგორ მოაწვა, მაგრამ არაფერი თქვა. მის უკან სპორტულ უნიფორმაში გამოწყობილი მისი გუნდის პატარა წევრი იდგა

და მასწავლებელს, მოუთმენლად, ბეისბოლის ბიტით უკრიდან ფეხზე აწვებოდა. შეფარდი მიბრუნდა, ბავშვს ხელი მხარზე მოხვია და მასთან ერთად სათამაშო მოედნისკენ დაეშვა.

იმ ღამეს, როცა შეფარდი სხვენზე ტელესკოპთან მიმჯდარი ბავშვების სანახავად ავიდა, იქ მას მხოლოდ ნორტონი დახვდა. ბიჭი ყუთზე იჯდა და ზურგში მოხრილი ტელესკოპში დაძაბული იყურებოდა. ჯონსონი იქ არ იყო.

„რუფუსი სად არის?“ ჰეითხა შეფარდმა

„რუფუსი სად არის-მეთქი“, ხმას აუნია შეფარდმა

„სადღაც წავიდა“, უპასუხა ბავშვმა ისე, რომ თავი არ მოუბრუნებია.

„სად წავიდა?“

„მითხრა, რომ სადღაც მიდიოდა. მითხრა, ვარსკვლავების ყურება ყელში ამომივიდაო“.

„გასაგებია“, უხალისოდ ჩაილაპარაკა შეფარდმა, შეტრიალდა და კიბით ქვევით ჩავიდა. მთელი სახლი გადაატრიალა, მაგრამ ჯონსონი ვერსად იპოვა. შემდეგ სასტუმრო ოთახში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა. ჯერ კიდევ გუშინ ის დარწმუნებული იყო, რომ ბიჭთან წარმატებას მიაღწია, დღეს უკვე ამაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა. ჯონსონთან ზედმეტად რბილი ხომ არ იყო ან ზედმეტად მონდომებული, რომ ბიჭისთვის თავი მოეწონებინა? თავს დამანაშვედ გრძნობდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ის ჯონსონს მოსწონდა, თუ არა? განა ეს მისთვის რამეს ცვლიდა? როგორც კი ბიჭი დაპრუნდებოდა, მასთან რაღაც-რაღაცები უნდა გაერკვია. სანამ აქ ცხოვრობ, ღამ-ღამობით გარეთ მარტო ვერ გახვალ, გასაგებია?

აუცილებელი არ არის, აქ დავრჩე. ჩემთვის სულერთია, აქ დავრჩები, თუ არა. ღმერთო ჩემო, ფიქრობდა შეფარდი. საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა. მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს, მაგრამ არც უნდა გადაამლაშოს. შეფარდმა გაზეთი აიღო. სიკეთე და მოთმინება ნებისმიერ შემთხვე-

ვაში აუცილებელია, მაგრამ მას მეტი სიმ-
ტკიცე მართებს. შეფარდი იჯდა და ხელში
გაზეთი ეჭირა, მაგრამ არ კითხულობდა.
თუ სიმტკიცეს არ გამოიჩენს, ბიჭი პატი-
ვისცემით არ მოეპყრობა. კარებზე ზარი
დაირეკა და შეფარდი კარის გასაღებად
გაემართა. მან კარი გააღო და დაბნეული
და შეშფოთებული სახით უკან დაიხია.

კარის ზღურბლზე ზორბა ტანის პოლი-
ციელი იდგა და იდაყვით ჯონსონი ეჭირა.
გარეთ, ტროტუართან პოლიციის მანქანა
იცდიდა. ჯონსონს სახეზე ფერი არ ედო.
ნიკაპი წინ ჰქონდა გამოწეული, თით-
ქოს არ უნდოდა, რომ დაენახათ, როგორ
უცახცახებდა.

„ჯერ აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ
მთელი პანიკა ატეხა“, თქვა პოლიციელმა.
„მაგრამ რადგან ნახეთ, ახლა პოლიციაში
წავიყვანთ და რამდენიმე კითხვას დავუს-
ვამთ“.

„რა მოხდა?“ ჩუმად წაილულულა შე-
ფარდმა.

„აქვე, კუთხეს რომ გასცდები, რომ
სახლია, ნამდვილი პოგრომია, მთელ ია-
ტაკზე დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები,
ავეჯი ამოტრიალებული..“.

„მერე მე რა შუაში ვარ! შეიცხადა ჯონ-
სონმა. „ჩემთვის მივდიოდი ჩემს საქმეზე,
ეს პოლიციელი რომ მოვიდა და დამიჭი-
რა“.

შეფარდმა ბიჭს პირქუშად გახედა. არც
კი უცდია მკაცრი გამომეტყველება შეერ-
ბილებინა.

ჯონსონი განითლდა.

„მე მხოლოდ ვსეირნობდი“, წალულუ-
ლა მან, თუმცა ამჯერად ნაკლებად დამა-
ჯერებლად.

„წავედით, მეგობარო“, თქვა პოლიცი-
ელმა

„ალბათ არ მისცემ უფლებას წამიყვა-
ნონ, არა?“ თქვა ჯონსონმა. „ხომ გჯერა
ჩემი?“ ბიჭის ხმაში მუდარის ნოტი გაისმა,
რაც შეფარდს მისგან ადრე არ სმენია.

ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. ბიჭს უნდა
ცოდნოდა, რომ, თუ რამეს დააშავებდა,
არ დაიცავდნენ.

„უნდა გაჰყვე, რუფუს“.

„გეუბნები, რომ არაფერი გამიკეთებია
და შენ მაინც უფლებას აძლევ წამიყვა-
ნონ?“ დაიწიკვინა ბიჭმა. რაც უფრო მე-
ტად ეპარებოდა ეჭვი ბიჭის უდანაშაულო-
ბაში, სახე მით უფრო მკაცრი უხდებოდა.
ბიჭმა იმდედი გაუცრუა იქამდე, სანამ შანსი
ჰქონდა მისთვის ფეხსაცმელი ეყიდა. ის
ხომ ხვალ უნდა აეღოთ. უცებ, ყველაფერ-
ზე მეტად ფეხსაცმელი დაენანა და ჯონ-
სონის დანახვამ ორმაგად გააღიზიანა.

„შენ კიდევ ამბობდი, რომ ბოლომდე
გჯეროდა ჩემი“, ჩაიბურტყუნა ბიჭმა.

„კი, ნამდვილად მჯეროდა“, უპასუხა
შეფარდმა გაქვავებული სახით.

ჯონსონი პოლიციელებთან ერთად
შეტრიალდა, მაგრამ სანამ წაიყვანდნენ,
ერთხელ კიდევ მოიხედა, შეფარდს ზიზ-
ლით სავსე მზერა ესროლა.

შეფარდი კარებში იდგა და უყურებდა
პატრულის მანქანაში როგორ ჩასხდნენ და
წავიდნენ. შეფარდი ცდილობდა ბიჭის მი-
მართ თანაგრძნობა დაებრუნებინა. ხვალ
პოლიციაში წავიდოდა და გაარკვევდა, რი-
სი გაკეთება შეეძლო, რომ ბიჭი ამ გასაჭი-
რიდან დაეხსნა. საპატიმროში ერთი ლამე
ბიჭს არაფერს დაუშავდებოდა. სამაგიე-
როდ, ეს გამოცდილება ასწავლიდა, რომ
იმ ადამიანს, ვისაც მისთვის მხოლოდ სი-
კეთე უნდოდა, ასე დაუსჯელად ვერ მოეპ-
ყრობოდა. შემდეგ ისინი წავლენ და ფეხ-
საცმელს გამოიტანენ, რომელიც ალბათ
ციხეში გატარებული ერთი ლამის შემდეგ
ბიჭისთვის უფრო ღირებული გახდება.



მეორე დღეს, დილის რვა საათზე, შე-
ფარდს პოლიციის ოფიცერმა დაურეკა და
უთხრა, რომ შეეძლო პოლიციაში მისული-
ყო და ჯონსონი წაეყვანა. „ამ საქმეზე ერ-
თი ნიგერი დავაკავეთ“, უთხრა შეფარდს
პოლიციელმა. „თქვენი ბიჭი აქ არაფერ
შუაშია“. შეფარდი ათ წუთში უკვე პოლი-
ციაში იყო. სახე სირცხვილისგან ეწვოდა.
ჯონსონი მუქ ყავისფრად შეღებილ დარ-
ბაზში გრძელ სკამზე წამოსკუპულიყო და

პოლიციის უურნალს კითხულობდა. ოთახში სხვა არავინ იყო. შეფარდი ბიჭს გვერდით მიუჯდა და ხელი მხარზე ფრთხილად დაადო. ბიჭმა ქვემოდან ამოხედა, წამით ტუჩი აიბზუა და ისევ უურნალის კითხვა განაგრძო.

შეფარდი თავს საშინლად გრძნობდა. უცებ მთელი სიცხადით შეიგრძნო, თუ როგორ საზიზლრად მოიქცა. სწორედ მაშინ უდალატა, როცა შეეძლო მისთვის ერთხელ და სამუდამოდ სწორი გზა ეჩვენებინა.

„რუფუს“, გაუბედავად დანწყო შეფარდმა. „ბოდიშს გიხდი. არასწორად მოვიქცი. შენ მართალი იყავი. შევცდი შენში“.

ბიჭი კითხვას აგრძელებდა.

„ვწუხვარ“.

ბიჭმა თითო დაისველა და გვერდი გადაფურცლა. შეფარდმა ისევ მოიკრიბა გამბედაობა.

„სულელურად მოვიქცი, რუფუს“.

ჯონსონს ტუჩი ოდნავ მოელრიცა და მხრები აიჩეჩა ისე, რომ წიგნიდან თავი არ აუნევია.

„ამჯერად მაბატიე, კარგი?“ მუდარის ტონით წარმოთქვა შეფარდმა. „ეს აღარ განმეორდება“.

ბიჭმა, როგორც იქნა, თავი ანია. თვალები ბრაზისგან უელავდა.

„დავივიწყებ“, თქვა მან, „მაგრამ შენ ჯობია დაიმახსოვრო“.

ბიჭი ადგა და მედიდური სახით კარებისკენ გაემართა. შუა ოთახამდე არ იყო მისული, რომ მოტრიალდა და შეფარდს ხელით ანიშნა, წამომყევიო. შეფარდი წამოხტა და უკან გაჰყვა ისე, თითქოს უხილავი საბელიდან აუშვესო.

„შენი ფეხსაცმელები“, სიხარულით წამოიძახა შეფარდმა, „დღეს შენი ფეხსაცმელები უნდა გამოვიტანო! მადლობა ღმერთს ფეხსაცმელებისთვის!“

პროთეზების მაღაზიაში რომ მივიდნენ, ალმოჩნდა, რომ ორი ზომით პატარა ფეხსაცმელი დაემზადებინათ, ახალი ფეხსაცმელები კი მხოლოდ ათი დღის შემდეგ იქნებოდა მზად. ჯონსონი ხასიათზე მოვიდა. მაღაზიის გამყიდველს, როგორც

ჩანს, ზომა შეეშალა, მაგრამ ბიჭი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ მას ფეხი გაეზარდა. ჯონსონი მაღაზიიდან კმაყოფილი სახით გამოვიდა, თითქოს ფეხი იმიტომ გაეზარდა, რომ თავად ასე მოინდომა. შეფარდს შეწუხებული სახე ჰქონდა.

ამის შემდეგ შეფარდმა გააორკეცა ძალისხმევა. ვინაიდან ჯონსონმა ტელესკოპის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, შეფარდმა მიკროსკოპი და მთელი ყუთი მზა სლაიდები იყიდა. თუ ბიჭი მას-შტაბურობით ვერ მოხიბლა, იქნებ ბედი მიკრო სამყაროში ეცადა. ჯონსონი მთელი ორი ღამე მიკროსკოპთან იყო მიმჯდარი, ერთ მშვენიერ დღეს კი უცებ მის მიმართ ინტერესი საერთოდ გაუნელდა. სამაგი-ეროდ, კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ სა-ლამონბით შეეძლო სასტუმრო ოთახში მჯდარიყო და ენციკლოპედია ეკითხა. ენ-ციკლოპედიას ისევე ნოქავდა, როგორც თავის სადილს, შეუჩერებლივ და უდრტვინველად. თითქოს ყველაფერს, რასაც თავში უშვებდა, ანადგურებდა და გარეთ ანთხევდა. არავინ იყო შეფარდზე ბედნიერი, როცა ხედავდა, როგორ იყო ბიჭი გადანოლილი ტახტზე და წიგნს მდუმარედ როგორ კითხულობდა. როცა ორი-სამი საღამო ბიჭს ამ ყოფაში უყურა, შეფარდი კვლავ თავდაჯერებული გახდა. იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ის ჯონსონით იამაყებდა.

ხუთშაბათ სალამის შეფარდი ქალაქის საბჭოს სხდომას დაესწრო. სხდომაზე მიმავალმა გზად ბიჭები კინოში დატოვა და უკანა გზაზე გამოუარა და წამოიყვანა. სახლში რომ დაბრუნდნენ, სახლის წინ ავტომანქანა დახვდათ, რომელსაც საქარე მინის თავზე ერთი წითელი თვალი ედგა. შეფარდმა ეზოში შეუხვია და მისი ავტომანქანის მაშუქებმა მანქანაში მსხდომი ორი ადამიანის სახე გაანათა.

„ძალლები!“ ჩაილაპარაკა ჯონსონმა. „ვიღაც ნიგერმა რაღაც გატეხა და ისევ ჩემთან მოვიღნენ!“

„ვნახავთ“, ჩაიბუტბუტა შეფარდმა. მან

მანქანა ეზოში გააჩერა და შუქები გამორთო. „ბიჭებო, თქვენ სახლში შედით და დაიძინეთ. ამას მე მივხედავ“.

„შეფარდი თავისი მანქანიდან გადმოვიდა, პოლიციის მანქანასთან მივიდა და თავი ფარჯარაში შეყო. პოლიციელებმა მდუმარედ შეხედეს. სახეზე მრავლის-მთქმელი გამომეტყველება ჰქონდათ.

„სახლი შელტონის და მილზის კუთხეში. თითქოს მატარებელმა გადაურაო“. თქვა საჭესთან მჯდომმა პოლიციელმა.

„ის ქალაქში იყო, კინოში“, თქვა შეფარდმა. „ჩემი ბიჭიც მასთან ერთად იყო. მას არც წინა და არც ამ საქმესთან საერთო არაფერი აქვს. მე ვაგებ პასუხს.

„თქვენს ადგილზე, არც ერთ მისნაირ პატარა ნაბიჭვარზე პასუხისმგებლობას არ ავიღებდი“, მიუგო მის მხარეს რომ იჯდა, იმ პოლიციელმა.

„გითხარით, მე, პასუხს მე ვაგებ-მეთქი“, ცივად გაიმეორა შეფარდმა. „ადრე ერთხელ უკვე შეცდით. კიდევ ერთხელ ნუ დაუშვებთ იმავე შეცდომას“.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს. „თქვენი საქმისა თქვენ იცით“, თქვა საჭესთან მჯდომმა პოლიციელმა და მანქანა დაქოქა.

შეფარდი სახლში შევიდა და სასტუმრო ოთახში დაჯდა. ოთახში ბნელოდა. ჯონსონში ეჭვი არ ეპარებოდა და არც ის უნდოდა, ბიჭს ეფიქრა, რომ ის მასზე ეჭვობდა. თუ ჯონსონი ითიქრებდა, რომ შეფარდი მასზე ეჭვობდა, ის ყველაფერს დაკარგავდა, მაგრამ შეფარდს უნდოდა სცოდნოდა, რომ ბიჭის ალიბი უტყუარი იყო. ფიქრობდა, ნორტონის ოთახში შესულიყო და ბავშვისთვის ეკითხა, ჯონსონმა კინოთეატრი ხომ არ დატოვა. არა, ეს უარესი იქნებოდა. ჯონსონი ამის შესახებ გაიგებდა და გაცოფდებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, თვითონ ჯონსონისთვის ეკითხა. პირდაპირ შეეკითხებოდა. წინასწარ მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა და ბიჭის ოთახის კართან მივიდა.

„კარი ლია იყო, თითქოს მას იქ უკვე ელოდებოდნენ. ჯონსონი ლოგინში იწვა.

დერეფნიდან შემოსული სინათლე საქმარისი იყო იმისთვის, რომ შეფარდს ზენ-რის ქვეშ ბიჭის ტანი გაერჩია. შეფარდი შევიდა და საწოლის თავთან დადგა.

„ნავიდნები“, თქვა მან „მე მათ ვუთხარი, რომ შენ ამ საქმესთან საერთო არაფერი გაქვს და რომ პასუხს მე ვაგებ“. ბორის ბალიშიდან.

„შეფარდი შეყოფილდა.

„რუფუს,“ შენ კინოთეატრიდან არანაირ საქმეზე არ გასულხარ, ხომ ასეა?“

„თავი ისე გიჭირავთ, თითქოს ჩემი გჯერათ!“ დაიყვირა უცებ შეურცხყოფილმა ხმამ, „არა, არ გჯერათ! არც მაშინ გჯეროდათ და არც ახლა“.

ეს ხმა, თითქოს, საიდანლაც სხეულის სიღრმიდან გამოითავისუფლდა და არა მისი პაგიდან, რომელიც ახლა კარგად მოჩანდა. ეს საყვედურის ყვირილი იყო, ოდნავ ზიზღნარევი.

„მე ნამდვილად მჯერა შენი“, დამაჯერებელი ტონით უბასუხა შეფარდმა. „ყველანაირად მჯერა შენი. მჯერა შენი და ბოლომდე გენდობი“.

„სულ მითვალთვალებ“, დალვრემილი სახით თქვა ბიჭმა.

„ჩემ დაკითხვას რომ მორჩები ხოლმე, ნორტონთან გარბიხარ და და მასაც იმავეს ეკითხები“.

„არანაირი სურვილი არ მაქვს ნორტონს რამე ვკითხო და არც არასდროს მიკითხავს“, მიუგო რბილად შეფარდმა „და საერთოდ შენში ეჭვი არ მეპარება. თანაც, კინოთეატრიდან აქამდე მოსვლას, ვიღაცის სახლში შესვლას და უკან დაბრუნებას ვერანაირად ვერ მოასწრებდი“.

„აი, თურმე რატომ გჯერა ჩემი, იმიტომ, რომ უკან დაბრუნებას ვერ მოვასრუბდი“, დაუყვირა ბიჭმა

„არა, არა! შენი იმიტომ მჯერა, რომ ვიცი, იმდენი ჭკუა და ნებისყოფა გაქვს, რომ ახალ უსიამოვნებებში არ გაეხვიო. მჯერა, რომ თვითონაც კარგად იცი, რომ ასეთი რამები აღარ უნდა გააკეთო. მჯერა, რომ, თუ მოინდომებ, ყველაფერი გამოგივა“, მიუგო შეფარდმა.

ჯონსონი ლოგინზე წამოჯდა. მკრთალი შუქი შუბლს უნათებდა, მაგრამ დანარჩენი სახე არ უჩანდა.

„სხვათა შორის, რომ მომენტომებინა იქ შესვლასაც მშვენივრად მოვასწრებდი“, თქვა ბიჭმა.

„მაგრამ ვიცი, რომ იქ არ ყოფილხარ. ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი“. სიჩუმე ჩამოვარდა. ჯონსონი ისევ დაწვა. ცოტა ხანში, მისი ხმა ისევ გაისმა, ყრუ, ჩახლებილი, თითქოს ყელიდან გაჭირვებით ამოთქმული.

„რაში გჭირდება რაღაცის მოპარვა და გაფუჭება, თუ კი ისედაც ყველაფერი აქვს“. შეფარდს სუნთქვა შეეკრა. ბიჭი მას მადლობას უხდიდა! ის მას მადლობას უხდიდა! მის ხმაში მადლიერება იგრძნობოდა. ის მას აფასებდა. შეფარდი ისევ იქ იდგა, სიბრძეში და სულელურად იღიმებოდა, უნდოდა ეს წამი შეჩერებულიყო. მისდაუნებურად, ბიჭის ბალიშისენ წაბიჯი გადადგა, ხელი განია და ბიჭს შუბლზე დაადო. მისი შუბლი უანგიანი რკინასავით ცივი და მშრალი იყო.

„მესმის. ღამე მშვიდობისა, შვილო“. თქვა შეფარდმა, სწრაფად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

შეფარდმა ოთახის კარი ზურგს უკან მიიხურა და ცოტა ხანს შეყოვნდა. ჯერ კიდევ ემოციების ქვეშ იყო.

ამიერიდან ჯონსონთან ერთად სავალ გზაზე ხელს აღარაფერი შეუშლიდა.

ნორტონი ლოგინზე წამოჯდა და შეფარდს ხელი დაუქნია.

მან ბავშვი დაინახა, მაგრამ თვალი აარიდა. ახლა მას არ შეეძლო ნორტონთან შესვლა და საუბარი. არ უნდოდა ჯონსონის ნდობისთვის ეღალატა. ყოყმანობდა, მაგრამ იქ დარჩა, სადაც იყო, ვითომ არაფერი შეუმჩნევია. ხვალ ფეხსაცმელების გამოსატანად უნდა წასულიყვნენ. ეს ალბათ საპოლონოდ შეუწყობდა ხელს მათ შორის დადებითი გრძნობების ჩამოყალიბებას. შეფარდი სწრაფად შებრუნდა და თავის ოთახში დაპრუნდა. ბავშვი კიდევ რამდენიმე ხანს იყო ასე წამომჯდარი და

იმ წერტილს მიშტერებოდა, სადაც ცოტა ხნის წინ მამამისი იდგა. ბოლოს, მზერა უაზრო გაუხდა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

მეორე დღეს ჯონსონი მთელი დღე მოღუშული იყო და ხმას არ იღებდა, თითქოს რცხვებოდა, რომ საკუთარი თავი გასცა. შეფარვით იყურებოდა. საკუთარ თავში ჩაიკეტა. როგორც ჩანს, მის ტვინში მის-თვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი წყდებოდა. შეფარდს მაღაზიაში მისვლა დააგვიანდა. მან ნორტონი სახლში დატოვა, რადგან არ სურდა ყურადღება გაფანტვოდა და უნდოდა თავისუფლად ედევნებინა თვალი ჯონსონის რეაქციებისთვის. მართალია, ბიჭს ახალი ფეხსაცმლის შეძენის პერსპექტივა მაინცადამაიც არ ახარებდა და არც აინტერესებდა, მაგრამ, როცა იგი ფაქტის წინაშე დადგებოდა, მასზე ეს, რათქმა უნდა, შთაბეჭდილებას მოახდენდა.



პროთეზების მაღაზია პატარა ბეტონის კონსტრუქციის საწყობი იყო, რომელიც სავსე იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის საჭირო მოწყობილობებით. იატაკი ინვალიდის ეტლებით და სხვა სასიარულო სარებალოების საშუალებებით იყო მოფენილი. კედლებზე ყველანარი სახის ყავარჯენები და პროთეზები ეკიდა. თაროებზე ხელოვნური კიდურები, ფეხები და ხელები და მტევნები, ბრჭყალები და კაუჭები, სარტყელები და ღვედები და ფიზიკურ უნარშეზღუდულთათვის განკუთხილი სხვა გაურკევევლი დანიშნულების ხელსაწყოები ელაგა. ოთახის შუაგულში, იქ, სადაც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი თავისუფალი ადგილი, რიგებად ეწყო ყვითელი პლასტმასის სკამები და ფეხსაცმლის გასასინჯი ტაბურეტი. ჯონსონი ერთ-ერთ სკამზე წამოსკუპდა, ფეხი ტაბურეტზე შემოდო და საკუთარ ფეხს პირქუში სახით მიაშტერდა. ფეხსაცმლის ჭვინტს პირი ისევ დაელო და ბიჭს იგი ბრეზენტის ნაჭრით ამოეკემსა; სხვა ადგილებიც დაკემსილი იყო იმით, რაც, სავარაუდო, ოდესალაც ფეხსაცმლის ენა უნდა ყოფილი-

ყო. ორივე მხარე, თასმების ნაცვლად, ბან-რის ნაჭრებით იყო გაკვანძული.

„შეფარდს აღელვებისგან სახე ნამოუ-ნითლდა; გული ამოვარდნაზე ჰქონდა.“

მაღაზიის უკანა მხრიდან გამყიდველი გამოჩნდა. იღლიაში ახალი ფეხსაცმელი ჰქონდა ამოჩრილი.

„ამჯერად ზუსტად დავსვი! კმაყოფი-ლებით თქვა გამყიდველმა. ის გასასინჯ ტაბურეტზე დაჯდა და ფეხსაცმელი ზე-ვით ასწია, თან იღმებოდა, თითქოს ამ-ბობდა აი, ხომ ხედავთ, რა ჯადოსნური რაღაც გავაკეთეო. ფეხსაცმელი შავი ფე-რის პრიალა, უფორმო საგანი იყო, საზიზ-ლრად ლაპლაპებდა. კარგად გაპრიალე-ბულ ბლაგვ იარაღს ჰევდა. ჯონსონმა ფეხსაცმელს დაღვრემილი სახით შეხედა.“

„ამ ფეხსაცმლით ვერც კი მიხვდები, რომ დადიხარ. გეგონება, თვითონ დადის!“

გამყიდველმა ლაპლაპა ვარდისფე-რი მელოტი თავი დახარა და ფრთხილად შეუდგა ბანრის გახსნას. მან ბიჭს ძველი ფეხსაცმელი გახადა ისე, თითქოს ჯერ კი-დევ ცოცხალ ცხოველს ატყავებდა. დაძა-ბული სახე ჰქონდა. ბინძური წინდით შე-მოსილი ფეხის მასის დანახვაზე შეფარდს გული აერია. თვალი მოარიდა, სანამ ბიჭს ახალ ფეხსაცმელს არ ჩამოვამდენ. გამ-ყიდველმა ფეხსაცმელს თასმები ხელის სწრაფი მოძრაობით გაუყარა და შეკრა.

„ახლა ადექი და გაიარე, ნახავ როგორ იფრენ“, თვალის ჩაკვრით უთხრა გამყიდ-ველმა ბიჭს.

„ამ ფეხსაცმელებში ვერც კი მიხვდება, რომ ფეხის პრობლემა აქვს“. „

„შეფარდს სახე სიამოვნებისგან უბ-რწყინავდა.

ჯონსონი ადგა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მყარად დადიოდა, მოკლე ფეხს დაბლა თითქმის აღარ ადგამდა. შემდეგ ერთი ნამით შედგა, გაშეშებული, დანარ-ჩენებისკენ ზურგით მდგომი.

„შესანიშნავია!“ თქვა შეფარდმა ისე, თითქოს ბიჭს ახალი ხერხემალი აჩუქა.

ჯონსონი მოტრიალდა. ტუჩები თხელი ყინულის ზოლად მოეკუმა. სკამთან დაბ-

რუნდა და ფეხსაცმელები გაიხადა. შემ-დეგ, ძველები ჩაიცვა და თასმების შეკ-ვრას შეუდგა.

„გინდა სახლში წაიღო და ცოტა ხანა იქ შეეჩიო, არა?“ ჩურჩულით ჰკითხა გამ-ყიდველმა.

„არა, მის ჩაცმას საერთოდ არ ვაპი-რებ“. „რა ჭირს?“ ხმას აუწია შეფარდმა.

„არ მჭირდება ახალი ფეხსაცმელი. თუ დამჭირდა, ვიცი, მე თვითონ როგორ ვი-შოვი“. თქვა ჯონსონმა გაქვავებული სა-ხით, მაგრამ მის თვალებში გამარჯვების სხივი აკიაფდა.

„ბიჭიკო, პრობლემა ფეხში გაქვს, თუ თავში?“ გამოსცრა კბილებში გამყიდველმა.

„მიდი, მიდი, თავი გაიგრილე, ტვინი არ გადაგენვას“. მიუგო ბიჭმა.

„გამყიდველი პირქუში, მაგრამ ამაყი სახით სკამიდან წამოდგა. ფეხსაცმელი თასმით ცალ ხელზე ჰქონდა ჩამოკონნი-ალებული.

„ამ ფეხსაცმელებს რა ვუყო?“ ჰკითხა შეფარდს გამყიდველმა.

„შეფარდს სახე სიბრაზისგან მუქი ვარ-დისფერი გაუხდა. ის მის წინ ხელოვნურ ხელზე მიმაგრებულ ტყავის კორსეტს მიშ-ტრერებოდა.

გამყიდველმა კითხვა გაუმეორა.

„შეახვიეთ“, ჩუმად ჩაილაპარაკა შე-ფარდმა და ჯონსონს გადახედა.

„ეტყობა, ამისთვის ჯერ არ მომწიფე-ბულა. მე კი მეგონა, უკვე გაიზარდა“.

ჯონსონმა მას ალმაცერად შეხედა.

„ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ“ თქვა ბიჭმა.



იმ ღამეს სასტუმრო ოთახში ისხდნენ და, როგორც წესი, კითხულობდნენ. შე-ფარდი, მოღუშული სახით, თავის „სან-დეი წიუ იორკ თაიმსში“ იყო ჩაფლული. უნდოდა ხასიათზე მოსულიყო, მაგრამ, როგორც კი დაწუნებული ფეხსაცმელი გა-ახსენდებოდა, გუნება-განწყობილება ისევ უფუჭდებოდა. ჯონსონისკენ გახედვისაც

კი ეშინოდა. შეფარდი მიხვდა, რატომ თქვა ბიჭმა ფეხსაცმელზე უარი – მას შეეშინდა. მასში გაღვიძებული მადლიერების გრძნობის შეეშინდა. არ იცოდა, რა მოეხერხებინა იმ თავისი ახალი „მე“-თვის, რომელსაც ნელ-ნელა აცნობიერებდა. მიხვდა, რომ იმას, რაც იგი ადრე იყო, საფრთხე შეექმნა და საკუთარი თავისა და შესაძლებლობების პირისაპირ პირველად აღმოჩნდა. საკუთარი პირვენება ეჭვის ქვეშ დააყენა. შეფარდმა იგრძნო, რომ ბიჭზე გული ოდნავ მოულბა და ეს არ ესიამოვნა. რამდენიმე წუთში გაზეთი ძირს დაუშვა და მზე-რა ბიჭს მიაპყრო.

ჯონსონი დივანზე იჯდა და ენციკლოპედიის ზემოდან მონუსხულივით სადღაც იყურებოდა. თითქოს შორს რაღაცას უსმენდა. შეფარდი ბიჭს დაჟინებით უმზერდა, მაგრამ ბიჭი კვლავ რაღაცას უსმენდა და თავს არ აბრუნებდა. საწყალი ბიჭი, როგორი დაბნეულია, ფიქრობდა შეფარდი. მთელი საღამო ასე იჯდა დალვრემილი სახით, გაზეთს კითხულობდა და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს დაძაბულობა რომ გაეფანტა.

„რუფუს“, თქვა შეფარდმა. ჯონსონი ისევ ისე, გაუნდრევლად იჯდა და რაღაცას უსმენდა.

„რუფუს“, დაიწყო შეფარდმა ჩუმი, მომაჯადოვებელი ხმით, „შენ ამ ქეყნად, რაც გინდა, ის შეგიძლია გახდე. შეგიძლია იყო მეცნიერი ან არქიტექტორი, ან ინჟინერი, ან ნებისმიერი რამ, რასაც მოისურვებ და იმ საქმეში შეგიძლია იყო საუკეთესო საუკეთესოებს შორის“.

მან უცებ წარმოიდგინა, რომ მისი ხმა ბიჭში მისი სულის შავი ხერელების გავლით აღწევდა. ჯონსონი წინ გადაიხარა, მაგრამ შეფარდისთვის არ შეუხდავს. ქუჩაში მანქანის კარის მიჯახუნების ხმა გაისმა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა სანში კი კარებზე ზარის რეკვა ატყდა.

შეფარდი წამოხტა და კარი გააღო. იქ, ადრე რომ იყო მოსული, ისევ ის პოლიციელი იდგა. ტროტუართან პატრულის მანქანა იცდიდა.

„თუ შეიძლება, ის ბიჭი უნდა ვნახო“, თქვა პოლიციელმა.

შეფარდმა წარბი შეიკრა და განზე გადგა.

„მთელი საღამო აქ იყო. თავდებში შემიძლია დავუდგე“. „

„პოლიციელი სასტუმრო ოთახში შევიდა. ჯონსონი ისევ თავის წიგნში იყო ჩაფლული. ცოტა ხანში თავი ასწია შეწუხებული სახით, ვინმე გამოჩენილ ადამიანს რომ მუშაობას შეაწყვეტინებენ, ისე.“

„მეგობარო, დახლოებით ნახევარი საათის წინ ვინთერ ევენიუზე სამზარეულოს ფანჯარაში რას უყურებდი, ხომ ვერ მეტყვე?“

„შეწყვიტეთ ამ ბიჭის დევნა. პასუხს ვაგებ, რომ ის აქ იყო. მეც აქ ვიყავი მასთან ერთად“.

„ვერ გაიგეთ, რა გითხრათ? სულ აქ ვიყავი“, თქვა ჯონსონმა.

„შენნაირ ნაფეხურებს ყველა არ ტოვებს“, თქვა პოლიციელმა და ბიჭის თათს თვალი შეავლო.

„შეუძლებელია, რომ მისი ნაფეხურები ყოფილიყო“, გაბრაზებულმა შეუბლვირა პოლიციელს შეფარდმა.

„მთელი ამ დროის განმავლობაში აქ იყო. ამაოდ ხარჯავთ საკუთარ დროსაც და ჩვენსასაც“. „

იგრძნო, რომ სიტყვამ „ჩვენსასაც“ საბოლოოდ დაუსვა ბეჭედი ბიჭთან სოლიდარობას.

„ყელში ამომივიდა“, თქვა შეფარდმა. „ფეხის განძრევა გეზარებათ, რომ გარეთ გახვიდეთ და იპოვოთ ის, ვინც ამ საქმეებს სჩადის. ავტომატურად აქეთ გამორჩიხართ“. „

პოლიციელს მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ჯონსონის ძებნა გააგრძელა. მისი მსუქანი სახიდან ორი წვრილი და დაკვირვებული თვალი იყურებოდა. ბოლოს, ისევ გასასვლელი კარებისკენ დაბრუნდა.

„ადრე თუ გვიან მაინც დავიჭერთ, თავი ფანჯარაში რომ ექნება შეყოფილი და კუდი გარეთ დარჩება“ თქვა პოლიციელ-

მა. შეფარდმა პოლიციელი კარებამდე მი-
აცილა და კარი მის ზურგს უკან მიხურა.
ხასიათი ოდნავ გამოუკეთდა. სწორედ ეს
სჭირდებოდა. უკან რომ დაბრუნდა, სახე-
ზე მოუთმენლობა ეწერა. ჯონსონს წიგნი
დაეკეცა და იქვე იჯდა. სახეზე ეშმაკური
ლიმილი დასთამაშებდა.

„მაღლობა“, თქვა ბიჭმა.

შეფარდი ადგილზე გაქვავდა. ბიჭი
მტაცებელივით იყურებოდა. აშკარად და-
სკინოდა.

„შენც კარგი მატყუარა ყოფილხარ“, თქვა ბიჭმა.

„ମାତ୍ରୁପୁରୀରା?“ ନୀଳିଯୁଦ୍ଧଲୁହା ଶେଷାରଫିଲା.
ନୁହିବୁ କିମ୍ବା ଗାନ୍ଧିରା ଏବଂ ନୀରେ ଦାର୍ଶନିକଙ୍କା?
ତପାଲ୍ପାଦିନ ଦୁଇଜନେଇଲା. ଶେଷିଲେ ଉପରେ ଗାନ୍ଧି
ରୁ ବୁଝିଲେ ଜୁମିଲୁମିଲି ମିଶାରିଲା.

„გასული იყავი?“ გაცოფებულმა ჰკითხა ბიჭქ. „არ დამინახია, როდის წახვედრი“.

პიჭის მხოლოდ გაეციმა.

„შენ ხომ სხვენზე ახვედი ნორტონის
სანახავად“, თქვა შეფარდმა

„არა. ეგ ბიჭი გიურა. იმ იდიოტურ ტე-
ლესკოპში ყურების მეტი არაფერი აინტე-
რესებს“.

„ნორტონი არ მაინტერესებს“, მკვახედ
მიუვა შეფარდმა. „შენ თვითონ სად იყა-
ვო?“

„მე ჩემთვის მარტო ვიჯექი იმ ვარდის-
ფერ კასრზე. მოწმე არ მყავს“.

შეფარდმა ცხვირსახოცი ამოილო და
შებლი მოიწმინდა. სკაადა გაეღომა.

ଜନିବାରେ କଥା କହିଲା

„Մեն ჩիմո առ ցյերա“, ովքա ման օսցտօն-
չա հակողիթուող իմուտ. Ռուզաննէ մի լամին մի

ჩაპერებულ ოთახში ორი დღის წინ. „შენ ამტკიცებ, რომ თითქოს ჩემი გჯერა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. საქმე საქმეზე რომ მივა, სხვებივით აორთქლდები“. ბიჭს ხმა უფრო ჩაეხლიჩა. ტონი კი ორონიული და ბოლოს აშკარად დამცინავი გაუხდა. „შენ ჩემი არ გჯერა. ჩემ მიმართ არანაირი ნდობა არ გაქვს“, დაიჩივლა ბიჭმა. „შენი თავი იმ პოლიციელზე ჭკვიანი ნუ გგონია. მთელი ის ზღაპრები ფეხის ნაკვალიერზე უბრალოდ მახე იყო, მეტი

արագույրո. արանաօրո նազարլեցո ոյ առ պո-
ֆուլա. ոյ, սահման պատրական ծերթոնի աջաս, մը
կը ոյ օդիքնի մժրալո մժրոնճա“.

შეფარდმა ცხვირსახოცი ნელი მოძრაობით ისევ ჯიბეში ჩაიდო, ტახტზე დაეშვა და ფეხქვეშ დაგებულ ხალიჩას მიამტერდა. ბიჭის თათი ისევ მის მხედველობის არეში რჩებოდა. ახლად შეკონინებული ფეხსაცმელი თითქოს ჯონსონის სახით უცინოდა. დივნის ბალიშს ხელი ისე მაგრად მოუჭირა, რომ მტევნის ძვლები გაუთეთოდა. უცებ მთელ სხეულში ციების მსგავსად საშინელმა სიძულვილმა დაუარა. სძულდა მისი ფეხსაცმელიც, მისი ფეხიც, თვითონ ისიც. სიძულვილი ახრჩობდა. საკუთარ თავზე იყო გაცოფებული. უცებ ბიჭს მხარში სწვდა და მაგრად მოუჭირა, თითქოს ეშინოდა არ დაცემულიყო.

„მისმინე, ვიცი, რომ იმ ფანჯარაში ჩემ ჯინაზე იყურებოდი. ეს გინდოდა, მეტი არაფერი, გინდოდა ჩემი განზრახვისთვის, დაგხმარებოდი, ძირი გამოგეთხარა, მაგრამ ჩემი განზრახვა ურყევია. მე შენზე ძლიერი ვარ. შენზე ძლიერი ვარ და მინდა გადაგარჩინო. სიკეთე გაიმარჯვებას.

„ვერა, თუ ის მართალი არ არის, თუ ის
სწორი არ არის“, თქვენ ბიჭმა

„ჩემი განზრახვა ურყევია“, გაიმეორა
შეფარდმა, „მინდა გადაგარჩინო“.

„კონსონს სახე კვლავ დამცინავი გა-
უხდა. „შენ მე ვერ გადამარჩენ. შენ მალე
მეტყველ, რომ ამ სახლიდან უნდა წავიდე. ის
ნინა ორი საქმეც ჩემი გაკეთებულია, პირ-
ველიც და მეორეც მაშინ გავაკეთე, როცა,
წარით. ანოში უნდა კოლოიყავი“.

„մյ ար զաքորյք Շենք այցելան ցագօցքած“, տյշա Շեյզարդմա մոռնութոննոր, մեյսանուշ-րու ժողովա մի մեր անուա շառաւարմիմօ“

შეფარდს ჩუმად ჩაცინა. „შენ მე ვერ
მომატყუებ. ეგ მე შენ თავიდან ჯერ კიდევ
რეფორმატორიუმში ყოფნის დროს ამოგი-
რეცხე. მაგისგან მაინც გიხსენი“.

ჯონსონს სახის კუნთები დაეძაბა. სა-

ხეზე ისეთი ზიზღი გამოეხატა, რომ შეფარდმა უკან დაიწია. ბიჭის თვალები იმ სარკესავით იყო, ყველაფერს რომ ამასინჯებს. შეფარდმა მასში საკუთარი თავი ძლივს ამოიცნო – იგი საზიზლარი და მახინჯი იყო.

„მე შენ გაჩვენებ“, ჩურჩულით თქვა ბიჭმა. შემდეგ უცებ წამოხტა და კარისკენ გავარდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, შეფარდს ხელიდან როდის დაუსხლტებოდა, მაგრამ შემოსასვლელი კარის ნაცვლად უკანა კარიდან გავიდა. შეფარდმა ბიჭს მზერა გააყოლა, სანამ იგი არ გაუჩინარდა. გაიგონა მისი ოთახის კარი როგორ გაჯახუნდა. ესე იგი ის წასვლას არ აპირებდა. შეფარდს თვალები უცებ გაეყინა, უაზრო და უსიცოცხლო გაუხდა, თითქოს ბიჭის ალსარებით მოგვრილმა შოკმა მისი წნობიერებაში მხოლოდ ახლა შეაღწია.

„ნეტავ წავიდოდეს“, ჩურმად ჩაილაპარაკა შეფარდმა. „ნეტავ ახლა თავისი წებით წავიდოდეს“.

●

მეორე დილას, საუზმეზე ჯონსონი ბაბუამისის კოსტუმში გამოწყობილი გამოეცხადათ, იმ კოსტუმში, ბიჭს სულ პირველად მოსვლის დროს რომ ეცვა. შეფარდმა ეს არ შეიმჩნია, მაგრამ ბიჭის გამომეტყველებიდან ცხადი იყო, რაც მან ისედაც იცოდა, რომ იგი ხაფანგში აღმოჩნდა და რომ დღეიდან მხოლოდ ნერვების ბრძოლა იწყებოდა, რომელშიც გამარჯვებული ჯონსონი გამოვიდოდა. ნეტავ ბიჭი საერთოდ არ ენახა. თანაგრძნობისას განცდილმა მარცხმა შეფარდი დაამუნჯა. როგორც კი მოახერხა, სახლიდან გავიდა და მთელი დღე საღამოს სახლში დაბრუნების ეშინოდა. იმედს არ კარგავდა, რომ, როცა დაბრუნდებოდა, ბიჭი წასული დახვდებოდა. ბაბუამისის კოსტიუმი, სავარაუდო, ბიჭის წასვლაზე მიუთითებდა. შუადღეს ეს მოლოდინი კიდევ უფრო გაიზარდა. სახლში რომ დაბრუნდა და შესასვლელი კარი გააღო, მღელვარებისგან გული გამალებით უცემდა.

შეფარდი დერეფანში შეჩერდა და ჩურმად სასტუმრო ოთახში შეიხედა. მისი მოლოდინით სავსე გამომეტყველება უცებ გაქრა და სახეზე ისე დაბერდა, როგორც მისი ჭალარა თმა. ბიჭები დივანზე გვერდიგვერდ ისხდნენ და ერთი და იმავე წიგნს კითხულობდნენ. ნორტონს ლოყა ჯონსონის შავი კოსტიუმის სახელოზე ჰქონდა მიდებული. ჯონსონი კითხულობდა და თან თითს წიგნის სტრიქონებს აყოლებდა. უფროსი ძმა და უმცროსი ძმა. შეფარდი ამ სცენას გაქვევებული თითქმის ერთი წუთის განმავლობაში უყურებდა. შემდეგ ოთახში შევიდა, პალტო გაიხადა და სკამზე დააგდო ისე, რომ იგი ბიჭებს არც კი შეუმჩნევიათ. შეფარდი სამზარეულოში შევიდა.

ლეოლა ყოველ შუადღეს წასვლის წინ ვახშამს გაზქურაზე ტოვებდა. შეფარდმა კერძი მაგიდაზე დადო. თავი სტკიოდა და ნერვები დაჭიბული ჰქონდა. სამზარეულის სკამზე ჩამოჯდა და იქვე დარჩა. დეპრესიაში იყო. აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ჯონსონი ისე გამოეყვანა წყობიდან, რომ აეძულებინა სახლიდან საკუთარი ნებით წასულიყო. გასულ დამეს, მაგალითად, ქრისტესთან დაკავშირებით გააცოფა. ჯონსონი კი გააცოფა, მაგრამ თვითონ დეპრესიაში ჩავარდა. იქნებ უბრალოდ უთხრას ბიჭს, რომ წავიდეს? აღიაროს, რომ დამარცხდა. რომ წარმოიდგინა, რომ ჯონსონი ისევ უნდა ენახა, ცუდად გახდა. ბიჭი მას როგორც დამნაშავეს, როგორც სულით კეთროვანს, ისე უმზერდა. შეფარდმა პატივმოყვარეობის გარეშეც მშვენიერად უწყოდა, რომ ის კარგი კაცი იყო და რომ თავის თავთან სასაყვედურო არაფერი ჰქონდა. ახლა შეფარდის გრძნობები ჯონსონის მიმართ უკვე წასაღადევი იყო. უნდოდა მის მიმართ ძველი თანაგრძნობა დაბრუნებინა. უნდოდა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დახმარებოდა. ნატრობდა, დამდგარიყო ის დრო, როცა სახლში არავინ იქნებოდა მისი და ნორტონის გარდა, როცა ერთადერთი პრიბლემა ბავშვის ეგოიზმი და მისი მარტობა იქ-

ნებოდა.

შეფარდი წამოდგა, თაროდან თევზები ჩამოილო და გაზსურასთან მიიტანა. მექანიკურად მოქმედებდა. თევზებზე ხორცის რაგუ ბოსტნეულის გარნირთან ერთად და ლობიო გადმოილო. როგორც კი სუფრა გააწყო, ბიჭებს დაუძახა. ბიჭებმა თან წიგნიც მოიტანეს. ნორტონმა თავისი სკამი ჯონსონის სკამთან ახლოს მიაჩოჩა. ორივენი მაგიდის ცალ მხარეზე მოთავსათდნენ და წიგნი შუაში დაიდეს. შავი წიგნი იყო წითელი გვერდებით.

„ეგ რა არის, რას კითხულობთ?“ იკითხა შეფარდმა და მაგიდას მიუჯდა.

„ნებინდა ბიბლიას“, მოუგო ჯონსონმა.

ლმერთო, მომეცი ძალა, ჩუმად ჩაილაპარაკა შეფარდმა.

„ჩვენ ის ხუთ ცენტიანი მაღაზიიდან ავნიეთ“, თქვა ჯონსონმა

„ჩვენ?“ წაილულლუდა შეფარდმა. იგი ნორტონისკენ შებრუნდა და გამომწვევად შეხედა. ბიჭს სახე უბრწყინავდა და თვალებში სიხარულის სხივი ედგა. ეს ცვლილება ბიჭში შეფარდმა მხოლოდ ახლა შეამჩნია და, ცოტა არ იყოს, გაოცდა. ბავშვს უცნაური გამოცოცხლება ეტყობოდა. ტანზე ცისფერი კუბოკული პერანგი ეცვა და თვალები ისეთი ღია ცისფერი ჰქონდა, შეფარდს ადრე რომ არასდროს ენახა. მასში რაღაც ახალი, უცნაური სიცოცხლე ჩქედა, რომელიც ახალი, გაცვეთილი მანკიერების ნიშანი უფრო იყო.

„ახლა, იპარავ კიდეც?“ დაუპრიალა თვალები შეფარდმა ბავშვს. „სიკეთის კეთება ვერ ისნავლე, ქურდობა კი კარგად გცოდნია“.

„არა, არ იცის“, ჩაერია ჯონსონი. „მე მოვიპარე. ის მხოლოდ მიყურებდა. ის არ უნდა შეიბლალოს. ჩემთვის კი სულერთია. მაინც ჯოჯოხეთში მივდივარ“.

შეფარდი დადუმდა.

„თუ არ მოვინანიებ“, თქვა ჯონსონმა

„მოინანიე, რუფუს“, მუდარის ხმით თქვა ნორტონმა. „მოინანიე, გესმის? არ გინდა, ნუ წახვალ ჯოჯოხეთში“. „სისულელეს ნუ ლაპარაკობ“, თქვა შე-

ფარდმა დ ბავშვს გამომწვევი მზერა ეს-როლა. „თუ მოვინანიებ, მქადაგებელი ვიქენები. თუ აკეთებ, უნდა გააკეთო, სანახევროდ კეთებას აზრი არ აქვს“.

„შენ რა გინდა გამოხვიდე, ნორტონ?“ ჰკითხა შეფარდმა ბიჭს გალიზიანებული ტონით, „შენც მქადაგებელი?“

ბავშვს სიხარულისგან თვალები გაუბრნებინდა. „კოსმონავტი!“ ყვირილით უპასუხა მან.

„შესანიშნავია“, თქვა შეფარდმა

„ეგ კოსმოსური ხომალდები ხეირს ვერ დაგაყრის, თუ იესოს არ ირწმუნებ“, თქვა ჯონსონმა, თითო დაისველა და ბიბლიის ფურცელა დაიწყო.

„წაგიკითხავ, სადაც ეს წერია“. „

შეფარდი წინ გადაიხარა და გულმოსული ხმით თქვა: „დადე ეგ ბიბლია, რუფუს და სადილი ჭამე“. ჯონსონი ფურცელას განაგრძობდა.

„დადე-მეთქი ეგ ბიბლია!“ უყვირა შეფარდმა

ბიჭი გაჩერდა და თავი ასწია. შეშინებული, მაგრამ ნასიამოვნები გამომეტყველება ჰქონდა.

„ეგ წიგნი იმისთვის გინდა, რომ უკან ამოეფარო“, თქვა შეფარდმა. „ეგ მშიშრებისთვის არის, მათვის, ვისაც საკუთარ ფეხზე დგომა და რაღაცების დამოუკიდებლად გაგების ეშინია“. ჯონსონმა თვალი თვალში გაუყარა. სკამი მაგიდიდან ოდნავ უკან გასწია.

„შენ ეშმაკისაგან ხარ შეპყრობილი. მარტო მე არა, შენც“. შეფარდი მაგიდის მეორე მხრიდან წიგნს გადასწვდა, რომ წაერთმია, მაგრამ ჯონსონმა დაასწრო, წიგნი ააცალა და მუხლზე დაიდო.

შეფარდს გაცინა. „შენ მაგ წიგნის არ გწამს, თვითონაც იცი, რომ არ გწამს!“

„მწამს!“ თქვა ჯონსონმა. „შენ რა იცი, რისი მწამს და რისი არა“. „შეფარდმა თავი გააქნია. „არ გწამს. მაგისთვის ზედმეტად ჭკვიანი ხარ“. „მე არ ვარ ზედმეტად ჭკვიანი“, წაბურტყუნა ბიჭმა. „შენ არაფერი იცი ჩემ

შესახებ. „თუნდაც არ მნამდეს, იქ მაინც სიმართლე წერია“.

„არ გნამს! გამეორა შეფარდმა და სახე დაეჯდანა.“

„მნამს!“ სულმოუთქმელად უპასუხა ჯონსონმა. „გაჩვენებ, რომ მნამს!“

ბიჭმა მუხლზე დადებული წიგნი გადა-შალა, იქიდან ერთი ფურცელი ამოხია და პირში ჩაიტენა. თან შეფარდს თვალს არ აშორებდა. შემდეგ ყბები გაშმაგებით აა-მოძრავა და ქალალდი კნანაკნუნით დაღეჭა.

„მორჩი მაგას“, თქვა შეფარდმა დალ-ლილი ხმით. „მორჩი“.

ბიჭმა ბიბლია მაღლა ასწია, კბილებით ერთი ფურცელი მოახია და მისი ლეჭვა დაიწყო. თვალები უელავდა.

ახლა კი იმარჯვა შეფარდმა, მოულოდ-ნელად მაგიდაზე გადაიხარა და წიგნი ხე-ლიდან გააგდებინა.

„დატოვე მაგიდა“, ცივად ჩაილაპარაკა შეფარდმა.

ჯონსონმა გადაყლაპა, რაც პირში ედო. თვალები ისე გაუფართოვდა, თითქოს დი-დებული რამ იხილა.

„მე ის შევჭამე!“ ამოისუნთქა ბიჭმა. „მე ის შევჭამე, როგორც ეზეკიელმა და პირში თაფლის სიტყბო ვიგრძენი“.

„დატოვე მაგიდა“, გაიმეორა შეფარდმა და ხელები თეფშის გვერდით მომუშტა.

„მე ის შევჭამე!“ ყვიროდა ბიჭი. მისი სახე რაღაც სასწაულის ძალით გარდაიქ-მნა. „მე ის შევჭამე, როგორც ეზეკიელმა და ამიერიდან შენი საჭმელი აღარ მჭირ-დება და არც არასდროს არ დამჭირდება.

„მაშინ, წადი“, თქვა შეფარდმა ამჯე-რად უკვე მშვიდად. „წადი, წადი“.

ბიჭი წამოდგა, ბიბლია აიღო და დე-რეფნისკენ გაემართა. კარებთან წამით შე-ჩერდა, ბნელი აპოკალიფტის ზღურბლზე მდგარი პატარა შავი ფიგურასავით.

„ეშმაკისგან ხარ შეპყრობილი“, თქვა მან გამარჯვებული ხმით და გაუჩინარდა.“

●

ვახშის შემდეგ შეფარდი სასტუმრო ოთახში მარტო-მარტო იჯდა. ჯონსონმა

სახლი დატოვა, მაგრამ შეფარდს არ სჯე-როდა, რომ ბიჭი ასე უბრალოდ წავიდოდა. დღეს შვებით პირველად ამოისუნთქა. მო-თენთილი იყო, აციებდა. ისეთი შეგრძნე-ბა ჰქონდა, რომ ავად ხდებოდა. სხეულ-ში შიში გომბეშოსავით ჩაუსახლდა. ასე უბრალოდ ადგა და წავიდა? არა, ასეთი იმედგამაცრუებელი ფინალი ჯონსონის სტილი არ იყო; ის დაბრუნდებოდა, რომ რამე დაემტკიცებინა. შესაძლოა, ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდეს და მისი სახლი ცეცხლს მისცეს. ახლა უკვე შეუძლებელი აღარაფერია.

შეფარდმა გაზეთი აიღო. ცდილობდა წაეკითხა, მაგრამ ერთი წუთიც არ იყო გა-სული, რომ გაზეთი იქვე მიაგდო, წამოდგა და დერეფანში გავიდა. რაღაცას უსმენდა. იქნებ სხვენში იმალება? სხვენში ავიდა და კარები შეაღო.

ოთახში ლამპა ენთო და კიბეებს მკრთალი შუქით ანათებდა. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

„ნორტონ“, დაიძახა შეფარდმა, „მანდ ხარ?“ პასუხი არავინ გასცა. შეფარდი ვიწ-რო კიბეზე ავიდა, რომ უკეთესად დაენახა.

ლამპის შუქის უჩვეულო ფორმის აჩ-რდილებს შორის ნორტონი იჯდა და თვა-ლი ტელესკოპისთვის მიედო.

„ნორტონ, ხომ არ იცი, რუფუსი სად წავიდა?“

ბავშვი მისკენ ზურგშექცევით იჯ-და, მოკუზული, დაძაბული, დიდი ყურები თითქოს პირდაპირ მხრებს შორის ამოზ-რდოდა. უცებ, მან ხელი აიქნია და ტე-ლესკოპს უფრო ახლოს მიეკრა, თითქოს ამ მანძილიდან კარგად ვერ დაინახავდა.

„ნორტონ!“ ხმას აუწია შეფარდმა.

ბავშვი არ განძრეულა.

„ნორტონ!“ დაიყვირა შეფარდმა

ბავშვი როგორც იქნა მოტრიალდა. თვალები არაბუნებრივად უბრნებინავდა. რამდენიმე წამი დასჭირდა, მიმხვდარიყო, რომ მის წინ შეფარდი იდგა.

„მე ის ვიპოვე!“ სულმოუთქმელად წა-მოიძახა ბავშვმა.

„ვინ იპოვე?“ ჰკითხა შეფარდმა.

„დედიკო!“

შეფარდი კარის ზღურბლზე გაშეშდა. აჩრდილების ტევრი ბავშვის ირგვლივ კი- დევ უფრო გაიზარდა.

„მოდი და ნახე!“ დაიყვირა ბავშვმა. მან ოფლიანი სახე თავისი კუბოკრული პე- რანგის ბოლოთი მოიწინდა და თვალი ისევ ტელესკოპს მიადო. დაძაბულობისგან ზურგი გაუშეშდა. „უცებ, ისევ აიქნია ხელი.

„ნორტონ! ტელესკოპში არაფერი ჩანს, ვარსკვლავების გუნდების გარდა. გეყოფა, ერთი ლამისთვის საკმარისია, რაც ნახე. ჯობს დასაძინებლად წახვიდე. რუფუსი სად არის, ხომ არ იცა?“

„ის იქ არის!“ დაიყვირა ბავშვმა ისე, რომ ტელესკოპს არ მოშორებია. „მან ხე- ლი დამიქნია!“

„თხუთმეტ წუთში საწოლში უნდა იყო. გესმის ჩემი, ნორტონ? ბავშვმა გაშმაგე- ბით დაინტო ხელის ქნევა.

„სერიოზულად გეუბნები“, თქვა შე- ფარდა, „თხუთმეტ წუთში მოვალ და ვნა- ხავ, საწოლში ხარ, თუ არა“. შეფარდი კიბეზე დაეშვა და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. შემდეგ შემოსასვლელ კართან მივიდა და არემარეს თვალი სწრა- ფად მოავლო. ცა ვარსკვლავებით იყო სავსე, იმ ვარსკვლავებით, რომლებამდეც მას გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ჯონსო- ნი მიაღწევდა. სახლის უკან, რომელიდაც პატარა ტყიდან ბაყაყის ყრუ ყიყინი ისმო- და. შეფარდი ისევ თავის სკამზე ჩამოჯდა და რამდენიმე წუთი ასე იჯდა. გადაწყვი- ტა დასაძინებლად წასულიყო. ხელები სკა- მის სახელურებზე დააწყო, წინ გადაიხარა და უცებ, კატასტროფის შესახებ ადრე- ული შეტყობინების მკიცანა ხმის მსგავსი პოლიციის მანქანის სირქინის ხმა შემოეს- მა, რომელიც ნელ-ნელა მათ უპანს უახ- ლოვდებოდა და ბოლოს ერთი ამოიკვნესა და მათ სახლთან გაჩერდა.

შეფარდს თითქოს მხრეზე რაღაც ცი- ვი დააწვა, თითქოს ყინულის მოსასხამი შემოახვიეს. კართან მივიდა და გააღო. ბი- ლიკზე მისი სახლის მიმართულებით ორი პოლიციელი მოდიოდა, რომლებსაც შუაში

მათზე ხელბორკილებით მიბმული და ბო- როტად მომზირალი ჯონსონი მოჰყავდათ. პოლიციელებს უკან რეპორტიორი მოჰყ- ვებოდა, ხოლო კიდევ ერთი პოლიციელი საპატრულო მანქანაში იცდიდა.

„ესეც, თქვენი ბიჭი“, თქვა იმ პოლიცი- ელმა, რომელსაც ყველაზე მკაცრი გამო- მეტყველება ჰქონდა. „არ გითხარით, რომ დავიჭრდით?“

ჯონსონმა ველური გამომეტყველებით ხელი ქვევით დაიქნია.

„მე თქვენ გელოდით!“ თქვა ბიჭმა. „თქვენ ვერასოდეს დამიჭრდით, მე რომ არ მდომებოდა, რომ დაგეჭირეთ. ეს ჩემი იდეა იყო“. იგი პოლიციელებს მიმართავ- და, თუმცა, ამ დროს შეფარდს უყურებდა. შეფარდმა ცივი მზერა შეაგება.

„რატომ გინდოდათ, რომ დაეჭირეთ?“ ჰქონდა ბიჭს რეპორტიორმა, რომელიც აქეთ-იქით აწყდებოდა, რომ როგორმე ჯონსონის გვერდით აღმოჩენილიყო.

„შეგნებულად რატომ ცდილობდით, რომ დაეჭირეთ?“ ამ შეკითხვამ და შეფარ- დის გამომეტყველებამ ბიჭი მთლად გაა- ცოფა.

„აი, ამ ვითომ იესოსთვის რომ მეჩვე- ნებინა!“ ჩაისისინა ბიჭმა და ფეხი შეფარ- დისკენ გაიქნია. „თავი ღმერთი ჰერი. მირჩევნია რეფორმატორიუმში ვიყო, ვიდ- რე მის სახლში. ციხეში ყოფნა მირჩევნია! ის ეშმაკისგან არის შეპყრობილი. არაფ- რის გარტყმაში არ არის. თავისი შეშლილი ბავშვიც კი სჯობა ჭკუით!“

ჯონსონი წამით შეყოვნდა და მოუ- ლოდნელად ამ ყველაფერს ფანტასტიკუ- რი წერტილი დაუსვა. „ის მე რაღაცებს მთავაზობდა!“

„შეფარდს სახეზე მკვდრის ფერი დაე- დო. კარს მიეყუდა, რომ არ წაქცეულიყო.

„გთავაზობდათ?“ ინტერესით ჩაეკით- ხა რეპორტიორი. „მაინც რას გთავაზობ- დათ?“

„ამორალურ რაღაცებს!“ მიუგო ჯონ- სონმა „აბა, რას ფიქრობთ, სხვა რა უნდა შემოეთავაზებინა? მაგრამ მისამართი შეე- შალა, მე ქრისტიანი ვარ, მე... “.

შეფარდს ტკივილისგან სახე გაუქვავდა. „თვითონაც კარგად იცის, რომ ეს სიმართლე არ არის“, წარმოთქვა მან აკანკალებული ხმით. „იცის, რომ ცრუობს. მე მისთვის, რაც შემძლო, ყველაფერი გავაკეთე. მე მისთვის უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე ჩემი საკუთარი შვილისთვის. იმედი მქონდა, რომ გადავარჩენდი და დავმარცხდი, მაგრამ ეს ლირსული მარცხი იყო. ჩემს თავთან არაფერი მაქვს სასაყვედურო. მე მისთვის არაფერი შემითავაზებია“.

„ხომ არ გახსოვთ, რას გთავაზობდათ?“ არ ეშვებოდა ბიჭს რეპორტიორი. „ზუსტად ვერ გვეტყვით, რას გეუბნებოდათ?“

„ის ბინძური ათეისტია“, მიუგო ჯონ-სონმა. „მან თქვა, რომ ჯოვოხეთი არ არსებობს“.

„რადგან ერთმანეთი ნახეს, შეგვიძლია ნავიდეთ“. ამოიხვნეშა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

„დაიცადეთ“, თქვა შეფარდმა. იგი ერთი საფეხურით ქვევით დაეშვა და ჯონ-სონს თვალი თვალში გაუყარა. ეს მისი ბოლო სასოწარკვეთილი მცდელობა იყო, რომ როგორმე თავი გადაერჩინა.

„სიმართლე თქვი, რუფუს. რაში გჭირდება ასეთი ტყუილი? შენ ბოროტი არ ხარ, უბრალოდ, საშინლად გაქვს თავგზა აპნეული. აუცილებელი არ არის მაგ ფეხის გულისთვის ყველაზე შური იძიო, აუცილებელი არ არის..“.“

ჯონსონმა შეფარდისკენ გაიწია.

„ერთი ამას მოუსმინეთ! დაიკველა მან. „მე ვიტყუები და ვიპარავ იმიტომ, რომ ეს კარგად გამომდის! ჩემი ფეხი აქ არაფერ შუაშია! კოჭლი შევლენ პირველნი! ხეიბრებს ერთად შეკრებენ. როცა მე მზად ვიქენები გადასარჩენად, იქსო გადამარჩენს და არა ეს მატყუარა აყროლებული ათეისტი და არ ეს...“

„გეყოფა“, თქვა პოლიციელმა და ბიჭი უკან გაწია. „უბრალოდ გვინდოდა გენახათ, რომ დავიჭირეთ“, უთხრა მან შეფარდს. ამის თქმაზე პოლიციელები შეპრუნდნენ და ჯონსონი თრევა-თრევით

წაიყვანეს. ამ დროს ნახევრად შემოტრიალებული ჯონსონის ყვირილი გაისმა, „ნადავლს კოჭლი დაეპატრონებიან!“, რომელიც ავტომანქანის ძრავის ხმამ ჩაახშო.

შეფარდი იქვე დარჩა. ოდნავ მოხრილი იმ დაჭრილის მსგავსად, ჯერ კიდევ დგომა რომ შეუძლია. ცოტა ხნის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა და ისევ თავის სკამზე ჩამოჯდა. თვალები დახუჭა და წარმოიდგინა პოლიციაში უურნალისტებით გარშემორტყმული ჯონსონი ტყუილს ტყუილზე როგორ აცხობდა. „ჩემს თავთან არაფერი მაქვს სასაყვედურო“, ჩურჩულით თქვა შეფარდმა. მისი ყველი მოქმედება უანგარო იყო. მას ერთადერთი მიზანი ჰქონდა – ჯონსონი გადაერჩინა, რომ ბიჭს ლირსული საქმების კეთებაში ეცხოვრა. შეფარდს თავი არ დაუზოგავს, მან საკუთარი რეპუტაცია დადო სასწორზე, მან ჯონსონისთვის მეტი გავაკეთა, ვიდრე საკუთარი შვილისთვის.

„მის ირგვლივ ყველაფერი ყარდა, როგორც სუნი ჰაერში, ისე ახლოს, თითქოს ეს სიმყრალე მისი პირიდან ამოდიოდა.

„ჩემს თავთან არაფერი მაქვს სასაყვედურო“, აეკვიატა შეფარდს. ხმა ჩაეხლიჩა და პირი გაუშრა. „მე მისთვის მეტი გავაკეთე, ვიდრე საკუთარი შვილისთვის“. უცებ საშინელმა პანიკამ წალეკა. ესმოდა, როგორ ამბობდა ჯონსონი გამარჯვებული ხმით – „შენ ეშმაკისგან ხარ შეპყრობილი!“

„ჩემს თავთან არაფერი მაქვს სასაყვედურო“, გაიმეორა ისევ შეფარდმა. „მე მისთვის მეტი გავაკეთე, ვიდრე საკუთარი შვილისთვის“. ჯონსონის ხმა, როგორც მპრალებელის ხმა, ისე ჩაესმოდა ყურში. ამ სიტყვებს თავისთვის ჩუმად იმეორებდა.

შეფარდის სახე ნელ-ნელა ფერისგან დაინრიტა და თეთრი თმის შარავანდედით მოსილი თითქმის გაუჭაღარავდა. აკვიატებული სიტყვები ტვინში ექოსავით ესმოდა და მისი თითოეული მარცვალი თავში ყრუდ ურტყამდა. შეფარდს პირი მოელრიცა და თვალები დახუჭა, რომ ეს გამოცხადება უფრო ცხადად ეხილა. მის თვალნინ ნორტონის სახე წამოიმართა, ცარიელი,

სასოწარევეთიღლი. ბავშვის მარცხენა თვალი გვერდზე იხედებოდა, თითქოს ტანჯვის მთელი სიცხადით ყურებას ვეღარ უძლებდა.

შეფარდმა საკუთარი თავისადმი ზიზლი ისე მძაფრად შეიგრძნო, რომ გული შეეკუმშა, ჰაერი არ ჰყოფნიდა. მან მსუნაგი ადამიანივით საკუთარი სიცარიელის კეთილი საქმეებით ამოვსება ინდომა. პატივმოყვარეობის გამო საკუთარი შვილი უარყო. იგი ხედავდა, ღიათვალება, გულთამცნობელი ეშმაკი ჯონსონის თვალებით ალმაცერად როგორ უყურებდა. შემდეგ, საკუთარი სახება სულ უფრო და უფრო დაპატარავდა და ბოლოს სიბნელეში შთაინთქა. შეფარდი იჯდა, დამბლადაცემული და განადგურებული.

შეფარდმა წარმოიდგინა ტელესკოპთან მჯდარი ნორტონი. ცარიელი ზურგი და ყურები. ბავშვი მაღლა წევს და გაშმაგებით იქნევს ხელს. უცებ, სხეულში ბავშვის მიმართ რაღაცნაირი მტანჯველი, დაუოკებელი სიყვარულის მოდინება იგ-

რძნო. თითქოს ახალი სიცოცხლე გადაუსხეს. წინ პატარა ბიჭის სახე წარმოუდგა, მხოლოდ გარდაქმნილი; მისი გადარჩენის სურათი; თავიდან ბოლომდე ნათლით მოსილი. სიხარულისგან ამოიოხრა. ამიერიდან ყველაფერს მხოლოდ ნორტონისთვის გააკეთებს. აღარასდროს მისცემს მას ნებას, იტანჯოს. ის მისთვის დედაც იქნება და მამაც. შეფარდი წამოხტა და ბავშვის ოთახისკენ გაიქცა, რომ ჩაეკოცნა, ეთქვა, რომ უყვარდა და რომ ამიერიდან აღარასდროს უღალატებდა.

ნორტონის ოთახში სინათლე ენთო, მაგრამ საწოლი ცარიელი იყო. შეფარდი შეპრუნდა და სხვენის კიბეებს აასკდა. კიბის თავზე უცებ უკან დაიხია, როგორც უფსკრულის პირას მდგარმა ადამიანმა. სამფეხა ძირს გადმოვარდნილიყო. ტელესკოპი იატაკზე ეგდო. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით აჩრდილთა ტევრში ბავშვი ეკიდა, ზუსტად იმ ძელის ქვეშ, საიდანაც იგი კოსმოსში გაფრენას აპირებდა.

**ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ სონღულაშვილმა**

ივან და კლერ გოლები

ივან გოლი (1891-1950) – ეპრაული წარმოშობის გერმანელი ბილინგვა (გერმანულ და ფრანგულ ენებზე თანაბრად წერდა) ექსპრესიონისტი და სიურრეალისტი მწერალი და პოეტი. 1917 წელს ივან გოლმა ციურიხში გაიცნო ახალგაზრდა ეპრაული წარმოშობის გარმანელი მწერალი ქალი კლერ შტუდერი, დაბადებული აიშმანი, რომელიც მისი მეუღლე გახდა. მათი სიყვარულის ამბავი ალბათ ერთ-ერთი გამორჩეულია ლიტერატორთა შორის, რაც მათ წერილებში, და ლექსებში სათანადოდ აისახა.

კლერ გოლი (1891-1977) იყო მეტად თავისებური, თამამი და ხშირად თავნება ლიტერატორი. თავისი მეუღლის ივან გოლის მსგავსად, იგი თანაბრად კარგად წერდა გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ივან გოლი ევროპული მოდერნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია.

მთელითავისიც ცხოვრების მანძილზე ივან გოლს მჭიდრო კონტაქტები და თანამშრომლობა აკავშირებდა საერთაშორისო ავანგარდის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებთან – ჯ. ჯონისთან, რ. მ. რილკესთან, ჰ. არპთან, ტ. ცარასთან, შტ. ცვაიგთან, ლ. არაგონთან, ა. ბრეტონთან, პ. ელიუართან, უ. კოქტოსთან, ჰ. მილერთან, ა. დებლინთან. მისი წიგნები ილუსტრირებულია ისეთი მხატვრების მიერ, როგორიცაა გ. გროში, მ. შაგალი, ს. დალი, პ. პიკასო, მ.-რ.-ა. ლექე, უ. მირო, ა. მატისი, რ. დელონე.

უურნალ „ცისკარში“ უკვე გამოქვეყნდა ჩემს მიერ კომენტირებული და თარგმნილი ივან გოლის ესეს ჯონისზე („ცისკარი“, №12, 2017), ასევე კლერ გოლის ავტობიოგრაფიიდან ჯონის და შაგალის პორტრეტი (ცისკარი №2, 2016.).

ამჯერად გთავაზობთ ამ ორი გამორჩეული ექსპრესიონისტი და სიურრეალისტი მწერლისა და პოეტის სამიჯნურო პოეტურ მიმოწერას.



ივან გოლის და კლერ გოლის საფლავის ქვა პარიზში პერ ლაშეზის სასაფლაოზე მარკ შაგალის მიერ გაფორმებული.

სამიზნეო ოცნებები

მა აი არ ვცოცხელობ, მიყვარს ივან გოლი

ჩემი სხეულის ყველა ფორიდან
მოჟონავს შენი სიყვარული.
მაგ სიყვარულით ნაკვებია
ჩემი კუნთებიც.
და ჩემი სისხლის ყოველი წვეთი
სავსე მაქვს შენი სიყვარულით.
სიყვარულისგან თმაც დამეხვია
და ახლა ყველა ენაზე ვმღერი,
რომ შენ მიყვარხარ.
და თანაც ვცეკვავ სიყვარულით.
იქნებ ავად ვარ სიყვარულისგან?
ან იქნებ სულაც ჯანმრთელი ვარ?
მე ვცოცხელობ შენი სიყვარულით
და ვერც მოვკვდები, რადგან მიყვარხარ...

ნაზი ხარ

კლერ გოლი

ნაზი ხარ,
როგორც ფაფუკ თოვლზე
ჩიტის ფეხების
ანაბეჭდები.
სევდიანი ხარ,
როგორც მთაზე გაჩეჩილი თმით მდგარი პინია.
ტკბილი ხარ,
როგორც ფინიკები ბიბლიურ პალმის
და მეც ამიტომ გლალატობ სწორედ,
რომ შენ ასეთი ნაზი ხარ და
სევდით სრულექმნილი...

მა მიყვარს

ივან გოლი

დღეს ჩემი ოქროს
სიყვარული გამოკრთის ჩემი თვალებიდან
და ხელებში გამომწყვდეული მითრთის
შემკრთალი სიყვარული,

ჩუმად ფეთქავს ჩემს საფეთქლებში.
 ჩემი სიმღერა სიყვარულია,
 სიყვარულია ჩემი როკვა.
 ჩემი სენია სიყვარული,
 სიყვარულია გაზაფხული,
 ნოემბერიც სიყვარულია.
 მე ვცოცხლობ მხოლოდ შენს სიყვარულში
 და ვკვდები შენი სიყვარულისგან.

შენ მოხვალ

კლერ გოლი

შენ
 დეკემბრის ყველა ჭინჭარს
 კლავ ახლავ მარტით
 და ჩემი გული უკვე ელის ჰიაცინტების
 ტკბილზე ტკბილ სურნელს,
 თვალებიდან კი ნარცისები აფრქვევენ სითბოს,
 ჩემში რომ იწვევს
 ტირილს და სიცილს
 და თანაც ბორგავს.
 მე მზეს ვუცხადებ
 უპირობო მორჩილებას
 და მჯერა, მოხვალ.

მონატრებისგან ხანი მემატა

ივან გოლი

მონატრებისგან ხანი მემატა
 თებერვლისა და ნესტიანი აპრილისადმი,
 რომ შენ გაჩუქო ამ მაისის ნაზი შროშანი.
 რამდენი ღამე ვათიე თეთრად,
 მთვარისათვის რომ მეკითხა
 ჩემდამი შენი ერთგულების, ფიქრის ამბავი,
 შენი წერილის მოლოდინში
 ელვანარევი ზაფხულები გადავიტანე,
 ხოლო მწუხრისას სევდანარევი
 ვეფერებოდი ფერმკრთალ ლილიებს.
 წელიწადის ყოველი დრო ძვირფასია
 გულის ძგერისთვის.
 ზეცის მფლობელი
 ჩემი მიჯნურის დასაპურებლად
 ვთესავ და ვმკი ლამაზ ვარსკვლავებს...

სიყვარული

კლერ გოლი

მე ჩვენ შორის მიყვარს დუმილი,
ზუსტად ისეთი, ყვავილებს რომ ახასიათებთ.
დილით მიყვარს ჩუმი დუმილი,
საღამო ხანს კი – უფრო ხმიანი,
შუალამისას – შემკრთალი ოდნავ,
უცხო ხმების ხმაურს რომ უფრთხის.
არ მიყვარს როცა სხვები მოდიან
და ჩვენს სიჩუმეს რომ გვპარავენ,
ისეთივე მშვიდს, როგორიც ტაძრის
სიჩუმეა.
როგორ ამსხვრევენ ეს უცნობები
ჩვენს ლურჯსა და ვენეციურ შუშისნაირ
იდუმალ დუმილს.
მზად ვარ ავტირდე უცხოები როცა მოდიან.
ჩიტებს ესმით მხოლოდ ჩვენი ხმა,
ისინი ირგვლივ ჩვენს სიჩუმეს მღერიან ჩუმად
და კიდევ უფრო გვადუმებენ მარადისობის შეხვედრის წინ.
ო, სიკვდილის მარადიულო ტკბილო სიჩუმევ,
უთხარ ჩემს მიჯნურს, თუ როგორ მიყვარს.

გერმანულიდან თარგმნა
მანანა პაიჭაძემ